აჭარიდან წალკაში ჩასახლებულ მოსახლეობას სომხები ავიწროებენ A2

ბერეზოვსკის ახალი დანაშაული აღმოაჩინეს A7

"ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ოთხშაბათი, 2 აპრილი, 2003 წელი. №90 (302)

ფასი 50 თეთრი

# რას შეცვლის ერაყის კამპანია ომის წარმოების ტაქტიკაში



'24 საათის' არქივიდან

ქართველი კომანდოსების წვრთნისას.

*მოკავშირეთა საბრძოლო ოპერაციის გეგმებში მომხდარი ზოგიერთი ცვლილების მიუხედავად, ფაქტია, რომ ერაყის გასათავისუფლებლად ჩაფიქრებული სამხედრო ოპერაცია 21-ე საუკუნის ყველაზე მსხვილმასშტაბიან სამხედრო აქციად იქცა. შესაბამისად, მისი დასრულებაც ბევრ რამეს შეცვლის როგორც საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში, ისე ომის წარმოების ტაქტიკაში, რომელიც ყველა ქვეყნის სამხედრო სისტემის ქვაკუთხედს წარმოადგენს. რა დოზით და როგორ შეიძლება აისახოს ერაყის ომი საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნების შეიარაღებულ ძალთა საბრძოლო მომზადების გეგმაზე - ისეთი ქვეყნებისა, რომლებიც სამხედრო ტექნოლოგიების განვითარების დონითა და საბრძოლო პოტენციალით, სულ მცირე, ნახევარი საუკუნით მაინც ჩამორჩებიან ამერიკასა და დიდ ბრიტანეთს?*

კობა ლიკლიკაძე

*რადიო "თავისუფლება"*

*სპეციალურად "24 საათისთვის"*

საქართველოდან 560 კილომეტრით დაშორებულ ერაყში მეცამეტე დღეა მიმდინარეობს 21-ე საუკუნის ყველაზე მსხვილმასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებები, რომლებშიც მოკავშირეთა მხრიდან 260 ათასი ჯარისკაცი, 600 სხვადასხვა ტიპის საბრძოლო თვითმფრინავი და რამდენიმე ათასი ჯავშანტექნიკა მონაწილეობს. მიუხედავად ერთ-ერთი ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგის განცხადებისა, რომ ომი "ბინძური საქმეა", სამხედრო ექსპერტები ერაყში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებათა განსაზღვრის დროს სულ სხვა კატეგორიის მახასიათებლებს იყენებენ. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საბრძოლო მომზადების მთავარი სამმართველოს უფროსის, გენერალ-მაიორ შოთა ბაიაძის განცხადებით, სპარსეთის ყურეში მიმდინარე ამჟამინდელი საბრძოლო ოპერაცია ომის წარმოების მაღალი ორგანიზებით გამოირჩევა.

გაგრძელება A2 გვერდზე

## იმუნიტეტი - ზოგს ცოტა, ზოგს ბევრი

ლენა მიქაძე

მთავრობის სხდომის დღის წესრიგში ერთ-ერთ საკითხად იუსტიციის მინისტრის როლანდ გილიგაშვილის მოხსენებაა შეტანილი. მოხსენებას საკმაოდ გრძელი და ბუნდოვანი სათაური აქვს, მარტივად კი, იუსტიციის მინისტრი ქვეყანაში მოქმედი იმუნიტეტის სისტემის ნაწილობრივ შეზღუდვაზე ისაუბრებს. იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული პროექტით იმუნიტეტის შეზღუდვის თაობაზე ცვლილება ცხრა კანონში უნდა შევიდეს.

როლანდ გილიგაშვილის უწყებამ საკანონმდებლო ცვლილებათა ეს პაკეტი ანტიკორუფციული ბიუროს მიერ შემუშავებულ ანტიკორუფციულ ღონისძიებათა გეგმის შესაბამისად მოამზადა და წარმოადგინა. თავის მხრივ, ანტიკორუფციული ბიუროს დავალება გრეკოს (ევროპის საბჭოს კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლ სახელმწიფოთა ჯგუფი) რეკომენდაციებს ემყარება. ევროსაბჭოს წევრი საქართველო ვალდებულია, გრეკოს რეკომენდაციების საფუძველზე შემუშავებული კანონპროექტები მიიღოს. ერთ-ერთი ასეთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება, უფრო ზუსტად, ცვლილებათა პაკეტი, სწორედ იმუნიტეტის ნაწილობრივ შეზღუდვას ეხება. შეიძლება ითქვას, რომ ევროსაბჭოში ჩვენი ყოფნა-არყოფნა იმაზეა დამოკიდებული, მიიღებს თუ არა ჩვენი პარლამენტი იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებულ ცვლილებათა პაკეტს.

თუ რა პოზიციას დაიკავებენ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, წინასწარ ლაპარაკი საკმაოდ ძნელია. ჩვენი დეპუტატები ამ ცვლილებათა შესახებ, ჯერჯერობით, მხოლოდ ზეპირ, ზოგად ინფორმაციას ფლობენ. პროექტის მიხედვით, გამომძიებლებსა და პროკურატურის სისტემის მაღალი თანამდებობის პირებს (თბილისის

გაგრძელება A3 გვერდზე

## "შეთანხმება თითქმის მიღწეულია", - აცხადებენ პარლამენტარები

თამარ ასათიანი

*პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფი ნელა, მაგრამ მაინც მიიწევს წინ. ჯგუფის გუშინდელ სხდომაზე თითქმის გადაწყდა, თუ საარჩევნო ადმინისტრაციების დაკომპლექტების რა მოდელს მიანიჭებენ უპირატესობას საპარლამენტო ფრაქციები. ეს ის მოდელია, რომელსაც პარლამენტმა პირველი მოსმენით უყარა კენჭი და რომელსაც ოპოზიციურ პარტიათა უმრავლესობა უჭერს მხარს.*

შეგახსენებთ, რომ ამ ვარიანტის თანახმად, ცენტრალური საარჩევნო კომისია შემდეგნაირად კომპლექტდება: კომისიაში ორ-ორი წევრის დანიშვნის უფლება ეძლევათ პარტიებს, რომლებმაც ბოლო ორ არჩევნებში (1999 წლის საპარლამენტო და 2002 წლის ადგილობრივი) ოთხპროცენტიანი ბარიერი დაძლიეს. ამასთან ერთად, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში თითო-თითო წევრს საქართველოს პრეზიდენტი და აჭარისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების ხელმძღვანელობები ნიშნავენ.

თუმცა, ახალი წესის ასეთ ფორმულირებას ყველა ფრაქცია არ ეთანხმება. მის კორექტირებას, კონკრეტულად, "მრეწველები" ითხოვენ. ფრაქციის ერთ-ერთი ლიდერის ზურაბ ტყემალაძის თქმით, **"ცესკო-ში წევრთა ყოლის უფლების მქონე პარტიების განსაზღვრისას, მხოლოდ თბილისის შედეგებით არ უნდა ვიხელმძღვანელოთ. მართალია, ადგილობრივი არჩევნების დროს პარტიული წესით**

გაგრძელება A3 გვერდზე

## კუმისი - კრიმინალებისა და ჩინოვნიკების სათარეშო ასპარეზი

*ეკოლოგიური კატასტროფის გარდა, კუმისის ტბის მიმდებარე ტერიტორიის მოსახლეობა, უკვე დიდი ხანია, სხვა სერიოზული პრობლემების წინაშეც დგას. მათი განცხადებით, კუმისის მოსახლეობა კრიმინალების ზეწოლასა და შევიწროებას განიცდის. ადგილობრივების თქმით, ტბა კრიმინალური დაჯგუფებების სათარეშოდ იქცა, სადაც ისინი თავისუფლად მოქმედებენ და არც პასუხისგებაში მიცემის შიში აქვთ. მოსახლეობის თქმით, 1994 წლიდან "უფორმო თუ ჰალსტუხიანმა ქურდებმა," მაღალჩინოსანი პირების დავალებით, გააპარტახეს და გაანადგურეს 3000 ოჯახის უძრავი ქონება, ნაკვეთები და სახლები. ისინი ახლაც ანგრევენ და ძარცვავენ სახლებს, გლეჯენ ღობეებს, კარ-ფანჯარას და ასეთი გზით შეგროვებული ფერადი და შავი ლითონები გასაყიდად გააქვთ. "ეს ვაჟბატონები საკუთარ თავებს ქვემო ქართლის გუბერნატორის ლევან მამალაძის ხალხად მიიჩნევენ და ხელშეუხებელ პირებად ითვლებიან, რაც დღემდე დასტურდება", - განაცხადა კუმისის მებაღეობის "ბაღნარის" თავმჯდომარემ ნოდარ ნაკაშიძემ.*

სოფიკო ოხანაშვილი

რამდენიმე დღის წინ კუმისის დასახლებაში მოხუცი კაცის გვამი იპოვეს. ოფიციალური ვერსიით, ის ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ფეხი დაუცდა, ტალახში პირქვე ჩავარდა და გაიგუდა. მოსახლეობა კი მოხუცის სიკვდილში კუმისის ტბის ტერიტორიაზე "მოთარეშე" ჯგუფს ადანაშაულებს. ისინი მკვლელობის მოტივად მოხუცის წინააღმდეგობას მიიჩნევენ, რომელიც შეეცადა, ხელი შეეშალა მძარცველებისთვის. ადგილობრივების თქმით, ეს აქ მკვლელობის პირველი შემთხვევა არ არის. **"იყო ისეთი შემთხვევაც, როცა ღრმად მოხუცებული ქალი სცემეს, მოკლეს და მერე ოქროს კბილები დააძრეს. ასევე, ერთი მოხუცი კაცი დააყაჩაღეს და მერე ცოცხალ-მკვდარი დამარხეს. დასახლებაში პოლიციის განყოფილება არ არსებობს. სახლში ყაჩაღი ან მკვლელი რომ შემოგივარდეს, ვერავინ დაგიცავს. ჩვენი მოსახლეობისთვის არც თელეთის პოლიცია იწუხებს თავს",** - აცხადებს ნაკაშიძე. მოსახლეობა ვარაუდობს, რომ მაღალჩინოსანთა მფარველობით, ეს მკვლელობაც სხვა შემთხვევების მსგავსად "ჩაიფარცხება".

გაგრძელება A6 გვერდზე

## მე-13 დღე: ომი ერთფეროვანი ხდება



REUTERS

ბაღდადს მოსახლეობა ტოვებს.

ლევან ღირსიაშვილი

### საჰაერო დაბომბვები

გუშინ მთელი ღამის განმავლობაში გრძელდებოდა ბაღდადის დაბომბვა. ერაყის დედაქალაქში ძლიერი აფეთქებების ხმა ისმოდა. მოკავშირეთა ავიაციის ძირითად სამიზნეებს კვლავ ერაყის ხელისუფლების წევრების რეზიდენციები, სამთავრობო შენობები და რესპუბლიკური გვარდიის პოზიციები წარმოადგენდნენ. ამათგან, ყველაზე დიდი ყურადღება მაინც ჰუსეინის ოჯახის სა-

გაგრძელება A4 გვერდზე

### პოლიტიკა

**მომავალი მაჟორიტარული ომის კონტურები**

მომავალ საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკურ ორგანიზაციათა აბსოლუტური უმრავლესობა საკუთარი პარტიული სიის პირველ ოცეულს, ძირითადად, იმ კანდიდატებით დააკომპლექტებს, რომლებიც, ამავე დროს, სხვადასხვა რაიონებში მაჟორიტარულ არჩევნებში იყრიან კენჭს.

A3

### ომი

**ამერიკა ერაყის მომავალ მთავრობას აკომპლექტებს**

ბუშის ადმინისტრაციაში აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობა არსებობს ერაყის მომავალი მთავრობის ფორმირებს თაობაზე.

A4

### უცხოეთი

**ეკონომიკური ბერკეტები პოლიტიკური გავლენისათვის**

გასულ წელს, ერევანმა პრობლემის გადაწყვეტას მიაგნო: მოსკოვს გადაეცა სომხური ენერგეტიკული და სამრეწველო ობიექტები

A5

### ეკონომიკა

**სამი მილიონი ლარი ქართული ჩაის აღორძინებისთვის**

"ქართული ჩაის ფოთლის მოყვანის, გადამუშავებისა და ექსპორტის ხელშეწყობის სუბვენციის პროგრამა", მიუხედავად მისი სახელწოდების სირთულისა, 2003 წელს სამი მილიონი ლარით დაეხმარება ჩაის წარმოებაში დასაქმებულ საწარმოებს.

A6

### სამართალი

**უშიშროების სამინისტრო ორწლიანი გამოძიების შედეგებს აქვეყნებს**

ორი წლის წინ "ეი-ი-ეს მტკვრის" მეათე ენერგობლოკის აფეთქებასთან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიება უშიშროების სამინისტრომ ახლახან დაასრულა.

A7

### საზოგადოება

**6 ქართველი მეზღვაური ექვსთვიან ტყვეობას იხსენებს**

ქართველი მეზღვაურები, რომლებმაც, საკუთარი გამჭრიახობის წყალობით, დააღწიეს თავი სომალიში ექვსთვიან ტყვეობას, გუშინ სამშობლოში მთავრობის წარმომადგენლებისგან საქებარ სიტყვებსა და საქმიან წინადადებებს ისმენდნენ.

A8

### ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 15 |
| ქუთაისი | 12 |
| ბათუმი | 8 |
| სოხუმი | 8 |
| ფოთი | 9 |
| თელავი | 11 |
| ზუგდიდი | 10 |
| გორი | 8 |
| ახმეტა | 12 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1350 |
| ევრო | 2.3252 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3714 |
| რუბლი | 0.0682 |

A2 ინფორმაცია A3 პოლიტიკა A4 ომი A5 უცხოეთი A6 ეკონომიკა A7 სამართალი A8 საზოგადოება

B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

## მოკლედ

**სოხუმი.** არძინბას რეჟიმმა უცხოელი ინვესტორებისადმი მკაცრი სანქციების დაწესება გადაწყვიტა. კერძოდ, არძინბას განკარგულებით, ის უცხოური ფირმები, რომლებიც ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოებზე მუშაობენ, ვალდებულნი არიან დროულად გადაიხადონ გადასახადები და შეიტანონ თანხები აფხაზეთის "სახელმწიფო ბიუჯეტში". **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** „ეროვნულ ძალთა გაერთიანება —კონსერვატორების" დამფუძნებელი ყრილობა 8 აპრილს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის შენობაში გაიმართება. როგორც ეროვნულ ძალთა გაერთიანების ერთ-ერთმა ლიდერმა ზვიად ძიძიგურმა განაცხადა, ეროვნულ ძალთა გაერთიანებას, შეუერთდებიან პარტია „დიდგორი", ორგანიზაცია „თეთრი გიორგი", ძველი ეროვნული მოძრაობის სხვადასხვა ჯგუფი ჰელსინკის კავშირიდან, ილია მართლის საზოგადოებიდან. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** „გაერთიანებული დემოკრატების" საპარლამენტო ფრაქციის ლიდერი გიორგი ბარამიძე 2003 წლის საპარლამენტო არჩევნებში თბილისის დიდუბის მაჟორიტარულ ოლქში კენჭისყრას აპირებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** „ქრისტიანულ-დემოკრატიული ალიანსის" თავმჯდომარე გიორგი კობახიძემ საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტა და მაჟორიტარ დეპუტატად კენჭისყრას ისნის ან საბურთალოს რაიონში აპირებს. როგორც გიორგი კობახიძემ განაცხადა, არჩევანს საბურთალოს რაიონზე იმ შემთხვევაში შეაჩერებს, თუ იქ დეპუტატად „გაერთიანებული დემოკრატების" ლიდერი ზურაბ ჟვანია იყრის კენჭს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფი აუცილებლად მიიჩნევს მომავალი სასესიო კვირიდან დაიწყოს საარჩევნო კოდექსში ძირეული ცვლილებების შეტანის პროცესი. ინტერფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელის გიგი წერეთლის თქმით, ფრაქციების შეთანხმების საფუძველზე უკვე არსებობს პროექტის ჩამოყალიბებული ვარიანტი, რომელიც საარჩევნო სიების შედგენას, ცესკო-ს და დანარჩენი კომისიების დაკომპლექტებას, საარჩევნო კომისიების უფლებების შეზღუდვას, სიების იდენტიფიკაციას და რეგისტრაციის მექანიზმებს ითვალისწინებს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ ვაზიანის სამხედრო ბაზაზე თავდაცვის სამინისტროს მე-11 მექანიზებული მოტომსროლელი ბრიგადის დაარსების მეთერთმეტე წლისთავი აღინიშნა. ამ თარიღისადმი მიძღვნილ საზეიმო ცერემონიალსა და აღლუმში თავდაცვის მინისტრი და საქართველოში აკრედიტებული უცხო ქვეყნის სამხედრო ატაშეები მონაწილეობდნენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ სოხუმში აფხაზეთის სეპარატისტული ხელისუფლების პირველ პირებს საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის პირადი წარმომადგენელი ჰაიდე ტალიავინი შეხვდა. იგი შეეცდება არძინბას რეჟიმი დაარწმუნოს, რომ აუცილებელია ჟენევის ფორმატით ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო კომისიების შეხვედრების განახლება. გარდა ამისა, სეპარატისტებს ბოლო დროს აფხაზეთის კონფლიქტში ეუთოს როლის გააქტიურებაც აფიქრებთ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების შერეული საკონტროლო კომისიის მორიგი სხდომის გამართვა გორში, 23 აპრილს იგეგმება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** არასამთავრობო ორგანიზაცია "სამართლიანი არჩევნები" ამომრჩეველთა სიების დამტკიცებისა და დაზუსტების პროცესის მონიტორინგის დაწყებას აპირებს. **პრაიმ-ნიუსი**




# რას შეცვლის ერაყის კამპანია ომის წარმოების ტაქტიკაში

პირველი გვერდიდან

თუმცა, ქართველ ოფიცრებს, რომლებიც, წვევამდელების სახით, ყოველწლიურად კარგავენ მრევლს, ყველაზე მეტად ამერიკელი და ბრიტანელი სამხედროების დამაჯერებელი მოტივაციისა შურთ.

პირადი შემადგენლობის ფსიქოლოგიური და პატრიოტული მომზადება და იმის განცდა, რომ სამართლიან საქმეს ემსახურები, მნიშვნელოვანი ფაქტორია ომში გამარჯვების მისაღწევად. მაგრამ მას შემდეგ, რაც ზესახელმწიფოების არსენალში გამოჩნდა "უჩინარი" ბომბდამშენები და "ტომაჰავკის" ტიპის ფრთოსანი რაკეტები, რომლებიც სამიზნეებს, თითქმის, აბსოლუტური სიზუსტით აზიანებენ, ბევრი სამხედრო სტრატეგი ვარაუდობდა, რომ დროთა განმავლობაში თანამედროვე ომი დაემსგავსებოდა ერთგვარ კომპიუტერულ თამაშს ან ბრძოლას სიმულატორების გამოყენებით, რაც მინიმუმამდე შეამცირებდა ბრძოლაში ცოცხალი ძალის მონაწილეობას. შესაბამისად, კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა სამხედრო ძალების არსებობა იმ ქვეყნებში, რომლებიც მოწინავე სამხედრო ტექნოლოგიების მხრივ, შორ მანძილზე ჩამორჩებიან განვითარებულ ქვეყნებს. ამ მოსაზრებას არ იზიარებს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ტაქტიკის კათედრის ყოფილი უფროსი, პოლკოვნიკი ავთო ჯიბლაძე, რომელიც მიიჩნევს, რომ ქვეითი ჯარისკაცის გასაკეთებელს ვერც ერთი ჭკვიანი სამხედრო მანქანა ვერ გააკეთებს.

ამასთან, სამხედრო თვალსაზრისით, ავიაცია და ფრთოსანი რაკეტები მნიშვნელოვანია ომში გარდატეხის მისაღწევად, მაგრამ არა საბოლოო გამარჯვებისთვის. მით უფრო, თუ ლაპარაკია მოწინააღმდეგეზე, რომელიც უარს ამბობს ქრესტომათიულ, საომარ ველზე ფრონტალურ დაპირისპირებაზე და მჭიდროდ დასახლებულ ქალაქში ბრძოლის ტაქტიკაზე ამყარებს მთელ იმედებს. გენერალ ბაიაძის თქმით, ესეც ბრძოლის ნაირსახეობაა და ადრეც შეისწავლებოდა სამხედრო სასწავლებლებში, მაგრამ ჩეჩნეთის გამოცდილებამ, ქალაქში ბრძოლების ტაქტიკაში გადატრიალება მოახდინა.



*ქართველი კომანდოსები ქალაქში ბრძოლას სწავლობენ.*

გუშინ ვაზიანის სამხედრო ბაზაზე "კომანდოს" ბატალიონის მებრძოლებმა რამდენიმე საბრძოლო ელემენტი, მათ შორის ქალაქში ბრძოლის ეპიზოდი გაითამაშეს. შენობაში გამაგრებული ვირტუალური მოწინააღმდეგის განადგურების ოპერაციას, რომლებიც ჩაცმულობით ძალიან წააგავდნენ სადამ ჰუსეინის "ფედაინებს", ქართველმა ჯარისკაცებმა რამდენიმე წუთი მოანდომეს. პროამერიკული იმიჯით ცნობილ საქართველოს მინისტრს, ასეთი სცენარით სწავლების ჩატარებაც, ჟურნალისტებმა გარკვეულწილად მოკავშირეების მიმართ სოლიდარობის გამოხატვად ჩაუთვალეს.

**"იმედია, მაინც მოგვეცემა საშუალება, ცოტა სხვანაირად ვაჩვენოთ ჩვენი სოლიდარობა კოალიციას. უბრალოდ, ეს ის ელემენტებია, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია ასეთი ტიპის ჯარების მომზადებაში,"** - განაცხადა თევზაძემ.

საომარი გამოცდილების თანახმად, იმ მოწინააღმდეგის დამარცხებას, რომელიც ქალაქშია გამაგრებული და ბრძოლას წესების გარეშე აწარმოებს, ჩვეულებრივ, დიდი მსხვერპლი ახლავს თან. 1945 წელს ბერლინის აღების ოპერაცია საბჭოთა არმიის ხელმძღვანელობას ნახევარი მილიონი ჯარისკაცის სიცოცხლის ფასად დაუჯდა, ხოლო 1994 წლის 31 დეკემბერს, ერთი დღე-ღამის განმავლობაში, რუსეთის სამხედრო ნაწილებმა გროზნოს ქუჩებში 238 ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგეს. იმ ქართველი სამხედროების განმარტებით, რომლებმაც ქალაქში ბრძოლების ტაქტიკა სახელმძღვანელო დირექტივებში შეიტანეს, თავის დროზე ქართული არმიის ხელმძღვანელობას ეს ტაქტიკა რომ აერჩია და მოსახლეობაში მსხვერპლს არ მორიდებოდა, სოხუმის აღება შეუძლებელი იქნებოდა. მაგრამ სადამ ჰუსეინი არ არის 1993 წლის ჩამოსხმის ქართველი გენერალი და იგი სისხლის უკანასკნელ წვეთამდე აპირებს ბრძოლას თავისი სულთმობრძავი რეჟიმის შესანარჩუნებლად. ხოლო, თუ რა კონტრტაქტიკას დაუპირისპირებს ამ განზრახვას მოკავშირეთა სამხედრო სარდლობა, ბოლო მომენტამდე უცნობი რჩება.

# აჭარიდან წალკაში ჩასახლებულ მოსახლეობას სომხები ავიწროებენ

მაია მოსიაშვილი

მაღალმთიან წალკის რაიონში სტიქიით დაზარალებული აჭარელები ხუთი წლის წინ ჩაასახლეს. წალკში, ისევე როგორც ქვემო ქართლის უმრავლეს რაიონებში, არაქართული მოსახლეობა ქართულს გაცილებით სჭარბობს. სწორედ ამიტომ ჩასახლების იდეა თავის დროზე ამ რეგიონის შენარჩუნების ერთ-ერთ ყველაზე მისაღებ და ეფექტურ ღონისძიებად შეფასდა. ამჟამად წალკაში ოთხი ქართული სოფელია, ორი ბერძნული და დანარჩენი კი სომხური. ბერძენთა უმრავლესობამ საბერძნეთს შეაფარა თავი, რაიონში კი რიცხობრივად ყველაზე მეტნი სომეხი ეროვნების მოქალაქეები აღმოჩნდნენ. ამ უკანასკნელებსა და ჩასახლებულ აჭარელებს შორის მუდმივი კონფლიქტია, რომელიც ხშირად ხელჩართულ ჯგუფურ ცემა-ტყეპაში გადადის.

ბოლო ასეთი შეტაკება დაახლოებით ერთი კვირის წინ მოხდა. სომეხი ეროვნების პირმა სოფელ გუმბათის ქართული საშუალო სკოლა დაარბია და სწავლის პროცესი საცხოვრებელ სახლებში მიმდინარეობს, - ასეთი განცხადება გააკეთა ქვემო ქართლის სასკოლო ოლქის უფროსის მოადგილემ ლიანა ჩარკვიანმა. სამხარეო პოლიციის უფროსის, ალეკო ბუკიას თქმით, განსაკუთრებული არაფერი მომხდარა.

**"ჩხუბი გუმბათელ და აშკალელ ბავშვებს მოუვიდათ. აშკალა სომხური სოფელია და მიმაჩნია, რომ ეს შემთხვევა ნაციონალური დაპირისპირების მიზეზი არ უნდა გახდეს,"** - განაცხადა ბუკიამ. იგივე გაიმეორა წალკის პოლიციის უფროსმა ზურაბ ქეშელაშვილმაც.

**"გუმბათის სკოლის დარბევა არ მომხდარა, ეგ სიცრუეა. მარტო ორი მინაა ჩამტვრეული,"** - ამბობს ქეშელაშვილი.

"24 საათი" სოფელ გუმბათის სკოლის დირექტორს რამაზ ძირკვაძეს დაუკავშირდა.

**"სკოლა დარბეულია, მეცადინეობა შეწყვეტილია. პირველ სართულზე საერთოდ არ შეისვლება. რისი წაღებაც შეიძლებოდა, წაიღეს, დანარჩენი კი დალეწეს,"** - ამბობს სკოლის დირექტორი და ძალიან წუხს, რომ ბოროტმოქმედებმა თან წაიღეს შოთა რუსთაველის სურათი, რომელიც გუმბათის ახლადდაარსებულ ქართულ სკოლას ხუთი წლის წინ პრეზიდენტმა შევარდნაძემ უსახსოვრა.

სკოლის დარბევა ბოლო აკორდი იყო რადენიმე დღის წინ დაწყებული ჩხუბისა. **"გუმბათში ხშირად გადმოდიან აშკალელი 20-25 წლის ბიჭები აქაურების დაშინების მიზნით. ამ შემთხვევაშიც მანქანით შემოვიდნენ და ადგილობრივ ბიჭებთან ჩხუბი დაიწყეს. მუშტი-კრივში გუმბათელებმა აშკალელებს აჯობეს. ასე არ უნდაო, წავიდნენ და 50 კაცი გადმოიყვენეს. გუმბათში ქუდზე კაცი გამოვიდა და ისევ ვაჯობეთ სომხებს. მეორე დღეს მეზობელ სოფელში ბაზარში მისულ გუმბათელ დედა-შვილს სასტიკად გაუსწორდნენ, სასიკვდილოდ გალახეს. დასახმარებლად რაიონს მივმართეთ, შევხვდით აშკალის გამგებელს, სკოლის დირექტორს, თითქოს ყველაფერი მოგვარდა, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ თბილისიდან მომავალ ავტობუსს დახვდნენ სომხები, დაახლოებით 30 კაცი, ჩამოიყვანეს იქიდან გუმბათელები და სასტიკად სცემეს. ერთს ტვინის შერყევა აქვს, მეორეს მხარი მოსტეხეს. ამის შემდეგ შევიკრიბეთ ხალხი და მივმართეთ პრეზიდენტის რწმუნებულს. საქმის გასარკვევად პოლიცია რომ ამოვიდა სოფელში, სწორედ მაშინ დაესხნენ თავს სკოლას, რომლის შენობაც სოფლის განაპირას არის და გააჩანაგეს ის,"** - ასე აღწერს მომხდარს სკოლის დირექტორი.

წალკელ სომხებსა და ჩასახლებულ აჭარელებსა თუ სვანებს შორის რომ დაძაბული ურთიერთობაა, ამაზე მათ შორის მომხდარი შეხლა-შემოხლის სიმრავლეც მოწმობს. გასულ წელს ამავე მიზეზს ადამიანების სიცოცხლეც შეეწირა. რამაზ ძირკვაძე ამბობს, რომ დაპირისპირება მათი ჩასახლების დღიდან დაიწყო და პერიოდულად მეორდება: **"აქაურ სომხებს არ უნდოდათ ქართველების ჩამოსვლა. ქართველები აქ არ გამრავლდნენ და მიწები სომხებმა მიითვისონ - ეს არის ორი მიზეზი ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისა. ხუთი წლის მანძილზე ქართველებზე ჯგუფური თავდასხმის ფაქტები ბევრი ყოფილა, მაგრამ ამისთვის სამართალდამცველებს არავინ დაუსჯიათ."**

როგორც რამაზ ძირკვაძე ამბობს, საკითხი უფრო პოლიტიკურია და პრობლემა მანამდე არ მოგვარდება, სანამ ეს რეგიონი ქართველებით არ დასახლდება. **"ჩასახლების პროცესი პრაქტიკულად შეწყდა. თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ აქ აღარ გავჩერდებით. გუმბათში 150-მდე ოჯახია და თავშესაფრის მოძიებას სხვაგან დავიწყებთ. ჩასახლების პროცესი თუ არ განახლდა, ხვალ და ზეგ ხალხი ასეთ ზეწოლას ველარც აიტანს და ველარც მოითმენს,"** - აცხადებს ძირკვაძე.

# პუტინის საყრდენი პარტია „თევზის აყროლებულ თავს„ უმკურნალებს

რუსუდან ნიკურაძე
საქ. კორ. მოსკოვში

გასულ უქმეებში მოსკოვში პროპრეზიდენტული პარტია "ედინაია როსიას" მეორე ყრილობა გაიმართა, რომელსაც პარტიის პოლიტსაბჭოს მდივანი, რუსეთის შსს მინისტრი ბორის გრიზლოვი უძღვებოდა. მან პუტინის მიმართვა წაიკითხა. პრეზიდენტის პარტია ფეხზე წამოდგა საბჭოთა ჰიმნის შესრულებისა და ყრილობის მანიფესტის კითხვისას.

**"ჩვენ რუსეთის ნაციონალური წარმატების პარტია ვიქნებით და ხელს შევუწყობთ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის ცხოვრებაში გატარებას,"** - ამბობდა ბორის გრიზლოვი და პარალელურად აკრიტიკებდა რუსეთის პრემიერ-მინისტრს მიხაილ კასიანოვს.

"თევზი, როგორც წესი, თავიდან ყროლდება, ჰოდა, ახლა ამ თავის მკურნალობაა საჭირო," - განაცხადა შსს მინისტრმა და დასძინა, რომ პარტია "ედინაია როსია" **"ბრძოლაში იწვევს სამშობლოს მტრებსა და მათ, ვისაც არ სჯერა რუსეთის ღირსეული მომავლისა."**

დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ ამჟამად დაბალი რეიტინგის მქონე "ედინაია როსია" აშენებს რაღაცას, კომუნისტური პარტიის მსგავსს. კულუარული ინფორმაციით, "ედინაია როსიას" წევრები მიიღებენ ქვეყანაში ყველაზე მაღალ ბიუროკრატიულ პოსტებს. პარტიის ლიდერები - ბორის გრიზლოვი, იური ლუჟკოვი, სერგეი შოიგუ, ოლეგ მოროზოვი, მენტიმირ შეიმიევი და ვიაჩესლავ ვოლოდინი რეიტინგის აწევას პენსიების გაზრდით აპირებენ. პარტიაში, აგრეთვე, შედიან ცნობილი რუსი კინორეჟისორები, მსახიობები, სპორტსმენები...

"24 საათის" შეკითხვას, თუ როგორი პოლიტიკური კურსი ექნება საპრეზიდენტო პარტიას მეზობელი სახელმწიფოებისა და, პირველ რიგში, საქართველოსადმი, საერთაშორისო საქმეთა კომისიის ხელმძღვანელმა კონსტანტინ კოსაჩოვმა ასე უპასუხა:

- პარტიის სტრატეგიაა რუსეთის საერთაშორისო პოზიციების გაძლიერება, ჩვენი ნაციონალური ინტერესების ხელახალი გააზრება, საგარეო უსაფრთხოების სისტემის გაძლიერება და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის გადარჩენა. ჩვენი პარტიის კურსს საქართველოსა და დსთ-ს სხვა ქვეყნებისადმი თავად პრეზიდენტი პუტინი განსაზღვრავს.

ჩვენი გაზეთისათვის მიცემულ ინტერვიუში რუსეთის დუმის დსთ-ს საქმეთა კომიტეტის ახლადარჩეულმა თავმჯდომარემ ანდრეი კაკოშინმა განაცხადა, რომ პარტიის საგარეოპოლიტიკური კურსი არ იქნება მტრულად განწყობილი მეზობელი სახელმწიფოებისადმი, მაგრამ ბევრი რამ თავად საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზეცაა დამოკიდებული.

## ქონებრივი დეკლარაცია 70-ზე მეტმა სახელმწიფო მოხელემ უკვე წარადგინა

ახალი სადეკლარაციო პერიოდის პირველ დღეს საფინანსო და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციები 70-ზე მეტმა სახელმწიფო მოხელემ წარადგინა.

თანამდებობის პირთა საფინანსო და ქონებრივი მდგომარეობის საინფორმაციო ბიუროს უფროსის ნუნუ ოვსიანიკოვას ინფორმაციით, ამ დეკლარანტთა შორის არიან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორი ანზორ ლაცუზბაია, პარლამენტარები ვახტანგ კვიციანი, ანზორ გოგიტიძე და იური ჩიხრაძე.

საფინანსო და ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციები სულ 3.700-მდე თანამდებობის პირმა უნდა შეავსოს.

სადეკლარაციო პერიოდი 30 აპრილს დასრულდება, დეკლარაციები, საჯარო პირველი ივნისიდან გახდება. **მედია-ნიუსი**

## სოხუმი მზადაა, სოჭის შეთანხმების აღსრულებაზე იმსჯელოს

ეუთოში გერმანიის ელჩმა, წარსულში საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის პირადმა წარმომადგენელმა დიტერ ბოდენმა გუშინ აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით ოფიციალური განცხადება გააკეთა.

მისი თქმით, სეპარატისტული სოხუმი მზადაა ოფიციალურ თბილისთან ერთად განიხილოს სოჭში რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტებს შორის მიღწეული შეთანხმების აღსრულების საკითხი. ბოდენი ამ დღეებში ეუთოს ელჩებთან ერთად სოხუმში იმყოფებოდა. მისი თქმით, სოხუმი თბილისისგან სოჭის შეხვედრების შესასრულებლად კონკრეტულ წინადადებებს ელის.

შეგახსენებთ, სოჭში მხარეები სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენის, ენგურჰესის რეაბილიტაციის და გალის რაიონში დევნილთა დაბრუნების საკითხებზე შეთანხმდნენ.

სეპარატისტული ხელისუფლება ირწმუნება, რომ გალის რაიონში ომის შემდეგ 40 ათასი ადამიანი დაბრუნდა, თუმცა მათი ე.წ. აღწერის მონაცემებით რაიონში 90 ათასი ქართველი ცხოვრობს. **მედია-ნიუსი**

## "აღორძინებაში" გიორგი თარგამაძეს შემცვლელი გამოუჩნდა

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დააკმაყოფილა ბლოკ „აღორძინების" მოთხოვნა და ძველი საარჩევნო სიიდან ამოიღო პარლამენტის დეპუტატობის შვიდი კანდიდატი.

როგორც ცესკოს საოქმო განყოფილებაში აცხადებენ, ბლოკ „აღორძინების" სიიდან ამოღებულია სოციალისტური პარტიის ორი წევრი - გიორგი ჭიჭინაძე და კობა ნაყოფია, „აღორძინებიდან" იოსებ ეგუტია და ალექსანდრე ახალაძე, საზოგადოება „ჭყონდიდელის" წევრი მურმან ზაქარაია, „ტრადიციონალისტთა კავშირის" წევრი – ნიკოლოზ სანებლიძე და უპარტიო – ირაკლი გოცირიძე.

პარლამენტიდან გიორგი თარგამაძის წასვლის შემდეგ, "აღორძინების" ბლოკის საარჩევნო სიაში მომდევნო ადგილს "აღორძინების" კანდიდატი ემზარ ბალაძე იკავებს. თუმცა, როგორც ცესკოში განმარტავენ, აღნიშნული საარჩევნო სია პასიურია და ვიდრე გიორგი თარგამაძეს არ შეუწყდება დეპუტატის უფლებამოსილება, „აღორძინებას" შეუძლია საარჩევნო სიიდან მომდევნო წევრებიც ამოიღოს. **მედია-ნიუსი**

## არძინბას რეჟიმის ოთხ მინისტრზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა

აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებაში სერიოზული კრიზისი უკვე სახეზეა. გუშინ პრემიერი გენადი გაგულია იძულებული გახდა, აფხაზი ხალხისადმი მიმართვა გაევრცელებინა, სადაც ნათქვამია, რომ დღევანდელ ხელისუფლებას მძიმე მემკვიდრეობის მიღება მოუწია და მოსახლეობა ასე ჩქარა რეალურ წინსვლას და ყოფის გაუმჯობესებას არ უნდა ელოდოს.

გენადი გაგულია აცხადებს, რომ იგი მზად არის მოლაპარაკებები გამართოს აფხაზეთის ნებისმიერ პოლიტიკურ ძალასა თუ მოძრაობასთან.

ამ გადაწყვეტილების მიღების აუცილებლობა გამოიწვია გასულ კვირას საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა "ამცახარას" სკანდალურმა ყრილობამ, რომელსაც ექსპრემიერი ანრი ჯერგენიაც ესწრებოდა და რომელზეც უპირველეს მიზნად სწორედ არძინბას კლანის გადაყენება დაისახა.

გარდა ამისა, გენადი გაგულია ბოლო დროს არძინბას რეჟიმისადმი მოსახლეობაში გაჩენილი უკვე აშკარა აგრესიის გამო იძულებული გახდა კიდევ რამდენიმე არამომგებიანი და კომპრომისული გადაწყვეტილება მიეღო. კერძოდ, არძინბას ხელისუფლებაში კვლავ საკადრო ცვლილებები განხორციელდება, ოთხ მინისტრზე კი სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ვინ იქნება ამჯერად იძულებითი საკადრო ცვლილებების მსხვერპლი, უცნობია.

გარდა ამისა, გენადი გაგულიამ თავის მიმართვაში მოსახლეობას კანონის დაცვის აუცილებლობა შეახსენა. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# კარლსონ ასფალტოვიჩი და მისი დენდროლოგიური პარკები

### "ლეიბორისტებმა" პირველი აპრილი ზოდელავას დღედ გამოაცხადეს


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*მათი ყველა პრესკონფერენცია საპირველაპრილოა.*

*ფუფუნებასა და ნეტარებაში მყოფი, უამრავი ბინის, ასობით ათასი დოლარის საბანკო ანგარიშის ბატონ-პატრონი, შავი ბიზნესის მეწილე და ლობისტი, ჯერ კიდევ უსინდისოდ ჩაბღაუჭებული დედაქალაქის მერის სავარძელს, თანამშრომლებისთვის - ივან ივანიჩი, ახლობლებისთვის - უბრალოდ ვანიკო, ფოთელებისთვის - ასფალტოვიჩი, თბილისელებისთვის კი - კარლსონი... ძნელი მისახვედრი არ არის, ვის გულისხმობენ შალვა ნათელაშვილის მუდამ ორიგინალური თანაგუნდელები – რა თქმა უნდა, თბილისის მერს ვანო ზოდელავას. "ლეიბორისტები" კიდევ ერთხელ მოუწოდებენ საკრებულოსა და ყველა თბილისელს, დადგნენ ერთად და "რამენაირად მოაცილონ ქალაქს ეს კაცი".*

სოფო ბუკია

საკრებულოში გამართული გუშინდელი პრესკონფერენცია "ლეიბორისტებმა" სპეციალურად დაამთხვიეს პირველ აპრილს და, სიმბოლურად, **"ქვეყნის ყველაზე მატყუარა პოლიტიკოსზე"** - ვანო ზოდელავაზე ისაუბრეს. თუმცა, ნათელაშვილისა და მისი მეგობრების სასარგებლოდ უნდა აღინიშნოს, რომ საპირველაპრილო განწყობა მათ მიერ მოწყობილ არც ერთ პრესკონფერენციას არ აკლია.

საკრებულოელი "ლეიბორისტების" გულისტკენა და გუშინდელი პრესკონფერენციის მიზეზი ერთ გაზეთში დაბეჭდილი ინტერვიუა, სადაც ქალაქის მერი ფრაქცია "ლეიბორისტის" წევრების სტუდენტური წლების მიმოხილვით ირთობს თავს. როგორც გუშინ აღინიშნა, ზოდელავა არ დაკმაყოფილდა მხოლოდ იმით, რომ ოლიგარქებს შალვა ნათელაშვილის ფიზიკური განადგურებისკენ მოუწოდა და თავის ინტერვიუში იგი "ლეიბორისტებს" სწავლა-განათლების დონესაც უწუნებს.

**"განათლებაზე საუბრისას ზოდელავას არ უნდა დაავიწყდეს, რომ შეურაცხყოფას აყენებს საკუთარ მამა-მარჩენალს. მისი დამნიშვნელი შევარდნაძე განათლებით ფერშალია, მე კი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრებას მამადლის,"** – სწყინს სოსო შატბერაშვილს.

როგორც გუშინ შატბერაშვილმა განმარტა, "ასფალტოვიჩი" ზოდელავას ფოთელებმა "კარგად დაგებული" ასფალტისთვის შეარქვეს. "კარლსონი" კი "ლეიბორისტების" გამოგონებაა.

ერთი წუთითაც არ იფიქროთ, რომ თბილისის მერს ზურგზე პროპელერი აქვს დამაგრებული და მურაბის მოსაპარად თქვენს ფანჯარაში შემოფრინდება. "ლეიბორისტების" ფანტაზია უთუოდ უკიდეგანოა, მაგრამ ამგვარი რამ ჯერ აზრად არ მოსვლიათ. "კარლსონი" კი იმიტომ შეარქვეს, რომ ბატონ მერს, მათი თქმით, ძალიან უყვარს მურაბასავით ტკბილი ცხოვრება და, რაც მთავარია, თბილისში მშენებარე ყველა მაღალსართულიან სახლში თავისი წილი აქვს – თითო ბინა კორპუსის ბოლო სართულზე. ბოლო სართული კი ზოდელავას იმისთვის სჭირდება, რომ სახურავებზე დენდროლოგიურ პარკებს აშენებს, სადაც ეგზოტიკური ჩიტები ჟღურტულებენ. ასტრიდ ლინდგრენი აუცილებლად იამაყებდა, რომ მისმა საყვარელმა ონავარმა კაცუნამ დიდ წარმატებას მიაღწია და, სტოკჰოლმის თუ არა, თბილისის მერობას მაინც გამოჰკრა ხელი...

თავად სოსო შატბერაშვილს, კახა ძაგანიას და პაატა ჯიბლაძეს ზოდელავასეულ დენდროლოგიურ მამულებში სეირნობის საშუალება არ ჰქონიათ. თბილისის მერის ეგზოტიკით გატაცების ამბავი მათ გაზეთში ამოუკითხავთ. სხვა რაიმე დამადასტურებელი საბუთი არ წარმოუდგენიათ და, როგორც თავად აღნიშნეს, არც აქვთ. **"ზოდელავას წილების ამბავი ყველამ იცის, ამას ზედმეტი დადასტურება არ სჭირდება. თუ სასამართლოში გვიჩივლებს, მით უკეთესი. მთელი ცხოვრება იმას ვნატრობთ, ზოდელავამ გვიჩივლოს, "** –აცხადებენ "ლეიბორისტები".

# "შეთანხმება თითქმის მიღწეულია" - აცხადებენ პარლამენტარები


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ინტერფრაქციული ჯგუფი კვლავაც შეთანხმებაზე მუშაობს.*

პირველი გვერდიდან

**კენჭისყრა მხოლოდ თბილისში გაიმართა, ხოლო სხვაგან არჩევნები მაჟორიტარული იყო, მაგრამ მაჟორიტარ კანდიდატებს პარტიები წარადგენდნენ. გასათვალისწინებლია ამ პარტიების შედეგებიც."** ანუ, ზურაბ ტყემალაძის ლოგიკით, თუ საქართველოს მასშტაბით რომელიმე პარტიამ დაძლია ოთხპროცენტიანი ბარიერი, თუმცა თბილისში მისი გადალახვა ვერ მოახერხა, ეს პარტია ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში წევრის დანიშვნის უფლებით მაინც უნდა სარგებლობდეს.

ამ ინიციატივას ინტერფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელი საკმაოდ მშვიდად შეხვდა. **"კი ბატონო, ვიმსჯელოთ,"** – განაცხადა გიგი წერეთელმა. წერეთელს ფრაქციების წარმომადგენლებიც დაეთანხმნენ.

ერთი სიტყვით, ინტერფრაქციული ჯგუფი ამ პროექტს ბოლომდე გაუწევს ლობირებას. თუმცა, ინტერფრაქციულ ჯგუფში შესულია სხვა წინადადებებიც: "მოქალაქეთა კავშირის", "ეროვნული თანხმობის", "ლეიბორისტული" პარტიის, ასევე ვახტანგ ხმალაძის, ვალერი გელბახიანისა და ნოდარ ნათაძის მიერ დამოუკიდებლად წარმოდგენილი ვარიანტები. თუმცა, როგორც ვთქვით, ჯგუფის წევრთა სიმპათია უფრო პირველი მოსმენით მიღებული პროექტისაკენ იხრება.

**"უკვე არსებობს პროექტის ჩამოყალიბებული ვარიანტი, რომელიც საარჩევნო სიების შედგენას, ცესკო-სა და დანარჩენი კომისიების დაკომპლექტებას, საარჩევნო კომისიების უფლებების შეზღუდვას, სიების იდენტიფიკაციას და რეგისტრაციის მექანიზმებს ითვალისწინებს",** - აცხადებს გიგი წერეთელი.

საგულისხმოა, რომ ჯგუფის ბოლო სხდომებს სახელისუფლებო ფრაქციების წარმომადგენლები არ დასწრებიან. ეს ფაქტი კი "ნაციონალ" კოტე კემულარიას აფიქრებინებს, რომ ხელისუფლების მხარდამჭერი საპარლამენტო ფრაქციები საარჩევნო კოდექსის ახალ პროექტზე მუშაობას ბოიკოტს უცხადებენ, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ ხელისუფლება საპარლამენტო არჩევნების გამართვით არაა დაინტერესებული. **"ასეთ შემთხვევაში, ინტერფრაქციული ჯგუფის მუშაობას და მის მიერ კანონპროექტთა შემუშავებას აზრი არა აქვს, რადგან ამ ინიციატივებს პარლამენტის თემატური უმრავლესობა ჩააგდებს",** - აცხადებს კოტე კემულარია.

# იმუნიტეტი - ზოგს ცოტა, ზოგს ბევრი

პირველი გვერდიდან

პროკურორი, ტრანსპორტის პროკურორი და ა.შ.), ასევე დეპუტატობის კანდიდატებს იმუნიტეტი უნდა გაუუქმდეთ. ნაწილობრივ უნდა შეეზღუდოთ - სახალხო დამცველს, კონტროლის პალატის თავმჯდომარეს, გენერალურ პროკურორს, მის მოადგილეებს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიების პროკურორებს. ცვლილებათა ძალზე უმნიშვნელო წილი მოდის ამ მხრივ თავად პარლამენტის წევრებზე.

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ზაქარია ქუცნაშვილს, თავის მხრივ, უკვე მომზადებული აქვს კონსტიტუციური კანონის პროექტი, რომელიც პარლამენტის წევრთა იმუნიტეტის ნაწილობრივ შეზღუდვას ითვალისწინებს. მისი მოდელით, **"სისხლის სამართლის პასუხისგებაში დეპუტატის მისაცემად პარლამენტის თანხმობა აღარ არის საჭირო. დაკავებას, დაპატიმრებასა და ჩხრეკაზე პარლამენტის თანხმობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება საჭირო, თუ დეპუტატი ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენაში იქნა ეჭვმიტანილი. მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში დეპუტატებს იმუნიტეტი აღარ დაიცავს."**

ზეპირი ინფორმაციის საფუძველზე, ქუცნაშვილი გილიგაშვილის უწყებაში მომზადებული ცვლილებების პროექტს იწონებს. პრეტენზია მისი მხრიდან მხოლოდ დეპუტატობის კანდიდატებისათვის იმუნიტეტის გაუქმების გამო გაჩნდა. **"ვთქვათ, კორუფციაში ეჭვმიტანილი ყოფილი მინისტრის დაკავება მისი დეპუტატობის კანდიდატად ყოფნის პერიოდში პოლიტიკურ დევნად გაშუქდება. ისე, ჩემი აზრით, პარლამენტის წევრებს მხოლოდ იმ შემთხვევაში გვექნება სხვებისათვის იმუნიტეტის მოხსნის ან შეზღუდვის უფლება, თუ ამის მაგალითს ჩვენ სხვებს თავად მივცემთ,"**- აცხადებს ქუცნაშვილი.

უფრო მწირი ინფორმაცია აქვს ფრაქცია "აღორძინების" წევრს ვალერი გელბახიანს, რომელიც ვრცელი კომენტარებისაგან პროექტის უფრო ახლოს გაცნობამდე თავს იკავებს. მისი განცხადებით, **"დეპუტატობის კანდიდატთათვის იმუნიტეტის მოხსნა მართლაც შეიძლება გახდეს პოლიტიკური დევნის საშუალება."** საერთოდ, "აღორძინების" წარმომადგენელი დეპუტატი აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებისაგან თავად უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში შემუშავებული საკანონმდებლო ინიციატივების შეჯერებას და გათვალისწინებას მოითხოვს.

ფრაქცია "დემოკრატების" თავმჯდომარე გიორგი ბარამიძე იმუნიტეტით დაცული თანამდებობის პირების რაოდენობის შემცირების მომხრეა. **"იმუნიტეტი არ უნდა იყოს ამა თუ იმ დანაშაულებრივ ქმედებაში ეჭვმიტანილი პირის საფარი. თუმცა, ამავე დროს, დეპუტატობის კანდიდატების, თავად დეპუტატებისა თუ სხვებისათვის იმუნიტეტის გაუქმება არ უნდა იქცეს პოლიტიკური ანგარიშსწორების საშუალებად,"**- მიიჩნევს ფრაქციის თავმჯდომარე და უფრო მეტის თქმისაგან, პარლამენტში კანონპროექტის შემოტანამდე, თავს იკავებს.

# მოსალოდნელი შედეგი

### ქართველი პოლიტიკოსები მოსკოვიდან სხვადასხვა შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ

*მოსკოვში გამართული მორიგი ქართულ-რუსული დიალოგის შედეგების თაობაზე გუშინ ვიცე-სპიკერებმა ვახტანგ რჩეულიშვილმა და ვახტანგ ყოლბაიამ, დეპუტატმა კახა ჩიტაიამ და პოლიტოლოგმა რამაზ საყვარელიძემ ჟურნალისტებს ანგარიში ჩააბარეს. ცოტა დაგვიანებით პრესკონფერენციის მონაწილეებს კანცელარიის საგარეო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი შალვა ფიჩხაძეც შეუერთდა.*

*ქართულ პოლიტიკურ ძალებში არსებულ პოზიციათა სერიოზული სხვაობიდან გამომდინარე, ალბათ, მოულოდნელი სულაც არ არის, რომ ქართულ-რუსული დიალოგის ქართველმა მონაწილეებმა შედეგები აბსოლუტურად განსხვავებულად შეაფასეს:*

თამარ ხორბალაძე

ალბათ არავის გაუკვირდება, რომ ვახტანგ რჩეულიშვილისთვის გაცილებით ადვილია პროგრესის დანახვა ამ ურთიერთობებში, ვიდრე ყველა სხვა დანარჩენისთვის.

**„საქართველოს საგარეო პოლიტიკის ჯვარედინი კონცეფცია კაპრიზი არ არის. ეს რეალობაა სამხრეთ კავკასიის რეგიონში, რომელსაც რუსეთმა ანგარიში უნდა გაუწიოს. რუსეთის პოლიტიკური სპექტრი აღიარებს, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის მოგვარება საქართველო-აშშ-ს პარტნიორობის ხარჯზე არ უნდა მოხდეს,"** – აცხადებს იგი და საუბრობს იმაზე, რომ შეიძლება ქართულ-რუსულ პოლიტიკურ ურთიერთობებში პროგრესის დანახვა და აუცილებელია რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების გაძლიერება.

პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს საეჭვოდ ეჩვენება რჩეულიშვილის ოპტიმიზმი, თუმცა დადებითად აღიქვამს იმ ფაქტს, რომ ქართულ პოლიტიკურ სპექტრს რუსული ელიტის წინაშე პოზიციის დაფიქსირების საშუალება ეძლევა.

**„ერაყის ომიდან გამომდინარე, რუსეთის ელიტას აზრის შეცვლა ხშირად უხდება და ჩვენ მასში სასარგებლო კორექტივების შეტანის შანსი გვეძლევა",** — თქვა საყვარელიძემ. თუმცა, მან ისიც განაცხადა, რომ **"სანამ ეკონომიკური ბერკეტები რუსეთს საკუთარი პოლიტიკის გასატარებლად სჭირდება, საქართველოსთვის სულ ერთია - ხიშტით შემოვა რუსი თუ ეკონომიკური საშუალებებით".**

**"ნუ ვიფიქრებთ, რომ პუტინი თავზე ნაცარს წაიყრის და ხელებს დაუკოცნის შევარდნაძეს ერაყის ომისა და მომავალში შექმნილი ეკონომიკური პრობლემების გამო..."** – გადაასხა საყვარელიძეს ცივი წყალი ვახტანგ რჩეულიშვილმა.

საყვარელიძეზე კიდევ უფრო მკაცრი შეფასება გააკეთა დიალოგის მონაწილემ კახა ჩიტაიამ, რომელმაც განაცხადა, რომ არც ერთი მიმართულებით – არც კონფლიქტებისადმი, არც ზოგადპოლიტიკური საკითხებისადმი და არც სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობებისადმი მიდგომებში - რუსეთის მხრიდან რეალური ნაბიჯები გადადგმული არ არის.

**"აფხაზეთთან დაკავშირებით ისინი ცდილობენ, ისაუბრონ დამკვირვებლის პოზიციიდან, თითქოს ჩინეთიდან იყვნენ და არა რუსეთიდან. არ გაჰყავთ ბაზები და არ წარმართავენ მოლაპარაკებებს ქართულ მხარესთან ჩარჩო-ხელშეკრულების თაობაზე. მე ვერავითარ პროგრესს ვერ ვხედავ",** – განაცხადა კახა ჩიტაიამ. მანვე ახსენა საქართველოს შესაძლო ნეიტრალიტეტის თემა, რომელსაც კატეგორიულად შეეწინააღმდეგა შალვა ფიჩხაძე, რომელმაც განაცხადა, რომ **"ნეიტრალიტეტზე საუბრით საქართველო დაკარგავს მეგობრებს, მაგრამ არ დაკარგავს მტრებს..."**

მიუხედავად გუშინ დაფიქსირებული ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციებისა, პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ რუსულ-ქართული დიალოგის მონაწილეებმა დაგვამშვიდეს, რომ მოსკოვში ქართული დელეგაცია ერთიან ქართულ პოზიციაზე იდგა.

# მომავალი მაჟორიტარული ომის კონტურები

თამარ მჭედლიშვილი

*მომავალ საპარლამენტო არჩევნებში პოლიტიკურ ორგანიზაციათა აბსოლუტური უმრავლესობა საკუთარი პარტიული სიის პირველ ოცეულს, ძირითადად, იმ კანდიდატებით დააკომპლექტებს, რომლებიც, ამავე დროს, სხვადასხვა რაიონებში მაჟორიტარულ არჩევნებში იყრიან კენჭს. ამ მხრივ, განსაკუთრებით იაქტიურებენ ის პარტიები, რომლებიც საარჩევნო ადმინისტრაციებში საკუთარი ინტერესების სათანადო ლობირებას ვერ შეძლებენ.*

დღეს უკვე არავინ დავობს, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ვერც ერთი პარტია ვერ შეძლებს უმრავლესობით მოსვლას. ეს შესანიშნავად ესმით თავად პარტიათა ლიდერებს და შესაბამის გადაწვეტილებასაც იღებენ. უკვე დღეს, თითქმის ყველა პოლიტიკური ორგანიზაცია პარტიული სიის დაკომპლექტების ერთი და იგივე მოდელს ირჩევს – პირველ ოცეულში შევლენ პარტიის აქტივისტები, საზოგადოებისთვის მეტ-ნაკლებად ცნობილი ადამიანები, რომლებიც, პარალელურად, მაჟორიტარულ არჩევნებშიც მიიღებენ მონაწილეობას.

ოპოზიციური პარტიების ლიდერთა გადაწყვეტილების ახსნა საკმაოდ ადვილია: კანონის თანახმად, თუკი პარტიულ სიაში შესული ადამიანი მაჟორიტარულ არჩევნებს იგებს, იგი ავტომატურად "ამოვარდება" სიიდან და მის ადგილს მომდევნო კანდიდატი დაიკავებს. რაც უფრო მეტი მაჟორიტარი გაიმარჯვებს, მით უფრო მეტი ადგილი გამოთავისუფლდება პარტიულ სიაში.

ჩვენი ინფორმაციით, მაჟორიტარობას აპირებენ: ზურაბ ჟვანია, ლევან გაჩეჩილაძე, გიორგი ბარამიძე, მიხეილ მაჭავარიანი, ელენე თევდორაძე, გიგი წერეთელი, კობა დავითაშვილი, ზვიად ძიძიგური, ვანო მერაბიშვილი, ბიძინა გეგიძე, დავით საგანელიძე, ირინა სარიშვილი, მარინა მოლოდინი, ბეჟან ხურციძე (ბუნებრივია, ეს მაჟორიტარობის მსურველთა არასრული ჩამონათვალია).

ჯერჯერობით, არაფერია ცნობილი სახელისუფლებო პარტიების გადაწყვეტილების თაობაზე. თუმცა, სულაც არ არის გამორიცხული, მათაც მოქმედების სწორედ ასეთი ტაქტიკა აირჩიონ, განსაკუთრებით, რაიონებში, სადაც ადგილობრივი ხელისუფლება მოსახლეობაზე ზეწოლას და მათ დაშინებას მაინც ახერხებს.

მაჟორიტარობის მსურველთა შორის უნდა მოვიაზროთ ის ადამიანებიც, რომლებსაც, პოლიტიკური ორთაბრძოლებისა და ფარული ომების გამო, თბილი სავარძლების დატოვება მოუხდათ და რომლებიც, ჯერჯერობით, ჩრდილში არიან. მათ რიგებში, ალბათ, იქნებიან შინაგან საქმეთა ექს-მინისტრი კახა თარგამაძე, შს მინისტრის ყოფილი მოადგილე ზურაბ ჩხაიძე, ეკონომიკის ყოფილი მინისტრი ვანო ჩხარტიშვილი, ქონების მართვის ყოფილი მინისტრი სოლომონ პავლიაშვილი. მათ შეუერთდებიან ის მაღალჩინოსნებიც, რომლებიც უკვე დღეს გრძნობენ, რომ 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, მათი ჩინოვნიკური მომავალი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგება.

რაც შეეხება ამ მოწვევის მაჟორიტარ დეპუტატებს, მათი უმრავლესობა არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილეობას კვლავ აპირებს. ამის თაობაზე მაჟორიტარებს შინაურულ საუბრებში არაერთგზის განუცხადებიათ.

ერთი სიტყვით, მომავალი მაჟორიტარული ომი ძალზე მძიმე იქნება. უკვე დღეს ერთი და იგივე მანდატზე მონადირე პარლამენტარები ერთმანეთს საქმეებს ურჩევენ, მაგალითად, ვანის ახლანდელი მაჟორიტარი მელორ ტყეშელაშვილი და ფრაქცია "ტრადიციონალისტის" წევრი ბეჟან ხურციძე, რომელთა შორის ურთიერთობა თბილი არასოდეს ყოფილა და ბევრი მათ ერთმანეთის მტრებადაც მიიჩნევს. აქედან გამომდინარე, ბეჟან ხურციძის გადაწყვეტილებას - სწორედ ვანში კენჭისყრის თაობაზე - მელორ ტყეშელაშვილის მხრიდან რა რეაქცია მოჰყვებოდა, ადვილი წარმოსადგენია.

ასე რომ, მომავალი საპარლამენტო არჩევნები ძალზე დრამატულად წარიმართება, განსაკუთრებით - მაჟორიტარი კანდიდატებისთვის. ერთმანეთის დაშინება, ამომრჩეველთა მოსყიდვა, საქმის ქურდული გარჩევა, კენჭისყრების შედეგების გაყალბების არაერთი მცდელობა და ძალადობა – ეს ის პესიმისტური პროგნოზია, რომელსაც ექსპერტები უკვე დღეს აკეთებენ.

ამ ფონზე განსაკუთრებით გაუგებარია ის პასიურობა, რომელსაც ჩვენი ხელისუფლება იჩენს მომავალი არჩევნების მთავარი ორგანიზატორის – ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და, მთლიანად, საარჩევნო ადმინისტრაციების ახალი მოდელის შემუშავებისადმი, რადგან არჩევნების სამართლიანად გამართვის უპირველესი გარანტი სწორედ საარჩევნო ადმინისტრაციები უნდა გახდეს, რომლებიც პროფესიული კადრებით იქნება დაკომპლექტებული.

ჯერჯერობით, მთავრობისა და პრეზიდენტის ყურადღება მხოლოდ ამომრჩეველთა სიების შედგენამ მიიქცია. რა თქმა უნდა, ეს პრობლემა არანაკლებ მნიშვნელოვანია, მაგრამ თუკი საარჩევნო კომისიების დღევანდელი მოდელი არ შეიცვლება, მხოლოდ ამომრჩეველთა ზუსტი სიები პრობლემას ვერ გადაწყვეტს და სამართლიან არჩევნებს ვერ უზრუნველყოფს.

კომისიების რეფორმირების აუცილებლობაზე მხოლოდ ქართველი ექსპერტები არ საუბრობენ. საქართველოს ხელისუფლებას ასეთი რეკომენდაციებით მიმართავენ ის საერთაშორისო ორგანიზაციებიც, რომლებიც ქვეყანაში არჩევნების მონიტორინგს რამდენიმე წლის განმავლობაში ახორციელებენ.

რამდენიმე დღის წინ საქართველოს პარლამენტს ოფიციალური წერილით მიმართა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) პრეზიდენტმა.

ფრაგმენტი ამ წერილიდან:

**"მინდა, ვთხოვო პარლამენტს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს იმას, რომ პრეზიდენტის განკარგულება N193 (რომელიც სხვადასხვა სამთავრობო ორგანიზაციების 2003 წლის საპარლამენტო არჩევნების მოსამზადებლად ვალდებულებას შეეხება) არ წყვეტს არჩევნების ადმინისტრირების იმ პრობლემებს, რომლებმაც ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების პერიოდში იჩინა თავი. IFES-ი მიესალმება საქართველოს მთავრობის ძალისხმევას, გადაწყვიტოს აღნიშნული საკითხები N193 განკარგულების მეშვეობით, მაგრამ აქვე ხაზს უსვამს არჩევნების ადმინისტრირების მთავარი ორგანოს – ცენტრალური საარჩევნო კომისიის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. მაშინ, როდესაც N193 განკარგულება განსაზღვრავს სხვადასხვა სამინისტროების როლს, იგი არ სვამს საკითხებს არჩევნების ადმინისტრირებასთან მიმართებაში, რაც სწორედ ამ კომისიის სპეციფიკას წარმოადგენს".**

## არაბული რაკურსი

# მოკავშირეთა ჯარებისა და რესპუბლიკური გვარდიის პირველი შეჯახება

გუშინ ამერიკის საბრძოლო ქვეითთა მესამე მექანიზებული დივიზია ომის დაწყების დღიდან პირველად დადგა სადამ ჰუსეინის რესპუბლიკური გვარდიის ძალთა პირისპირ და ამით, ფაქტობრივად, ბრძოლის ახალი ეტაპი დაიწყო.

სადამ ჰუსეინის რესპუბლიკური გვარდიის ნაწილები ქვეყნის დედაქალაქის ბაღდადის სამხრეთ ნაწილის გარდა, კიდევ ორ მნიშვნელოვან ქალაქში - ქერბალასა და ნაჯაფში არიან გამაგრებულები.


მოხალისეები ფრონტზე მიდიან

ამერიკულ წყაროთა განცხადებით, გუშინ მოკავშირეთა ძალებმა ძველი ბაბილონის ახლოს, მდინარე ევფრატის ნაპირას დაბანაკებული რესპუბლიკური გვარდიის შენაერთების წინააღმდეგ სისხლისმღვრელი ბრძოლა გამართეს. აღნიშნულ წყაროთა შეფასებით, ეს იყო ბაღდადთან ყველაზე ახლოს გამართული პირველი სახმელეთო ბრძოლა. ტელეკომპანია "ბი-ბი-სი" აცხადებს, რომ ბოლო ორი დღე-ღამის განმავლობაში ამერიკელთა ბომბდამშენმა თვითმფრინავებმა ერაყის თავზე რამდენიმე ასეული ჭურვი ჩამოაგდეს.

იმავდროულად, ბრიტანული დანაყოფები ქალაქ ბასრას სამდინარო პორტის ხელში ჩაგდებას შეეცადნენ. ამ სტრატეგიულად უმნიშვნელოვანეს პუნქტს დღემდე ერაყული ძალები აკონტროლებენ. ერაყელებმა ასევე სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს ბრიტანულ ქვედანაყოფებს დაბა აბუ ალ-ხასიბთან მომხდარი შეტაკებისას.

ერაყის დედაქალაქ ბაღდადის თავზე კი ჭურვებისა და რაკეტების სეტყვა მოდიოდა. ქალაქს B-1, B-2 და B-52 ტიპის ბომბდამშენების საშუალებით ბომბავდნენ. მათ მთავარ სამიზნეს მთავრობის ცენტრალური სასახლე, ერაყის ინფორმაციის სამინისტროს შენობა და მის ახლოს მდებარე სასოფლო სამეურნეო სავარგული წარმოადგენდა. ამის შედეგად, 20 მშვიდობიანი მოსახლე, მათ შორის - 11 ბავშვი, დაიღუპა და 10 ადამიანი მძიმედ დაიჭრა. ამას გარდა, ვანდალურად დაიბომბა ბაღდადის აღმოსავლეთით მდებარე საცხოვრებელი ალ-ამინის რაიონი, სადაც 6 ადამიანი დაიღუპა, ათობით მშვიდობიანი მოსახლე დაშავდა და 6 საცხოვრებელი სახლი მთლიანად დაინგრა.

გუშინვე ამერიკის საზღვაო-ქვეითთა შენაერთებმა იერიში მიიტანეს ქალაქ ან-ნასირიას ჩრდილოეთით მდებარე დასახლებულ პუნქტ აშ-შატრაზე, მას შემდეგ, რაც აგენტურის მეშვეობით შემოვიდა ინფორმაცია, რომ ერაყის სამხრეთის ფრონტის მეთაური ალი ჰასან ალ-მაჯიდი, სადამის სამას შეიარაღებულ "ფაიდანთან" ერთად, სწორედ ამ დაბაში იყო დაბანაკებული.

კატარში დისლოცირებული ამერიკის საბრძოლო შტაბის ერთმა პასუხისმგებელმა პირმა აღიარა, რომ მოკავშირეთა ძალებმა ერაყის ქალაქ ნაჯაფის სიახლოვეს ცეცხლი გაუხსნეს სამოქალაქო პირთა ავტომანქანას, რადგანაც მანქანის მგზავრები შეჩერების ბრძანებას არ დაემორჩილნენ. ამ შემთხვევის შედეგად, 7 ბავშვი და ქალი დაიღუპა, დანარჩენები კი მძიმედ დაშავდნენ.

ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრმა ნაჯი საბრიმ ამერიკული და ბრიტანული სამხედრო ძალები ერაყის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მცდელობაში დაადანაშაულა.

ერაყის სამხედრო ძალების წარმომადგენელმა კი განაცხადა, რომ ბოლო ოცდაოთხი საათის განმავლობაში ერაყის ჩრდილოეთით, ქალაქ ბასრასთან გამართული ბრძოლებისას, სულ მცირე, 54 ბრიტანელი და ამერიკელი ჯარისკაცი განადგურდა.

*გაზეთი "ალ-აჰრამი"*
*ეგვიპტე.*

# ომის საწინააღმდეგო დემონსტრაციები ეგვიპტესა და ღაზას სექტორში

სამშაბათს, ეგვიპტის ჩრდილოეთში მდებარე ქალაქ ალექსანდრიის სპორტულ მოედანზე ამ ქვეყნის მმართველი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ინიციატივით გამართულ საპროტესტო აქციაზე, ერაყის წინააღმდეგ ბრიტანულ-ამერიკული სამხედრო აგრესიის დაგმობის მიზნით, ათასობით მოქალაქე შეიკრიბა. დემონსტრაციაზე, რომელშიც ეგვიპტის ყველა პარტიის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, ამერიკისა და მისი მოკავშირე ქვეყნების კრიტიკასთან ერთად, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საწინააღმდეგო ლოზუნგებიც ისმოდა. მომიტინგეებმა დაწვეს ტიკინა, რომელიც სიმბოლურად ბრიტანეთის, ამერიკისა და ისრაელის ერთობას გამოხატავდა. ისინი აფრიალებდნენ ტრანსპარანტებს, რომლებზედაც ეწერა: "უარი - ერაყის მიმართ აგრესიას", "სისხლსა და ხორცსაც განაცვალებთ, ჩვენო ბაღდადო!"

აღსანიშნავია,რომ ეგვიპტეში ომის დაწყებიდან დღემდე არ შეწყვეტილა მასობრივი მღელვარება და საპროტესტო გამოსვლები. ამას გარდა, ამერიკულ-ბრიტანული სამხედრო აგრესიის დაწყებიდან მეცამეტე დღეს, პალესტინაში, ღაზას სექტორში გამართულ დემონსტრაციაზე, დაახლოებით, 1500-მა პალესტინელმა მოიყარა თავი. მათ სასტიკად დაგმეს ინგლისის, ამერიკისა და ისრაელის მიერ წამოწყებული ომი ერაყელი ხალხის წინააღმდეგ და, პროტესტის ნიშნად, დაწვეს აღნიშნული ქვეყნების დროშები, რის შემდეგაც ერაყელი ხალხის მხარდამჭერი ლოზუნგები და სადამ ჰუსეინისა და იასერ არაფატის პორტრეტებიააფრიალეს.

*ალ-ჯაზირა*

# მსოფლიო პოლიტიკურ ფრონტზე, ერაყის ომზე არანაკლებ ცხარე ბრძოლები მიმდინარეობს

მსოფლიო პოლიტიკურ ფრონტზე იმგვარი ბრძოლები გაჩაღდა, რომელთა სიმწვავეც ბევრად არ ჩამოუვარდება ბრიტანეთისა და ამერიკის აგრესიას ერაყის წინააღმდეგ. საქმე ისაა, რომ გუშინ ამერიკის შეერთებულ შტატებში იუდეველთა ოფიციალური ლობის ტრიბუნიდან ირანისა და სირიის წინააღმდეგ დასაშინებელი შეტევის განხორციელების მოწოდება გაისმა. ეს იყო რეაქცია სირიის ოფიციალურ პირთა განცხადებებზე, რომელთაც ღიად დაუჭირეს მხარი ერაყს და აღნიშნეს, რომ დღევანდელ ვითარებაში სამართლიანობისა და ერაყელი ხალხის მხარეს იკავებენ.

სირიის მისამართით ამერიკის მხარის მიერ წამოყენებული ბრალდებები ისრაელმა სირიაში გადამალული ერაყული მასობრივი მოსპობის იარაღის შესახებ საუბრების განახლებისათვის გამოიყენა, რის თაობაზეც ისრაელის სამხედრო-სადაზვერვო სამსახურის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელმა გენერალმა იოსა კოპერფსერმა განაცხადა. მან კიდევ ერთხელ მიუთითა, რომ "ჰეზბოლა" და სირიის რესპუბლიკა ამერიკის მომავალი აგრესიის სამიზნეებს წარმოადგენენ.

ამ ფონზე, სანდო სირიულმა წყაროებმა გაზეთ "ას-საფირს" აცნობეს, რომ სირიის ოფიციალურ პირთა ვარაუდით, ომი, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და დიდმა ბრიტანეთმა ერაყს გამოუცხადეს, თვეების განმავლობაში გაგრძელდება.

ამასთან, სირიელთა აზრით, კოალიციის ჯარებმა ბრძოლა ზუსტი ინფორმაციის გარეშე და ისტორიული თუ გეოპოლიტიკური ვითარების გაუთვალისწინებლად წამოიწყეს. ხოლო დღევანდელი ომი ისრაელის წაქეზების შედეგია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, საინტერესოა, რომ ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრი დღეს თურქეთის რესპუბლიკაში ვიზიტისათვის ემზადება, რათა ამ ვიზიტის განმავლობაში კვლავაც შეეცადოს, ზეწოლის ბერკეტების ამოქმედებით, ოფიციალური ანკარა ჩრდილოეთის ფრონტის გახსნაზე დაიყოლიოს. პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაცია კი, ამერიკის თავდაცვის მინისტრის მიერ სირიისა და ირანის მისამართით გამოთქმულ ბრალდებათა შემდეგ, სულ უფრო მეტად ამძაფრებს თავდასხმებს ამ ორ ქვეყანაზე.

თეთრი სახლის პასუხისმგებელ პირთა განცხადებით, აღნიშნული მუქარები პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის პირად პოზიციასაც გამოხატავს.

*გაზეთი "ას-საფირი"*

# მე-13 დღე: ომი ერთფეროვანი ხდება

პირველი გვერდიდან


კოალიციის ჯარისკაცები მორიგ შეტევაზე გადადიან.
REUTERS

კუთრებაში მყოფმა ობიექტებმა დაიმსახურეს. კერძოდ, განსაკუთრებული ინტენსივობით დაიბომბა პრეზიდენტ ჰუსეინის ერთ-ერთი რეზიდენცია, რომელიც თავად სადამს და მის უმცროს შვილს ქუსაის ეკუთვნის. ასევე სარაკეტო დარტყმები განხორციელდა ერაყის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შენობაზე, რომელიც მეორე შვილის - უდაის რეზიდენციას წარმოადგენს.

დამომბვები დღისითაც გაგრძელდა. დედაქალაქში კოალიციის თვითმფრინავებმა ათამდე უძლიერესი ბომბი ჩამოაგდეს. სააგენტო "როიტერის" ინფორმაციით, არ არის გამორიცხული, რომ მოკავშირეებმა ამ ომში ასეთი სიძლიერის ბომბები პირველად გამოიყენეს. **"ცა კვამლით არის დაფარული, ხალხი შეშინებულია, ქუჩებში ადამიანები ყვირიან,"** - იტყობინება "როიტერის" კორესპონდენტი.

## სისხლიანი ინციდენტი - სერიოზული შეცდომა

გუშინ კოალიციის ნაწილებმა ქალაქ ნაჯაფთან ახლოს საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან დაცხრილეს ავტომანქანა, რომლის მძღოლმაც, ამერიკელი ჯარისკაცების გაფრთხილების მიუხედავად, მანქანა არ გააჩერა. ავტომანქანაში 13 მშვიდობიანი ერაყელი იჯდა. მათგან შვიდი მგზავრი ადგილზევე გარდაიცვალა, ხოლო ორი მძიმედ დაიჭრა. ყველა მოკლული ქალები და ბავშვები არიან.

ამერიკელი სამხედროების განცხადებით, მძღოლმა ბრძანება არ შეასრულა და ჰაერში გამაფრთხილებელი გასროლის მიუხედავად, მოძრაობა გააგრძელა. სამგზავრო ავტომანქანის მიმართულებით ცეცხლის გახსნა ამერიკელების მიერ შეფასდა, როგორც **"უკიდურესი ღონისძიება"**. ამჟამად კოალიციის სარდლობა ამ ინციდენტის გამოძიებას აწარმოებს. ამასთანვე, კოალიციის ძალების წარმომადგენელმა გენერალმა პიტერ პეისმა ამერიკელი სამხედროების მოქმედება სავსებით გაამართალა და განაცხადა: **"ჩვენს სამხედროებს თავის დაცვის სრული უფლება აქვთ."**

დამკვირვებლები შიშობენ, რომ ეს ინციდენტი ერაყის მშვიდობიან მოსახლეობაში ამერიკელების მიმართ მტრულ განწყობებს გააძლიერებს და კოალიციის ძალების წინააღმდეგ ტერაქტების ძლიერი ტალღის აგორებას შეუწყობს ხელს.

## სახმელეთო ოპერაცია

ერაყის სამხრეთ ქალაქებში კოალიციის ძალები სახმელეთო შეტევებს კვლავ განაგრძობენ. ამერიკელმა საზღვაო ქვეითის მებრძოლებმა მასშტაბური რეიდი განახორციელეს ქალაქ შატრაში, რომელიც ნასირიადან ჩრდილოეთით მდებარეობს. საინფორმაციო საშუალებების ცნობით, რეიდის მიზანს ერაყის არმიის იმ მეთაურების ლიკვიდაცია და დაპატიმრება წარმოადგენდა, რომლებიც ქალაქში კოალიციის ჯარებს კვლავ უწევენ წინააღმდეგობას. შატრიში შესული საზღვაო ქვეითის ერთ-ერთი ძირითადი მისია ამ ქალაქის მცხოვრების და ჰუსეინის ბიძაშვილის ალი ჰასან ალ-მაჯიდის ლიკვიდაციაა. "ქიმიურ ალიდ" წოდებული ალი ჰასანი ჰუსეინმა სამხრეთის ფრონტის სარდლად ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე დანიშნა. კოალიციის დაზვერვის მონაცემებით, ის ამჟამად ქალაქ შატრიში იმყოფება და იქიდან ხელმძღვანელობს ერაყის არმიის დანაყოფების მოქმედებას სამხრეთ რაიონებში. ალი ჰასანმა 1998 წელს ერაყელი ქურთების წინააღმდეგ განხორციელებული სამხედრო ოპერაციის დროს ძლიერი ქიმიური ნივთიერება გამოიყენა, რამაც ათასობით ქურთის სიცოცხლე შეიწირა. მას შემდეგ ალი ჰასანს "ქიმიური ალი" უწოდეს.

თუ რამდენად წარმატებით მიმდინარეობს საზღვაო ქვეითის მიერ წარმოებული ოპერაცია ქალაქ შატრიში, ამის შესახებ ჯერჯერობით, არაფერია ცნობილი.

გუშინვე გააფთრებული სახმელეთო ბრძოლები მიმდინარეობდა ბაღდადიდან სამხრეთით 80 კილომეტრში მდინარე ევფრატის ნაპირებთან. აღსანიშნავია, რომ ეს პირველი ბრძოლაა, რომელიც დედაქალაქთან ასე ახლოს გაიმართა. "ასოშეიტედ პრესის" კორესპონდენტის ცნობით, აშშ-ს მე-3 ქვეითი დივიზია ქალაქ ჰინდიაში ქუჩის ბრძოლებში ჩაერთო. მას ერაყელები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევენ. ბრძოლის მთავარ მიზანს ამერიკელებისათვის ევფრატზე მდებარე ხიდის გაკონტროლება წარმოადგენს.

ჰინდიას გარდა, ბრძოლები გუშინაც გრძელდებოდა ქალაქ ნასირიაში. სამხრეთიდან გაგზავნილი 5 ათას-კაციანი დამატებითი ძალა ნასირიაში მყოფ საზღვაო ქვეითებს ჯერ არ შეერთებიან. საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ისინი გზაში იმყოფებიან.

## ვაშინგტონი იმედიანად არის

მიუხედავად იმისა, რომ კოალიციის ძალების წარმატება ერაყში არც თუ ისე შესამჩნევია, თეთრი სახლი ანტიერაყულ სამხედრო კამპანიას დადებითად აფასებს. გუშინ აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ ომი იქამდე გაგრძელდება, ვიდრე ერაყის მოსახლეობა ჰუსეინის ტირანიისაგან არ გათავისუფლდება. **"ჩვენ თქვენთან უზარმაზარი ძალით მოვდივართ, რათა თქვენს მჩაგვრელ ხელისუფლებას ზღვარი დავუდოთ. ჩვენ არ შევჩერდებით, არ შევასუსტებთ პოზიციებს მანამდე, ვიდრე თქვენი ქვეყანა არ გახდება თავისუფალი,"** - განაცხადა თეთრი სახლის მეთაურმა ერაყელი ხალხის მისამართით ფილადელფიაში აშშ-ს სამხედრო ძალების წინაშე გამოსვლისას.

ამავდროულად, ვრცელდება პენტაგონის ოფიციალური განცხადება, რომლის თანახმადაც საჰაერო დარტყმებმა ერაყის არმიის პოზიციები მნიშვნელოვნად შეასუსტა.

ჟურნალისტებისათვის გამართულ ბრიფინგზე გამოსვლისას, გენერალმა სტენლი მაკკრისტალმა განაცხადა, რომ შაბათ-კვირას ამერიკელებმა ერაყში სამი ათასამდე ბომბი ჩამოაგდეს, რამაც ერაყის არმიის სარდლობა აიძულა, რესპუბლიკური გვარდიის ნაწილების გადაჯგუფება მოეხდინათ.

პენტაგონი ასევე ავრცელებს ინფორმაციას, რომ სადამ ჰუსეინის უახლოესი გარემოცვის წევრები ბაღდადის დატოვებას და დამალვას აპირებენ. **"ჩვენ რამდენიმე შეტყობინება მივიღეთ იმის თაობაზე, რომ გარემოცვის ოჯახების წევრები, უმაღლესი ხელმძღვანელი პირების ჩათვლით, ქვეყნის დატოვებას ცდილობენ,"** - განაცხადა იმავე ბრიფინგზე პენტაგონის წარმომადგენელმა გენერალმა ვიქტორია კლარკმა. თუმცა, მას არ დაუკონკრეტებია ის წყაროები, საიდანაც მათ ეს ინფორმაცია მოიპოვეს.

# ამერიკა ერაყის მომავალ მთავრობას აკომპლექტებს

გავლენიანი ბრიტანული გაზეთის "გარდიანის" ინფორმაციით, ბუშის ადმინისტრაციაში აზრთა მკვეთრი სხვადასხვაობა არსებობს ერაყის მომავალი მთავრობის ფორმირებს თაობაზე, რომელმაც სადამ ჰუსეინის რეჟიმი დამხობისთანავე უნდა შეცვალოს.

ვაშინგტონის გეგმის თანახმად, მთავრობაში 23 მინისტრი შევა, რომლებიც ამერიკელები იქნებიან. თითოეულ მინისტრს ოთხი ერაყელი მრჩეველი ეყოლება, რომლებსაც ამერიკელები თავად დანიშნავენ, - საკუთარ წყაროებზე დაყრდნობით იუწყება "გარდიანი".

ახალი მთავრობა მთელ ქვეყანას თანდათანობით გადაიბარებს. გენერალ ტომი ფრენკსის მიერ "გათავისუფლებულად" გამოცხადებული რეგიონები და ქალაქები დროებითი მთავრობის ხელში გადავა, რომელსაც ჯეი გარნერი, აშშ-ს გადამდგარი გენერალი უხელმძღვანელებს.

ბაღდადის რეჟიმის დაცემის პარალელურად, გარდამავალი მთავრობის წევრებმა ქუვეითში ჩასვლა დაიწყეს.

ცხადია, რომ მთავრობის შემადგენლობის შესახებ გადაწყვეტილებას მთლიანად შეერთებული შტატები მიიღებს. "გარდიანის" ინფორმაციით, ეს საკითხი უშუალოდ თავდაცვის მინისტრის მოადგილეს, პოლ ვოლფოვიცს აბარია. ამან გენერალი გარნერი გაანაწყენა, რომელსაც დროებითი მთავრობის ხელმძღვანელობა ოფიციალურად ევალება. აშშ-ს მთავრობასთან დაახლოებული წყაროების ცნობით, გარნერს მოუწევს, მისი აზრით, საეჭვო ერაყელების მრჩევლად დანიშვნა.

განსაკუთრებულ უთანხმოებას იწვევს პოლ ვოლფოვიცის მიერ შემოთავაზებული აჰმედ ჩალაბის კანდიდატურა თავისი უახლოესი გარემოცვით. ჩალაბი ოპოზიციურ გაერთიანებას - ერაყის ნაციონალურ კონგრესს ხელმძღვანელობს.

ჩალაბი იორდანიაში არსებული "პეტრა ბანკის" თავმჯდომარე იყო, რომელიც საბოლოოდ გაკოტრდა და


აჰმად ჩალაბი - ერაყის ოპოზიციის ლიდერი.
REUTERS

მეანაბრეთა ფული მთლიანად დაიკარგა. იორდანიის სასამართლომ მას თაღლითობაში დასდო ბრალი, თუმცა, ჩალაბი დღემდე ამტკიცებს, რომ უცოდველია.

აჰმედ ჩალაბი ერაყში 1956 წლის შემდეგ აღარ ცხოვრობს, თუ არ ჩავთვლით 1990-იან წლებში ერაყის ჩრდილოეთში ხანმოკლე ყოფნას, როდესაც იგი სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას შეეცადა. ზოგიერთების აზრით, ჩალაბის ბევრი მხარდამჭერი არ ჰყავს.

ემიგრაციაში ყოფნისას ჩალაბიმ კონგრესთან კავშირები დაამყარა და სახსრების მოზიდვა შეძლო. ახლა, იგი ერაყელ ოპოზიციონერთა შორის პენტაგონის ფავორიტია. თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი მისი ერთ-ერთი გავლენიანი მხარდამჭერია.

მეორეს მხრივ, სახელმწიფო დეპარტამენტი და ცსს მას არ ენდობიან.

აჰმედ ჩალაბი იმედოვნებდა, რომ გარდამავალ მთავრობაში პრემიერ-მინისტრის თანამდებობას შესთავაზებდნენ. ამერიკელთა მიერ აღმასრულებელი ხელისუფლებიდან გამორიცხვამ იგი ძალიან გაანაწყენა. ყოფილ ბანკირს ფინანსთა სამინისტროში მხოლოდ მრჩევლის პოსტს შესთავაზებენ.

"გარდიანის" ინფორმაციით, ერაყის ნაციონალური კონგრესის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა განაცხადა, რომ ჩალაბი მხოლოდ მრჩევლის თანამდებობით არ დაკმაყოფილდება. მისი თქმით, "ერაყის ნაციონალური კონგრესის მიზანი ამერიკელი მინისტრებისათვის კონსულტაციების გაწევა ნამდვილად არ არის. ჩვენი აზრით, არც ერთმა ამერიკელმა ერაყის სამინისტროები არ უნდა მართოს."

ერაყის უშუალო მართვის შესახებ საუბარმა, შესაძლოა, ტონი ბლერს პრობლემები შეუქმნას, რომელიც ომის შემდგომ გაერო-სა და საერთაშორისო ორგანიზაციების მონაწილეობაზე აკეთებს აქცენტს, რათა შიდაპოლიტიკური ოპოზიცია და ევროპაში არსებული დაპირისპირება დაძლიოს.

გასულ კვირას სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა კონგრესში გამოსვლისას განაცხადა, რომ პრეზიდენტ სადამ ჰუსეინის რეჟიმის განადგურებისთანავე ამერიკელი სამხედროები ერაყის მთავრობას გააკონტროლებენ. მისი თქმით, "მთავრობაში გაერო-ს კოორდინატორი აუცილებლად იქნება". თუმცა, პაუელს არ დაუმალავს, რომ ომისშემდგომ ერაყში მთავარი როლი ამერიკამ და არა გაერო-მ უნდა შეასრულოს.

"გარდიანი" ვარაუდობს, რომ ჩალაბისა და მის გარშემომყოფთათვის მომავალი ადმინისტრაციის იარლიყის მიკერებით, ვოლფოვიცი ერაყის ნაციონალური კონგრესის ლიდერთა დაშოშმინებას ცდილობს იმის მიუხედავად, რომ გენერალი გარნერი და სხვა გავლენიანი პირები ჩალაბის შესაფერის პიროვნებად არ თვლიან.

# სამოქალაქო მოსახლეობაში მსხვერპლი იზრდება



ბასრას ნანგრევებში.

33 მშვიდობიანი მოსახლე, მათ შორის ერთი ოჯახის 11 წევრი დაიღუპა გუშინ მოკავშირეთა მიერ ცენტრალური ერაყის ქალაქ ჰილას საცხოვრებელი კვარტლების დაბომბვის შედეგად.

ერაყის ინფორმაციის სამინისტრის ცნობით, 60-ზე მეტი მშვიდობიანი ადამიანი დაიღუპა ორშაბათს ბაღდადისა და სხვა ქალაქების დაბომბვის შედეგად.

გუშინ განმეორდა ტრაგიკული ინციდენტი აშშ არმიის საკონტროლო პუნქტზე. საზღვაო ქვეითებმა მოკლეს მანქანის მძღოლი და მძიმედ დაჭრეს მგაზვრი. ისევე, როგორც წინა შემთხვევაში, მძღოლი არ დაემორჩილა ჯარისკაცების მოთხოვნას და არ გააჩერა მანქანა საკონტროლო პუნქტზე.

ორშაბათს მომხდარმა ტრაგიკულმა შემთხვევამ კი 10 მშვიდობიანი ერაყელის, ძირითადად ქალებისა და მცირეწლოვანი ბავშვების სიცოცხლე შეიწირა. მაშინაც, ამერიკელმა ჯარისკაცებმა ცეცხლი გაუხსნეს მანქანას, რომელშიც ერაყელები ისხდნენ. ამ შემთხვევას შეესწრო "ვაშინგტონ პოსტის" კორესპონდენტი, რომელმაც დეტალურად აღწერა მომხდარი ტრაგედია.

"გზაჯვარედინისაკენ, რომელსაც ჩვენი არმია აკონტროლებდა, უცნობი მანქანა მოდიოდა. კაპიტანი ჯონსონი, რომლის ჯარისკაცებიც აკონტროლებდნენ გზაჯვარედინს, აღელდა. იგი დაუკავშირდა თავის ერთ-ერთ ქვედანაყოფს. "ისროლეთ გამაფრთხილებელი" – რადიოთი უბრძანა მან თავის ჯარისკაცებს. შემდეგი ბრძანება, რომელიც უფრო აღელვებული ხმით გაკეთდა იყო "ესროლეთ რადიატორში". "ნუ დაბოდიალობთ აქეთ-იქით" ულრიალა თავის ჯარისკაცებს ჯეკსონმა როდესაც დაინახა, რომ ისინი არაფერს აკეთებდნენ. ბოლო ბრაძენება, რომელიც მან მთელი ხმით დაიყვირა, იყო გააჩერეთ ეგ მანქანა. იმავე წამს 25 მმ-იანი ტყვიამფრქვევებიდან ცეცხლი გახსნეს. "შეწყვიტეთ ცეცხლი" ბრძანა ჯეკსონმა. შემდეგ, როდესაც ბინოკლით დაათვალიერა მანქანა, თავის ოფიცერს მიუბრუნდა " შენ ახლა მთელი ოჯახი ამოწყვიტე, იმიტომ, რომ დროზე არ ისროლე გამაფრთხილებელი გასროლა".

სამხედრო სარდლობა აცხადებს, რომ ჟურნალისტის აღწერა რეალობას არ შეესაბამება და რომ სამხედროებმა ყველაფერი წესის და რიგის მიხედვით გააკეთეს.

მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლის ზრდამ, და განსაკუთრებით, ორშაბათის ტრაგიკულმა შემთხვევამ არაბულ სამყაროში პროტესტების ტალღა გამოიწვია. მოკავშირეებს სულ უფრო უძნელდებათ ერაყელების დარწმუნება იმაში, რომ ისინი მათ გასათავისუფლებლად იბრძვიან. "ისინი ამას 11 სექტემბრის გამო შურისძიების მიზნით აკეთებენ – განაცხადა ერთმა ომანელმა ორშაბათის ინციდენტთან დაკავშირებით – ახლა ბუში და ბლერი ალბათ გახარებულნი არიან".

# ავიამზიდიდან თვითმფრინავი გადმოვარდა



ეს ინციდენტი გუშინ სპარსეთის ყურეში დისლოცირებულ ამერიკულ ავიამზიდ "კოსტელეიშენზე" მოხდა, როცა ბომბდამშენი "ვიკინგი" ავიამზიდზე შესრულებული მისიის შემდეგ დაბრუნდა და ბორტის მარცხენა ნაწილზე "პარკინგს" აკეთებდა.

პილოტებმა კატაპულტირება მოასწრეს. ისინი ზღვიდან მაშველებმა ამოიყვანეს. არც ერთი მათგანი სერიოზულად არ დაშავებულა. ინციდენტის მიზეზებს ამჟამად გამოძიება სწავლობს. "ვიკინგი" ფსკერზე, 60 მეტრის სიღრმეზე დაეშვა. მის ამოღებას არ აპირებენ.

"კონსტელეიშენი" აშშ სამხედრო-საზღვაო ფლოტის ფლაგმანია. ბოლოს მისი თვითმფრინავი 1991 წელს დაიკარგა.

*ასოშეიტედ პრესი*

# ბრიტანეთი ერაყში გაეროს როლის გაზრდას მოითხოვს

"იმედი მაქვს, რომ სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ, გაეროს პატრონაჟით ჩატარდება კონფერენცია, რომელშიც ერაყული საზოგადოების ყველა სეგმენტის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას" – განაცხადა გუშინ დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ჯეკ სტროუმ.

"კონფერენციამ უნდა უზრუნველყოს ის, რომ ერაყის მომავალი პოლიტიკური და ეკონომიკური მოწყობის თაობაზე უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები თავად ერაყელმა ხალხმა მიიღოს" – დასძინა მან.

სტროუს ინიციატივა, პრაქტიკულად, იმას ნიშნავს, რომ ერაყის ახალი მთავრობა თავად ერაყელებმა უნდა დააკომპლექტონ, შესაბამისად, მათვე უნდა მიიღონ გადაწყვეტილება ერაყის რესურსების, მათ შორის ნავთობის განკარგვის შესახებ.

ამასთანავე, რაკი პროცესი გაერო-ს ჩარჩოებში უნდა წარიმართოს, ერაყის შესახებ "უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღებაში" მონაწილეობას გაერო-ს წევრი სხვა ქვეყნებიც მიიღებენ, მათ შორის ისინიც, ვინც ომის წინააღმდეგი იყვნენ. ბრიტანეთს იმედი აქვს, რომ "რეკონსტრუქციაში" გაერო-ს ჩართვით, შესაძლებელი გახდება იმ განხეთქილების აღმოფხვრა, რომელიც ამერიკასა და მის ნატოელ და სხვა პარტნიორებს შორის ბოლო ხანს შეიქმნა.

ამ საკითხზე სრულიად განსხვავებული შეხედულება აქვს კოალიციაში "უფროს პარტნიორს", შეერთებულ შტატებს. "ჩვენ იმიტომ არ აგვიღია ჩვენს თავზე ომის ტვირთი, რომ სადამის შემდეგ, ერაყის ბედის განსაზღვრა სხვებს გადავაბაროთ".

გარდა პოლიტიკურ მოწყობაში მონაწილეობისა, ბრიტანეთს სურს, რომ გაერო-მ უხელმძღვანელოს ერაყში ჰუმანიტარული დახმარების გაგზავნისა და განაწილების ოპერაციებს, და ამ ორგანიზაციის პატრონაჟით განხორციელდეს დანგრეული ერაყული ინფრასტრუქტურის აღდგენა.

აქაც, ვაშინგტონის პოზიცია რადიკალურად განსხვავებულია. აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტო (იუ-ეს-ეიდ) უკვე ატარებს 600 მილიონიან ტენდერს იმ კომპანიის გამოსავლენად, რომელმაც ინსფრასტრუქტურის აღდგენა უნდა განახორციელოს. ტენდერში მხოლოდ ამერიკული ფირმები იღებენ მონაწილეობას.

საინტერესოა, რომ ერაყში გაერო-ს აქტიური ჩარევის წინააღმდეგ არამხოლოდ ამერიკელები ილაშქრებენ. ფრანგებმა და ანტიერაყული კოალიციის სხვა წევრებმა განაცხადეს, რომ ისინი არ მიიღებენ მონაწილეობას ერაყში ახალი მთავრობის შედგენაში და არც უშიშროების საბჭოს შესაბამის რეზოლუციას დაუჭერენ მხარს, რადგან ეს, მათი თქმით, ერაყის ომის ლეგიტიმიზაციის ტოლფასი იქნება.



დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ჯეკ სტროუ.

# ერაყი დახმარებას თურქეთს სთხოვს



ნაჯი საბრი - ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრი.

ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ნაჯი საბრიმ გუშინ თურქეთს მოუწოდა, გაიხსენოს ორი ქვეყნის ძმობის საუკუნოვანი ისტორია და ერაყს ამერიკელი და ბრიტანელი აგრესორების განდევნაში დაეხმაროს.

საბრის მოწოდება, რომელიც მრავლად შეიცავდა მინიშნებებს ორი ქვეყნის კეთილმეზობლობაზე, ერთმორწმუნეობასა და საერთო ისტორიაზე, კოლინ პაუელის ანკარაში ვიზიტის წინადღეებში გაკეთდა.

"შეერთებული შტატები ცდილობს ჩვენი მეზობელი, მეგობარი და ერთმორწმუნე თურქეთი იმ ომში ჩაითრიოს, რომელიც ალაჰმა უწყის, სადამდე მიგვიყვანს" განუცხადა მან თურქულ საინფორმაციო სააგენტოს.

საბრმა მიმართა თურქ ხალხს, გაერთიანონ ძალები და ერთად განდევნონ მომხვდურები რეგიონიდან.

მოწოდების აბსურდულობის მიუხედავად, თურქეთის მოსახლეობაში იგი ბევრ მომხრეებს ჰპოვებს. თურქების 90 პროცენტი ომის წინააღმდეგია. სახალხო პროტესტის გამო, თურქეთმა აშშ-ს უარი უთხრა ჯარების გატარებაზე, რითაც ხელიდან გაუშვა 30 მილიარდი დოლარი, რომელსაც აშშ გრანტებისა და კრედიტების სახით სთავაზობდა.

ამ უარის შედეგად, თურქეთ-აშშ-ის ურთიერთობებში დიდი ბზარი გაჩნდა. მის ამოვსებას მომავალ პარასკევს, ანკარაში პაუელის ვიზიტის დროს შეეცდებიან (აღსანიშნავია, რომ თურქეთში ეს პაუელის პირველი ვიზიტია).

# ეკონომიკური ბერკეტები პოლიტიკური გავლენისათვის

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, სომხეთს მუდმივად აწუხებდა ერთი პრობლემა. ეკონომიკური თვალსაზრისით, ქვეყანას საქმეები ვერ წაუვიდა კარგად, და სომხეთს რუსეთისადმი იმხელა დავალიანება დაუგროვდა, რომლის გადახდაც ვეღარ შეძლო.

გასულ წელს, ერევანმა პრობლემის გადაწყვეტას მიაგნო: მოსკოვს გადაეცა სომხური ენერგეტიკული და სამრეწველო ობიექტები, სანაცვლოდ რუსეთმა სომხეთს დავალიანება, 100 მილიონი დოლარი, ჩამოაწერა.

მაგრამ ახლა, როდესაც სომხეთის ეკონომიკის "გვირგვინის ბრილიანტები" მისი ყოფილი ბატონის ხელთაა, ანალიტიკოსები და პროდასავლურად განწყობილი პოლიტიკოსები ამბობენ, რომ ქვეყანამ ვალის სანაცვლოდ, საკუთარი პოლიტიკური დამოუკიდებლობა დათმო. "ეს პროგრამა, საწარმოები ვალის სანაცვლოდ, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს სომხეთის რესპუბლიკის სუვერენიტეტს" – ამბობს რაფი ჰოვანესიანი, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელიც ამჟამად ერევანში ანალიტიკურ ცენტრს ხელმძღვანელობს.

სომხეთი ერთადერთი შემთხვევა არ არის. საბჭოთა იმპერიის დაშლიდან ათი წლის თავზე, რუსეთი სულ უფრო ხშირად იყენებს თავის აღმავლობის გზაზე მდგარ ეკონომიკას, რათა სუსტ ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებზე პოლიტიკური კონტროლი აღადგინოს – ამბობენ ანალიტიკოსები.

ისინი აცხადებენ, რომ ანალოგიურ სცენარს რუსეთი იყენებს სხვა ქვეყნებშიც, მათ შორის ბელარუსში, უკრაინაში, ყირგიზეთსა და მოლდოვაში.

"სომხეთი იყო საცდელი პოლიგონი რუსეთის ახალი სტრატეგიისათვის, რომელიც მოსკოვის მიერ პოსტსაბჭოთა ქვეყნების ინფრასტრუქტურის ხელში ჩაგდების გზით, მათზე პოლიტიკური კონტროლის აღდგენას გულისხმობს" – ამბობს ვლადიმერ სოკორი, ვაშინგტონის სტრატეგიული და პოლიტიკური კვლევების ინსტიტუტის ექსპერტი.

სომხეთში რუსულ ინვესტიციებს დადებითად შეხვდნენ, რადგან ბიზნესმენები სხვა ქვეყნებიდან სომხეთს მაინცდამაინც კარგი თვალით არ უყურებენ.

დასავლელ ინვესტორებს აფრთხობთ ყარაბაღის გაჭიანურებული კონფლიქტი, რომელმაც სომხეთის ფაქტობრივი იზოლირება გამოიწვია, და ხელისუფლებაში კორუფციის არნახულ მასშტაბებს შეუწყო ხელი.

იმ საწარმოთა სია, რომელიც რუსეთის ხელში გადავიდა, საკმაოდ შთამბეჭდავია:

რაზდანის ჰიდროელექტროსადგურის ექვსი გენერატორი, რომლებიც ქვეყანაში ენერგიის 15 პროცენტს გამოიმუშავებენ, ელექტრონიკის ქარხანა "მარსი" და კიდევ სამი თანამედროვე საწარმო ვალების სანაცვლოდ რუსეთს გადაეცა.

სომხეთის ხელისუფლება ამბობს, რომ ამაში უჩვეულო არაფერია. მათი აზრით, გლობალიზაციის ეპოქაში ერთი ქვეყნის წარმომადგენელთა მიერ მეორეში საწარმოების ქონა სრულიად ბუნებრივია, თანაც, პროგრამას მხარი მსოფლიო ბანკმაც დაუჭირა.

"ამას ჩვენი ხალხის სასიკეთოდ ვაკეთებთ" – აცხადებს სერჟ სარქისიანი, თავდაცვის მინისტრი და სომხეთ-რუსეთის ეკონომიკური კომისიის თანათავმჯდომარე.

"არავინ არ აპირებს მანქანა-დანადგარების ქვეყნის გარეთ გატანას. თუ მათ ელექტროენერგიის სადისტრიბუციო ქსელი იყიდეს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ტრანსფორმატორებს მოხსნიან და საზღვარგარეთ წაიღებენ" – ამბობს იგი.

"პირიქით, ახალი ინვესტიციები ბიძგს მისცემს ამ საწარმოთა მუშაობას. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ხელს შეუწყობს სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების მობილიზებას".

"არ გამიგონია, ვინმეს ეთქვას, რომ რაკი ერევანმა თავისი აეროპორტი არგენტინელებს მიჰყიდა, ამით სახელმწიფო სუვერენიტეტს დაემუქრა საფრთხე. ან ის იყოს საშიში, რომ ზოგიერთი საწარმოს აქციები სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს გადაეცათ".

მაგრამ, სკეპტიკოსებს პირველ რიგში ის აწუხებთ, რომ მოსკოვის ახალი შენაძენები დაემატა იმ ობიექტების გრძელ სიას, რომელთაც რუსეთი უკვე აკონტროლებს და რომლებიც, ერთად აღებული, ქვეყნის ერთი ციდა ეკონომიკის დიდ ნაწილს შეადგენენ.

მაგალითად, სომხეთის გაზის გამანაწილებელი ქსელის აქციათა 55 პროცენტი რუსებს ეკუთვნით, ხოლო რუსული გიგანტი "რუსეთის ალუმინი" აკონტროლებს სომხეთის კანაკერის ალუმინის ქარხნის აქციათა 74 პროცენტს.

გარდა ამისა, სომხეთი რუსეთიდან იღებს საწვავს მეწამორის ატომური ელექტროსადგურისათვის. მართალია, სომხეთის ხელისუფლება ამას უარყოფს, მაგრამ ქვეყანაში მყოფი უცხოელი დიპლომატები ამბობენ, რომ აეს-იც უკვე გადაეცა რუსეთს.

გარდა ამისა, სომხეთში განლაგებულია მსხვილი რუსული სამხედრო ბაზა. თითქმის ყოველი სომხური ოჯახი იღებს ფულს რუსეთში მომუშავე ნათესავებისაგან.

"სომხეთი ისე მჭიდროდაა ინტეგრირებული რუსეთთან, რომ ხანდახან ეჭვიც კი გიპყრობს, მისი ნაწილი ხომ არ არის"- წერს ოპოზიციური გაზეთი "ჰაიკაკან ჟამანაკი".

*"ფრანს პრესი"*

# აშშ-მ უნგრეთში ერაყელი მოხალისეების წვრთნა დასრულა

შეერთებულმა შტატებმა უნგრეთში არსებულ თასჩარის ავიაბაზაზე ერაყელი დისიდენტების წვრთნა დაასრულა. უკვე გაწვრთნილი მოხალისეები ერაყში გაიგზავნებიან, - განაცხადა შეერთებული შტატების არმიის წარმომადგენელმა.

უნგრეთის ხელისუფლებამ ნება დართო აშშ-ს, რომ 3000 ერაყელი ლტოლვილი გაეწვრთნა, მაგრამ სამხედრო წვრთნა, რეალურად, გაცილებით მცირე რაოდენობამ გაიარა.

"მოხალისეთა მეორე ჯგუფმა ახლახან დაასრულა წვრთნა და სამხრეთ-დასავლეთ აზიაში ამერიკის მხარდასაჭერად იქნა გაგზავნილი", - განაცხადა გენერალ-მაიორმა დევიდ ბარნომ, რომელიც სამხედროთა მომზადებას ხელმძღვანელობს. უნგრეთში სამხედრო მწვრთნელთა წარმომადგენლის რობერტ სტერნის თქმით, აშშ-ს შეიარაღებულმა ძალებმა წვრთნა შეაჩერეს, რადგან სარდლობა ახლა მათ საომარ მოქმედებებში ჩაბმაზე არის კონცენტრირებული.

სტერნმა საგანგებოდ გაწვრთნილი ერაყელების ზუსტი რაოდენობის დასახელებისაგან თავი შეიკავა. უნგრული მედიის ცნობით, მათი რიცხვი ასს არ უნდა აღემატებოდეს.

მან, აგრეთვე, არ უპასუხა შეკითხვას - რამდენად არის დაკავშირებული პროგრამის შეჩერება მოხალისეთა ნაკლებობასთან. ამერიკელ სამხედროთა მტკიცებით, გაწვრთნილ ერაყელებს საბრძოლო დავალებებზე არ გაგზავნიან. მათ მხოლოდ ჰუმანიტარული მისია დაეკისრებათ.

ერაყელ მოხალისეთა პირველი ნაკადი ერთი კვირის წინ უმ კასრში ჩავიდა. თუმცა, სხვადასხვა წყაროების მიხედვით, ერაყელთა მიერ კოალიციისათვის გაწეული გააფთრებული წინააღმდეგობის გამო, მოხალისეთა როლი შეიზღუდა.

სტერნის თქმით, ერაყიდან მოსული ინფორმაციის თანახმად, "პირველი ჯგუფი დავალებას ბრწყინვალედ ართმევს თავს".

*"როიტერი"*

## კუვეიტის აქციები მაღლა იწევს

თორნიკე შარაშენიძე

ერაყის წინააღმდეგ საომარი მოქმედებების მიუხედავად, კუვეიტის საფონდო ბირჟაზე არნახული აღმავლობა სუფევს. ადგილობრივმა ინდექსმა 80 პუნქტით აიწია და 1997 წლის შემდეგ სარეკორდო მაჩვენებელს მიაღწია. ეს მართლაც აღსანიშნავი მოვლენაა იმის გათვალისწინებით, რომ დანარჩენ მსოფლიოში ბირჟებზე არც ისე სახარბიელო მდგომარეობაა და, ამასთანავე, სულ რამდენიმე დღის წინ თავად კუვეიტში ერაყიდან გასროლილი რაკეტა ჩამოვარდა.

მაგრამ, ადგილობრივ ბირჟას ამერიკული და ბრიტანული საჯარისო ნაწილების რეგიონში ყოფნამ მძლავრი სტიმული მისცა. მთელმა რიგმა კუვეიტურმა კომპანიებმა მათთან ერთობ საქმიანი კონტრაქტები გააფორმეს და ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება. ბირჟას სტიმულს აძლევს ომის შემდეგ ერაყთან სავაჭრო ურთიერთობათა განახლების იმედიც - 1990 წლის შემდეგ ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური ურთიერთობები გაწყვეტილია.

მოკლედ, ომი ადგილობრივ ეკონომიკაზე უაღრესად დადებით გავლენას ახდენს. სულ, მიმდინარე წელს, კუვეიტის საფონდო ბირჟის ინდექსმა 19 პროცენტით აიწია.

## ჩეინის ყოფილი კომპანია ერაყის აღმშენებლობაში მონაწილეობას არ მიიღებს

თორნიკე შარაშენიძე

ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (იუესაიდის) განცხადებით, კომპანია "ჰელიბერტონი" ერაყის აღმშენებლობაში აშშ-ს მთავრობის შესაძლო კონტრაქტორად არ განიხილება. ერთ დროს ვიცე-პრეზიდენტ ჩეინის კომპანია მონაწილეობას აღარ მიიღებს ტენდერში, რომლის გამარჯვებულიც 600 მილიონი დოლარის კონტრაქტს გამოჰკრავს ხელს. კონტრაქტი შეეხება ძირეული ინფრასტრუქტურის - საავადმყოფოების, აეროპორტებისა და სკოლების აღდგენას და მის შესრულებას მეთვალყურეობას სწორედ იუესაიდი გაუწევს.

"ჰელიბერტონი" ერთ-ერთი იყო თავიდან ტენდერზე წარდგენილი 5 კომპანიიდან. მის გარდა, ამ ჯგუფში "ფლოირი," "ბეჩტელი," "პარსონსი" და "ლუი ბერგერი" იყვნენ. იუესაიდისგან ცნობილი გახდა, რომ ამათგან სულ ორი კანდიდატი დარჩა და "ჰელიბერტონი" მათში არ შედის. სააგენტოს არ დაუზუსტებია, რა მიზეზებით მოხდა ჩეინის ყოფილი კომპანიის ამოგდება – იგი ნაკლებად კონკურენტუნარიანი იყო, თავად თქვა უარი, თუ აშშ-ს მთავრობა ჩაერია. ერაყულ კონტრაქტებთან ვიცე-პრეზიდენტის ყოფილი კომპანიის კავშირები ხომ ათასგვარ არაჯანსაღ მითქმა-მოთქმას ბადებს. მითუმეტეს, რომ "ჰელიბერტონის" შვილობილმა ფირმამ "კელოგ ბრაუნ ენდ რუტმა" გასულ კვირას უკვე გამოჰკრა ხელი ერთ კონტრაქტს, რომელიც ჭაბურღილებზე ცეცხლის ჩაქრობას ეხება.

დიკ ჩეინი "ჰელიბერტონს" 5 წლის განმავლობაში თავკაცობდა და ამ საქმეს მხოლოდ 2000 წელს, ადმინისტრაციაში მოსვლის შემდეგ ჩამოშორდა.

უნდა ითქვას, რომ გარკვეული პრეტენზიები ერაყულ კონტრაქტებთან დაკავშირებით უკვე ბრიტანეთსაც გაუჩნდა. იუესაიდმა ამერიკულ კომპანია "სტივდორინგ სერვისის ოფ ამერიკას" ერაყის იმ ერთადერთი პორტის აღდგენის კონტრაქტი უბოძა, რომელიც ახლა ბრიტანელი სამხედროების კონტროლის ქვეშ იმყოფება.

## მოკლედ

**თბილისი.** ამერიკულმა კომპანია "ეი-ი-ეს თელასმა" სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი შეწყვიტა. იმპორტის შეწყვეტის მიზეზად კომპანიაში უსახსრობას ასახელებენ. "კომპანიას არ შეუძლია 127 000 ლარის გადახდა, რადგანაც "ეი-ი-ეს თელასის" საბანკო ანგარიში დაყადაღებულია, ფინანსთა სამინისტრომ კი ჩვენი ანგარიშიდან მოხსნა კომპანიის მოგება და დღგ (კომერციული დანაკარგის ჩათვლით), სულ – 2 მილიონ 700 ათასი ლარი," - განაცხადა "ეი-ი-ეს თელასის" ლობისტმა ირაკლი მელაშვილმა. მისი თქმით, სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ კომპანიას გადასახადების სამი თვით გადავადება აღუთქვა. მას შემდეგ კი, რაც გამოჩნდა, რომ ფინანსთა სამინისტროს პირველი კვარტლის ბიუჯეტის შესრულება უჭირს, მთავრობამ ეს შეთანხმება დაივიწყა. ამასობაში, "ეი-ი-ეს თელასის" მიერ იმპორტის შეწყვეტას აპროტესტებენ საბითუმო ბაზარში და აცხადებენ, რომ ამერიკულ კომპანიას სომხეთისთვის ფულის გადახდას ბაზრიდან ელექტროენერგიის უფასოდ წაღება ურჩევნია . **"24 საათი"**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის მერიის ქონების მართვის სამმართველოს უფროსის მოადგილის რევაზ ურუშაძის ინფორმაციით, „თბილგაზის" მართვაზე სატენდერო კომისიამ პირველ ეტაპზე უპირატესობა მიანიჭა ამხანაგობა „ახალ მენეჯმენტს", რომელმაც თბილისის გაზით უწყვეტად მომარაგების გარანტია წარმოადგინა. ეს გარანტია მას გაზის საერთაშორისო კორპორაციამ მისცა. "თბილგაზის" რეაბილიტაციისთვის საჭირო ფინანსების კალკულაციას კი მერიის ქონების მართვის სამმართველო და "ახალი მენეჯმენტი" ერთობლივად, ერთი თვის ვადაში მოახდენენ. **"24 საათი"**

■ ■ ■

**თბილისი.** ყოველკვირეული ჟურნალის "შპიგელის" ცნობით, გერმანულმა ფირმა "ბეტცმა" ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში კორუმპირებულ ჩინოვნიკებს 1 200 000 ევროს ოდენობის ქრთამი გადაუხადა. ჟურნალის ცნობით, ევროპაში ერთ-ერთი უმსხვილესი სატრანსპორტო-საექსპედიციო საწარმო "ვილი ბეტცი" სისტემატურად ახორციელებდა საქართველოსა და აზერბაიჯანის ტრანსპორტის სამინისტროების ფუნქციონერთა მოსყიდვას. ფირმა "ბეტცს" აღმოსავლეთ ევროპაში შვილობილი კომპანიები ჰყავს. მან შეიძინა "შემოსავლიანი" ლიცენზიები და ევროპის ფარგლებში გადაზიდვებზე დემპინგური ტარიფები აქვს. როგორც ჟურნალი იუწყება, იმ მომენტში, როცა საქართველოს ან აზერბაიჯანისათვის გამოიყოფოდა მორიგი ლიცენზია, თბილისელი და ბაქოელი ფუნქციონერები გერმანელ პარტნიორებს აცნობებდნენ, ვისთვის რამდენი უნდა გადაეხადათ. გადახდა გერმანული ბანკების მეშვეობით ხორციელდებოდა. ფირმა "ბეტცის" ხელმძღვანელობა აღიარებს, რომ გადახდას მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ბულგარეთში არსებული შვილობილი საწარმოს დავალებითა და ტარიფის მკაცრი გათვალისწინებით. თუმცა, გამოძიების მონაცემებით, საუბარი კანონით გათვალისწინებულ 500 ევროზე ბევრად მეტ თანხას ეხება. აღნიშნული ინფორმაცია კატეგორიულად უარყო საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრმა მერაბ ადეიშვილმა. მისი მტკიცებით, ლიცენზიების გამოყოფა ხდება კანონის შესაბამისად და ზედმეტი თანხის გადახდას ადგილი არ აქვს. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** 10 აპრილისათვის ამერიკული ნავთობკომპანია "ანადარკოს" დელეგაცია, თბილისში ვიზიტის დროს, საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეს გააცნობს შავი ზღვის ქართული აკვატორიის აეროფოტოგადაღებების შედეგებს გაზისა და ნავთობის არსებობაზე. ნავთობისა და გაზის ოპერაციების რეგულირების სახელმწიფო სააგენტოს ხელმძღვანელის გიორგი ითონიშვილის წინასწარი ცნობით, აეროფოტოგადაღებების მონაცემები საკმაოდ დამაიმედებელია. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ენერგოსაბითუმო ბაზარი მომხმარებელთან ურთიერთობის ახალ პირობებზე გადადის და მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ანგარიშსწორებას ყოველი თვის 25 რიცხვამდე ითხოვს. ანგარიშსწორების ახალი პირობების შესახებ მომხმარებლებს შეტყობინებები უკვე დაეგზავნათ. **ინტერ-პრესი**

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2003 27 მარტი - 2 აპრილის მდგომარეობით




**მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები**

| | UKJ | US$ | Euro | Yen |
|---|---|---|---|---|
| UKJ | | 0.6354 | 0.6927 | 0.5376 |
| US$ | 1.5737 | | 1.0903 | 0.8475 |
| Euro | 1.4434 | 0.9171 | | 0.7752 |
| Yen | 1.86 | 1.18 | 1.29 | |

### 2003 წლის 2 აპრილიდან უცხოური ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

| | | |
|---|---|---|
| ევრო | 1 | 2.3252 ლარი |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 1 | 3.3714 ლარი |
| შვეიცარიული ფრანკი | 1 | 1.5756 ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 2.1350 ლარი |
| თურქული ლირა | 10 | 1.2522 ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0.0682 ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 000 | 0.4351 ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0.3625 ლარი |
| უკრაინული გრივნა. | 10 | 4.0031 ლარი |

# სამი მილიონი ლარი ქართული ჩაის აღორძინებისთვის

ნინო ნარჩემაშვილი

**"დღეისათვის საქართველოში ჩაის გადამამუშავებელი 38 საწარმო ფუნქციონირებს. თითოეულ მათგანს შესაძლებლობა აქვს, გააკეთოს განაცხადი და მონაწილეობა მიიღოს "ქართული ჩაის მოყვანის, გადამუშავებისა და ექსპორტის ხელშეწყობის სუბვენციის პროგრამაში" და თავისი საქმიანობის ხელშეწყობისათვის გარკვეული თანხა მიიღოს,"** – განაცხადა საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს დირექტორმა ვაჟა კაპანაძემ ეკონომიკის, მრეწველობისა და ვაჭრობის სამინისტროში გამართულ შეხვედრაზე. მისივე ინფორმაციით, პროგრამის განხორციელებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივი დაფინანსების სახით სამი მილიონი ლარია გამოყოფილი. პროგრამის ფარგლებში სახელმწიფოს მხრიდან უსასყიდლო დახმარება გაეწევათ ჩაის პლანტაციების იჯარით მოსარგებლე პირებსა და კერძო მესაკუთრეებს, აგრეთვე, ჩაის გადამამუშავებელ საწარმოებს, რომლებიც წარმოებული პროდუქციის ექსპორტს ახორციელებენ. სახელმწიფოს მიერ დარგის დახმარებისათვის გამოყოფილი თანხის ნახევარი პლანტაციების რეაბილიტაციისათვის, ნახევარი კი - ჩაის დამუშავებისა და ექსპორტის ხელშეწყობისათვის არის გათვალისწინებული. საწარმოების შერჩევა ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს მიერ გამოცხადებული კონკურსის შედეგად მოხდება. ვაჟა კაპანაძის თქმით, საბანკო გარანტიის არსებობის შემთხვევაში, უკვე მაისის თვეში, მეწარმეებს საშუალება ექნებათ, გადასამუშავებლად



დაგეგმილ ყოველ კილოგრამ ჩაის ფოთოლზე ავანსის სახით მინიმალურად ასანაზღაურებელი თანხის ნახევარი მიიღონ. დახმარების მთლიანი თანხა კი, გადამუშავებული ჩაის რაოდენობის გათვალისწინებით, სახელმწიფოს მიერ პროგრამისათვის გამოყოფილი სამი მილიონი ლარიდან გამოითვლება და საინვესტიციო სააგენტოს დირექტორის განცხადებით, სავარაუდოდ, ერთ კილოგრამზე გადამამუშავებლებისათვის სამი-ოთხი თეთრი, ხოლო ექსპორტიორებისათვის - ათი-თერთმეტი თეთრი იქნება. კონკურსის მიმდინარეობის პარალელურად, მონაცემების სისწორეს რეესტრში შეყვანილ საწარმოთა მიერ შექმნილი ე.წ. ნდობის ჯგუფი და თვითონ სააგენტო გააკონტროლებს.

ერთი სიტყვით, "ქართული ჩაის ფოთლის მოყვანის, გადამუშავებისა და ექსპორტის ხელშეწყობის სუბვენციის პროგრამა", მიუხედავად მისი სახელწოდების სირთულისა, 2003 წელს სამი მილიონი ლარით მარტივად, უსასყიდლოდ, ყოველგვარი ვალისა და პროცენტის დაბრუნების გარეშე დაეხმარება ჩაის წარმოებაში დასაქმებულ საწარმოებს. ვაჟა კაპანაძის განცხადებით, აღნიშნული თანხის გარდა, მიმდინარე წელს განსახორციელებელი სხვადასხვა პროგრამებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან კიდევ ხუთი მილიონი ლარია გამოყოფილი. ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს ფუნქციონირებისათვის კი - ხუთასი ათასი ლარი.

რაც შეეხება პრიორიტეტებს, რომლის მიხედვითაც დაფინანსების გამოყოფა ხდება, სააგენტოს დირექტორის განცხადებით, ჩაის კულტურის განვითარების ხელშეწყობას დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში არსებული სოციალური პრობლემების გადაწყვეტისათვის, რადგან საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაის პლანტაციებს უკავია და ამდენად, აღნიშნული კონკურსი მნიშვნელოვანია ასეთი რეგიონების მოსახლეობისათვის. ამაზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ კონკურსში მონაწილეობის სურვილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შვიდმა კომპანიამ უკვე გამოთქვა.

რეესტრი 15 აპრილს დასრულდება, რის შემდეგაც, მიმდინარე წლის 1 ნოემბრამდე თანხების გამოყოფა განხორციელდება.

# კუმისი - კრიმინალებისა და ჩინოვნიკების სათარეშო ასპარეზი

პირველი გვერდიდან

ადგილობრივი მკვიდრები გარდაბნის და თეთრი წყაროს რაიონების პოლიციას მიკერძოებასა და "მკვლელების" მფარველობაში სდებენ ბრალს. უფრო მეტიც, კუმისელები იმასაც ამბობენ, რომ კრიმინალური დაჯგუფებებს ქვემო ქართლის გუბერნატორი ლევან მამალაძე, გარდაბნის რაიონის გამგებელი ფერიაშვილი, თეთრი წყაროს გამგებელი ზანგურაშვილი და სხვა ჩინოვნიკები მფარველობენ.

1967 წელს მთავრობამ 15 ორგანიზაციის 5000 მუშის ოჯახს კუმისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწის ნაკვეთები გამოუყო. ოცი წლის განმავლობაში მოსახლეობამ მებაღეობა განავითარა და ერთ დროს უდაბნოდ ქცეული ტერიტორია ედემის ბაღად აქცია. ნაკაშიძის ინფორმაციით, ახლა კუმისის დასახლებაში მხოლოდ 150 ოჯახიღა დარჩა.

1994 წლიდან 2001 წლის ოთხ ივნისამდე კუმისის მოსახლეობა იურიდილი სტატუსის გარეშე დარჩა. არ არსებობდა ორგანიზაცია, რომელიც აქაურებს სოციალურად, ეკონომიკურად და იურიდიულად დაიცავდა. ახლა კი, კუმისის დასახლება "მძარცველების პოლიგონადაა" გადაქცეული. ნაკაშიძის თქმით, უკანონოდ იყიდება მიწის ნაკვეთები, მითვისებულია დიდძალი საწევრო გადასახადი (დაახლოებით, 40 ათასი) და პრივატიზაციის თანხები, უფრო მეტიც, კუმისის დასახლება იურიდიულად გატარებულია, როგორც საძოვარი ტერიტორია. **"თვითმარქვია" თავმჯდომარეების თავკაცობით უმისამართოდ იფლანგება ხალხის მიერ შეტანილი თანხები. ხალხს დაშინების გზით აიძულებენ ფულის გადახდას, თვითნებურად ნიშნავენ ხარკს, წინააღმდეგობის შემთხვევაში, ხალხს ფიზიკური ანგარისწორებით ემუქრებიან",** - აცხადებს კუმისის მებაღეობის "ბაღნარის" თავმჯდომარე. მისივე განცხადებით, ეს "კრიმინალური დაჯგუფება" კუმისის დასახლების ასეთი გაურკვეველი სატატუსით დარჩენისათვის ყველაფერს აკეთებდა და ხელს უშლიდა ყველა წამოწყებას, რაც ამ რეგიონში ხელს შეუწყობდა კანონის ამოქმედებასა და მოსახლეობის დაცვას.

დღეისათვის, მოსახლეობის ზარალმა 600 ათას ლარს გადააჭარბა. ნაკაშიძის ინფორმაციით, 1995 წლიდან 2002 წლამდე ნაკვეთების გადასახადიდან ბიუჯეტში არც ერთი თეთრი არ ჩარიცხულა, არ არსებობს მიწის რეესტრი, 1995 წლიდან დღემდე მითვისებულია ელექტროენერგიის საფასურის დიდი ოდენობით თანხა. **"ელექტროენერგიის საფასურის გადახდისას ქვითარს კი არ იძლევიან, არამედ რომელიღაც გაუქმებული ორგანიზაციის ბეჭდიან ფურცელს",** - განაცხადა ნაკაშიძემ. კუმისის დასახლებაში არსებული განუკითხაობის თავიდან აცილების მიზნით, 2001 წლის ოთხ ივნისს გარდაბნის რაიონში რეგისტრაცია გაიარა და დაფუძნდა ერთიანი იურიდიული ორგანიზაცია კუმისის მებაღეთა კავშირი "ბაღნარი", რომლის ძირითადი დანიშნულებაა მებაღეების ეკონომიური, სოციალური და იურიდიული დაცვა, ასევე მოსახლეობის დასაქმება სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოებაში და აღნიშნული ტერიტორიის მოვლა-პატრონობა. "ბაღნარის" წესდების თანახმად, კუმისის მიმდებარე ტერიტორიის ნაკვეთები, ძირითადად, თბილისისა და რუსთავის მოსახლეობაზე გაიცემა. იურიდიული ორგანიზაციის ჩამოყალიბების შემდეგ, "კუმისის ტბის დასახლებაში არსებული უბედურების თავიდან აცილების მიზნით", ნაკაშიძემ გენერალურ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღძრა კუმისში "მოთარეშე ბანდისა და მისი ერთ-ერთი ლიდერის, კაკო ნაცვლიშვილის წინააღმდეგ", თუმცა, არც მოწინააღმდეგე მხარემ არ დააყოვნა. ნაცვლიშვილმა "ბაღნარის" მიერ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის პარალელურად, ნაკაშიძის წინააღმდეგ და "ბაღნარის" გაუქმების თაობაზე გარდაბნის რაიონის სასამართლოში საჩივარი შეიტანა. გარდაბნის რაიონის მოსამართლე ჩხეიძემ 2002 წლის რვა აპრილს მომჩივნის სასარგებლოდ გადაწყვეტილება გამოიტანა და იურიდიული ორგანიზაცია კუმისის მებაღეთა კავშირი "ბაღნარი" გააუქმა. "ბაღნარის" ხელმძღვანელობამ გარდაბნის რაიონის სასამართლოს გადაწყვეტილება საოლქო სასამართლოში გაასაჩივრა. 2002 წლის პირველ ივლისს საოლქო სასამართლომ გარდაბნის რაიონის სასამართლოს თავისივე განჩინების გაუქმება დაავალა. გარდაბნის რაიონის სასამართლომ დავალება სისრულეში 2002 წლის 12 აგვისტოს მოიყვანა. ნაკაშიძის თქმით, ახლა გარდაბნის რაიონის სასამართლოში მის წინააღმდეგ შეტანილი საჩივრის განხილვა კვლავ მიმდინარეობს. განხილვის რამდენჯერმე გადადების შემდეგ, სასამართლო პროცესი შვიდი აპრილისთვის დაინიშნა. მომჩივანი ნაკაშიძეს კუმისის დასახლების გაპარტახებასა და მოსახლეობის თანხების მიტაცებაში ადანაშაულებს. ნაკაშიძე, ამ ბრალდებებს "შეთითხნილსა და ყურით მოთრეულს უწოდებს". "ბაღნარის" თავმჯდომარე "კრიმინალების" თარეშის და მოსახლეობის შევიწროების ერთ-ერთ მიზეზად იმას ასახელებს, რომ რამდენიმე მაღალჩინოსანს კუმისის მიმდებარე ტერიტორიის ხელში ჩაგდება სურს, ამ მიზნის მისაღწევად კი არაფერს ერიდება, ავიწროებს მოსახლეობას და ისეთ პირობას უქმნის, რომ მათ თავისი სურვილით დატოვონ კუმისი. **"მაღალჩინოსნების დაკვეთით ბანდიტები რას არ აკეთებენ, რომ მოსახლეობა აქედან გააძევონ და მათი მიწები მიზერულ თანხებში ჩაიგდონ ხელში",** - განაცხადა ნოდარ ნაკაშიძემ. კუმისის ხელში ჩაგდების სურვილს კი, "ბაღნარის" თავმჯდომარე, კუმისის მრავალმხრივი პერსპექტივით ხსნის.

**"კუმისის მლაშე სულფიდური ტალახი მიჩნეულია საქართველოს საკურორტო რესურსების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ობიექტად... კუმისის ტბის ტალახის ქიმიური შემადგენლობა და ფიზიკური თვისებები ეფექტურია მრავალი ქრონიკული დაავადების სამკურნალოდ. კუმისის ტალახი შემადგენლობით, ფიზიკური თვისებებით და თერაპიული ეფექტურობით ანალოგია საყოველთაოდ ცნობილი ტამბუკანის ტბის ტალახისა, რომელიც ფართოდაა გამოყენებული კავკასიის მინერალური წყლების სახელგანთქმულ კურორტებზე: ესენდუკში, ჟელეზნოვოდსკში, პიატიგორსკში და კისლოვოდსკში",** - ვკითხულობთ ივ. კონიაშვილის სახელობის კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიის და სამკურნალო ტურიზმის ცენტრის აღმასრულებელი დირექტორის ი. თარხან-მოურავის წერილში. კუმისის ტალახის მაღალხარისხიანი თვისებებიდან გამომდინარე, ექსპერტების შეფასებით, აუცილებელია ამ ტბის მიმდებარე ტერიტორიის ათვისება, მწვანე ნარგავების მოშენება. ასევე აუცილებლად მიიჩნევენ სამკურნალო-დასასვენებელი კომპლექსის მშენებლობასაც, რაც კუმისის ტბის ტალახის გადარჩენის საწინდარი იქნება. ექსპერტები, დაუშვებლად მიიჩნევენ ტბის საბადოსა და მიმდებარე ტერიტორიის გაპარტახებას, რადგან მათი დასკვნის თანახმად, **"დაირღვევა ეკოლოგიური ბალანსი და ტალახის წარმოქმნის პროცესი"**. ამჟამად, კუმისის ტბის ტალახს მხოლოდ თბილისის ბალნეოლოგიური კურორტი და კურორტოლოგიის სამეცნიერო ცენტრი იყენებს ისეთი ქრონიკული დაავადებების სამკურნალოდ, როგორიცაა, საყრდენმამოძრავებელი ორგანოების, ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემების, საჭმლის მომნელებელი, გინეკოლოგიური (უშვილობა), უროლოგიური (პროსტატიტები), კანის და სისხლძარღვთა დაავადებები. კუმისის ტალახის უნიკალურობა შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროშიც აღიარეს. ეს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილის მარინა ღუდუშაურის მიერ სახელმწიფო მინისტრისადმი მიწერილ წერილშიც ჩანს, სადაც მინისტრის მოადგილე კუმისის ტბის ტალახის ეფექტიანობასა და მაღალხარისხიანობაზე საუბრობს.

"კუმისის ტბის წყლის და მასთან არსებული თხიერი მასის მეცნიერულ-ბიოქიმიურ გამოკვლევებს თუ დავეყრდნობით, ეს ტბა ოქროს ზოდია და მას აქვს პერსპექტივა, დიდი საკურორტო, ტურისტული ცენტრი გახდეს. ჭკუა რომ ჰქონდეთ, კუმისს კი არ უნდა აცამტვერებდნენ, უნდა აყვავებდნენ. კუმისის ტბა და მისი ტალახი მარტო ჯანმრთელობის საწინდარი კი არ არის, ქვეყნისთვის შემოსავლის წყაროა, თუკი მას კურორტად ვაქცევთ", - განაცხადა კუმისის ტბის მებაღეობის წევრმა და ამ რეგიონში ტურიზმის განვითარების ერთ-ერთმა ინიციატორმა ნოდარ ნაკაშიძემ. ტურიზმის განვითარების მიმართულებით პირველი ნაბიჯები გადაიდგა კიდეც, ასოციაცია "აღორძინებისა" და რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებთან ერთად შეიქმნა ერთობლივი ორგანიზაცია, რომლის მიზანია საქართველო-რუსეთის თანამშრომლობა ეკონომიკის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და ტურიზმის განვითარების დარგში. ასოციაცია "აღორძინების" ხელმძღვანელის ნოდარ ნაკაშიძის თქმით, მათ უკვე შემუშავებული აქვთ ტურიზმის განვითარების პროექტი, რომლის თანახმადაც, ტურისტული მარშრუტი მოიცავს აჭარის, ქართლისა და ქვემო ქართლის რეგიონებს, მომავალში მათ რიცხვს გურია, იმერეთი და კახეთიც დაემატება. ამის გარდა, ნოდარ ნაკაშიძის თქმით, რეგიონის ასაღორძინებლად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს შპს "შევარდენის" მიერ შემუშავებულ პროექტს, რომელიც კუმისის მებაღეობის ტერიტორიაზე რუსეთის ფედერაციის სვერდლოვსკის ოლქის ქალაქ ეკატერინბურგისა და უკრაინის რესპუბლიკისათვის 500 ადგილიანი სამკურნალო კომპლექსის მშენებლობას გულისხმობს. ნაკაშიძის, თქმით, რომელიც შპს "შევარდენის" თავმჯდომარეცაა, უკვე მზად არის იმ ნაგებობის გეგმა, რომელიც აღნიშნული პროექტის ფარგლებში უნდა აშენდეს.

"შევარდენისა" და "აღორძინების" პროექტების საქმის კურსშია, როგორც ადგილობრივი ასევე ცენტრალური ხელისუფლებაც. ნაკაშიძის თქმით, მთავრობა დაინტერესდა როგორც სამკურნალო-საკურორტო კომპლექსის მშენებლობით, ასევე ტურიზმის განვითარების შესაძლებლობითაც, მაგრამ, იმავე წყაროს ცნობით, ხელისუფლების დაინტერესება, სამწუხაროდ, მხოლოდ სიტყვიერი და წერილობითი ფორმით შემოიფარგლა. ნაკაშიძის თქმით, რეალურად საქმე არავის არ გაუკეთებია. **"ვისაც კი მივმართეთ, გამგეობიდან დაწყებული, სახელმწიფო კანცელარიით დამთავრებული, ყველა დაინტერესდა. სახელმწიფო მინისტრმა შესაბამის უწყებებს სპეციალური დავალებაც კი მისცა კურორტ "კუმისის" განვითარებასთან დაკავშირებით. ცალკეული უწყებებიც დაინტერესდნენ, გაგვესაუბრნენ კიდეც, მაგრამ საბოლოოდ, არაფერი გაკეთებულა",** - განაცხადა ნაკაშიძემ. სვერდლოვსკის ოლქის გუბერნატორისადმი, ედუარდ როსელისადმი ოფიციალურ მიმოწერაში საქართველოს სხვადასხვა უწყების, მათ შორის, ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტისა და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ხელმძღვანელი პირები დიდ მადლიერებას გამოთქვამენ სვერდლოვსკის ოლქის გუბერნატორისადმი და ტურიზმის განვითარებისა და საკურორტო კომპლექსის მშენებლობის საკითხში ყველანაირ მხარდაჭერასაც ჰპირდებიან. ედუარდ როსელისადმი გაგზავნილი წერილები 2002 წლის ოქტომბრით თარიღდება. ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის ვაჟა შუბლაძის სახელმწიფო მინისტრისადმი 2002 წლის 19 თებერვალს მიწერილ წერილში კი ვკითხულობთ, რომ საქართველო-რუსეთის ეკონომიკური განვითარების საერთაშორისო ასოციაცია "აღორძინების" მიერ შემუშავებული კურორტ "კუმისის" განვითარების გეგმის განხილვის შედეგად, ტურიზმის დეპარტამენტმა დაასკვნა, რომ აღნიშნული გეგმის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ კუმისის ტბის ტერიტორიაზე არსებული სხვა მრავალი სუბიქტური თუ ობიექტური პრობლემების მოგვარების შემდეგ. ერთ-ერთ მთავარ პრობლემად კი წერილში, კუმისის ტბაზე არსებული ბუნებრივი სამკურნალო ტალახისთვის შექმნილი საფრთხე გამოიკვეთა. **"ამიტომ აუცილებელია კუმისის ტბის საბადოსა და მისი მიმდებარე ტერიტორიის დაცვა არსებული კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე",** - ვკითხულობთ წერილში.

**"კუმისის ტბაზე არსებული პრობლემების მოსაგვარებლად არაფერი გაკეთებულა",** - ასეთია ადგილობრივი მკვიდრების დასკვნა. პრობლემები კი, ტბის ტერიტორიაზე მცხოვრებთა თქმით, მართლაც რომ "თავზე საყრელადაა".

13 წელია, მტკნარი წყლის რაოდენობამ, რომლითაც კუმისის ტბის შევსება ხდებოდა, შესამჩნევად იკლო. წლების განმავლობაში კუმისის ტბის მტკნარი წყლით შეუვსებლობით, მარილის კონცენტრაციამ ნორმას თითქმის ოთხჯერ გადააჭარბა. მტკნარი წყლის ნაკლებობისა და გლაუბერის მარილის კონცენტრაციის მომატების შედეგად, ტბის ნაპირზე რამდენჯერმე მკვდარი თევზი მასიურად გამოირიყა. გლაუბერის მარილის კონცენტრაციის მომატებამ, თევზის რეწვასთან, ერთად უარყოფითად იმოქმედა კუმისის სოფლის მეურნეობაზეც, რადგან კუმისის ტბას, თევზის რეწვასთან ერთად, საირიგაციო დანიშნულებაც გააჩნია. მიმდებარე ტერიტორიის მცხოვრებთათვის ტბის წყალი, მასში მარილის კონცენტრაციის მომატებამდე, მორწყვის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა.

სტატისტიკური მონაცემებით: კომუნისტების ეპოქაში ამ ტბაში წელიწადში 300 ტონა თევზის რეწვა ხდებოდა; დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ამ მაჩვენებელმა გეომეტრიული პროგრესიით იკლო 1991 წელს – 120 ტონა, 1997 წელს – 70 ტონა, 1998 წელს – 20 ტონა, 1999 წელს კი – 0.

მტკნარი წყლის ნაკლებობა და მარილის კონცენტრატების სიჭარბე კუმისის ტბისთვის დღესაც აქტუალური პრობლემაა. აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად კი არაფერი კეთდება. სპეციალისტების თქმით, ტბის გადარჩენის ერთადერთ გზას მისი მტკნარი წყლით ხელოვნური შევსება წარმოადგენს.

# უშიშროების სამინისტრო ორწლიანი გამოძიების შედეგებს აქვეყნებს

ხათუნა ჯანგირაშვილი

ორი წლის წინ "ეი-ი-ეს მტკვრის" მეათე ენერგობლოკის აფეთქებასთან დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის საქმის გამოძიება უშიშროების სამინისტრომ ახლახან დაასრულა. მაშინ ენერგობლოკზე მომხდარმა ავარიამ მთლიანად გაანადგურა ორთქლის ქვაბი და სხვა დამხმარე მექანიზმები. მართალია, გამოძიება დასრულდა, მაგრამ საქმეში არც დაზარალებული ფიგურირებს და არც მომჩივანი. .

საქმის გამოძიებაში ჩართულმა საინჟინრო-ტექნიკურმა ექსპერტიზამ, რომელშიც საქართველოს ენერგეტიკაში მოღვაწე ექსპერტები მონაწილეობდნენ, დივერსია გამორიცხა. გამოძიების ვერსიით, ძლიერი აფეთქების გამომწვევი მიზეზი გერმანული კომპანია "სიმენსის" მიერ ენერგობლოკზე დამონტაჟებული მართვის ავტომატიზირებულ სისტემაში არსებული სერიოზული დეფექტი იყო. თუმცა, ტექნიკურ გაუმართაობასთან ერთად, მეათე ენერგობლოკის აფეთქების მიზეზად უშიშროება "ეი-ი-ეს მტკვრის" თანამშრომლის სამსახურებრივ დაუდევრობასაც ასახელებს.

**"ეი-ი-ეს მტკვრის" მეათე ენერგობლოკზე მომხდარი აფეთქების მიზეზი ტექნიკური გაუმართაობა და სამსახურებრივი გულგრილობა იყო. "ეი-ი-ეს"-ის თანამშრომელს, რომლის სამსახურებრივი დაუდევრობა და გულგრილობა დადგენილია, საკმარისად უნდა ჩაეთვალა ის პარამეტრები, რომელიც ავარიის წინ გამოჩნდა მონიტორზე. მას მექანიკურად უნდა მოეხდინა აგრეგატის გამორთვა. ასე რომ მომხდარიყო, ავარია თავიდან იქნებოდა აცილებული",** – ასე გამოიყურება მომხდარიდან ორი წლის შემდეგ გაკეთებული დასკვნა, რომლითაც უშიშროების სამინისტრომ საქმის გამოძიება დაასრულა.



*ნიკოლოზ ლალიაშვილი*

უშიშროების ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ ამერიკულმა კომპანიამ ამ ავარიის შედეგად 70 მილიონი აშშ დოლარი იზარალა, თავის დაზარალებულად ცნობისგან დღემდე კატეგორიულ უარს აცხადებს. ამასთან ერთად, "ეი-ი-ეს"-ი არც საკუთარი თანამშრომლის ბრალეულობას აღიარებს და არც "სიმენსის" მიმართ ითხოვს სისხლის სამართლის საქმის აღძვრას. "ჩვენ ჩვენი მოვალეობა შევასრულეთ, მაგრამ საქმეში წინსვლა არ იქნება, თუ "ეი-ი-ეს მტკვარი" თავს არ ცნობს დაზარალებულად", - აცხადებს უშიშროების სამინისტროს პრესასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი ნიკოლოზ ლალიაშვილი, რომლის უწყებაც მიიჩნევს, რომ თანაბრად უნდა გადანაწილდეს პასუხისმგებლობა კომპანია "სიმენსისა" და "ეი-ი-ეს"-ის წარმომადგენლებზე.

უშიშროებაში ვარაუდობენ, რომ საქმე ბოლოს სამოქალაქო დავის სფეროში გადავა. 300-მეგავატიანი ენერგობლოკის აღდგენის და საქართველოს ენერგოსისტემისთვის მიერთების შესახებ საუბარი კი, ჯერჯერობით, არც დაწყებულა.

# ნოტარიუსთა პალატას ახალი ხელმძღვანელები ჰყავს

თეა ხოფერია

ნოტარიუსთა პალატას ახალი თავმჯდომარე - დავით ოყროშიძე უხელმძღვანელებს, მისი მოადგილე კი ნინო ხოფერია იქნება. ნოტარიუსთა პალატის ახალი ხელმძღვანელები იუსტიციის მინისტრის პირველმა მოადგილემ გიორგი წკრიალაშვილმა გუშინ წარადგინა. ნოტარიუსთა პალატის გამგეობის 26 წლის თავმჯდომარე და მისი ასევე ახალგაზრდა მოადგილე, იუსტიციის სამინისტროში ჩატარებულ ნოტარიუსთა საერთო კრებაზე, ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით აირჩიეს. წინააღმდეგი მხოლოდ 3 ნოტარიუსი იყო.

**"დავით ოყროშიძეს იმ ნოტარიუსებმაც დაუჭირეს მხარი, რომლებიც ადრე წინა თავმჯდომარის, ოთარ ზოიძის, აშკარა მომხრეები იყვნენ,"** – აცხადებს გიორგი წკრიალაშვილი.

**"ჩვენი ფუნქცია იქნება, შეძლებისდაგვარად საჭირო ინფორმაცია მივაწოდოთ მოქალაქეებს, გავარკვიოთ იურისპრუდენციის რთულ საკითხებში,"**-ამბობს ნოტარიუსთა პალატის ახლად დანიშნული თავმჯდომარე.

საქართველოში მოქმედ 239 ნოტარიუსს 5 წევრისაგან შემდგარი მმართველი ორგანო - ნოტარიუსთა გამგეობა უხელმძღვანელებს. ნოტარიუსთა ძირითადი ფუნქცია ყოველგვარი კაბალური გარიგებების თავიდან აცილება, კორუფციასთან ბრძოლა, საკანონმდებლო ბაზის მოქალაქემდე სათანადოდ მიტანა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ლათინური ნოტარიატის სამართლებრივ სისტემაში გაწევრიანების ხელშეწყობა იქნება.

ნოტარიუსთა პალატის ახალი თავმჯდომარის დავით ოყროშიძის აზრით, ნოტარიუსის მუშაობაში რაიმე სახით ჩარევა დაუშვებელია. "ხშირად ხელისუფლების ან სამართალდამცველი ორგანოების წარმომადგენლებს კონკრეტულ საკითხზე ობიქტური ჭეშმარიტების დადგენის ნაცვლად სუბიექტური და კორუფციული მისწრაფებები ამოძრავებთ, პალატის გამგეობა შეეცდება, დაიცვას ნოტარიუსთა ინტერესები," - განაცხადა თავმჯდომარემ.

ახალი ხელმძღვანელები ირწმუნებიან, რომ ნოტარიუსთა პალატის გამგეობა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენ და ეთიკის ნორმების დამრღვევ ნოტარიუსებს არ დაიცავს.

# ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო შტაბი ტელეფონის გარეშე დატოვეს

ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო შტაბის ხელმძღვანელობა ქართველ სამხედრო მოსამსახურეებს 2-კილომეტრიანი მაგისტრალური მიწისქვეშა სატელეფონო კაბელის მოპარვაში ადანაშაულებს. საკაბელო სისტემით შტაბის სარდლობა ამიერკავკასიაში განლაგებულ ობიექტებთან პირდაპირ კავშირს ამყარებდა.

კაბელი მიწისქვეშა კომუნიკაციების იმავე სისტემაშია მოთავსებული, რომელშიც საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კავშირის საშუალებები. რუსეთის სამხედრო დაჯგუფებისა და საქართველოს თავდაცვის უწყების შენობები თბილისში ერთმანეთის მეზობლად მდებარეობს.

შტაბის ხელმძღვანელობამ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს კატეგორიული თხოვნით მიმართა, გამოიძიონ საქმე, დააპატიმრონ ქურდები და დააბრუნონ მოპარული კაბელი. ამიერკავკასიაში რუსეთის სამხედრო შტაბი სპეცკავშირს თავის ობიექტებთან დროებით სხვა არხით აწარმოებს.

მთავარი სამხედრო პროკურორის გია ჯიქიას განცხადებით, რუსეთის სამხედრო შტაბის მიერ გავრცელებული ინფორმაცია – თითქოსდა, რუსმა სამხედროებმა დააკავეს 3 ჯარისკაცი – სინამდვილეს არ შეესაბამება: **"ამიერკავკასიაში რუსეთის გენერალურ შტაბში მომხდარ კაბელების ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს მუშაობა, პოლიცია ეჭვმიტანილ პირთა დადგენა-დაკავებაზე მუშაობს. ჯერჯერობით, უცნობია, ვინ მოიპარა კაბელი, ამიტომაც იმის თქმა, რომ ქურდობა ქართველმა ჯარისკაცებმა ჩაიდინეს, ნაადრევია,"** – აცხადებს მთავარი სამხედრო პროკურორი.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, კომენტარს არ აკეთებენ.

# ბიძაშვილმა საკრებულოს თავმჯდომარე და მისი მამა მოკლა

გუშინ, ღამის სამ საათზე, ზესტაფონის რაიონის სოფელ კინითში, საკუთარ ეზოში მოკლეს სოფელ კლდეეთის საკრებულოს თავმჯდომარე რამაზ ძაბირაძე და მისი მამა - ვახტანგ ძაბირაძე.

ზესტაფონის რაიონის პროკურორის ვასილ მაკარიძის თქმით, შუაღამისას ვახტანგ ძაბირაძე ძაღლების ყეფის ხმას გაუღვიძებია. ოჯახის უფროსი ეზოში გასულა თუ არა, ვილაცას ორჯერ უსვრია და იგი ადგილზევე გარდაიცვალა. სროლის ხმაზე სახლიდან გასულა რამაზ ძაბირაძეც, რომელსაც მკვლელმა რამდენჯერმე ესროლა და ისიც მოკლა. ასხლეტილი ტყვიებით დაიჭრა საკრებულოს თავმჯდომარის მეუღლეც, რომელიც ზესტაფონის საავადმყოფოში გადაიყვანეს და მის სიცოცხლეს ამჟამად საფრთხე აღარ ემუქრება.

ზესტაფონის პროკურატურაში საქმე დამამძიმებელ გარემოებაში განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა. მაკარიძის განცხადებით, მკვლელობაში ეჭვმიტანილია რამაზ ძაბირაძის ბიძაშვილი, 21 წლის დავით ძაბირაძე, რომელიც, სავარაუდოდ, სოფლის ტყეს აფარებს თავს. მკვლელობის ადგილიდან ამოღებულია დავით ძაბირაძის კუთვნილი რეგისტრირებული სანადირო თოფი. პროკურორის თქმით, ჯერჯერობით, დაუდგენელია მკვლელობის მოტივი. დაკითხულთა ჩვენებებით, არც ის არის ცნობილი, ჰქონდათ თუ არა წარსულში ბიძაშვილებს კონფლიქტი. მართალია, მკვლელის მშობლები დღეს შვილის შეურაცხადობაზე საუბრობენ, მაგრამ როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, დავით ძაბირაძე წარსულში ფსიქიურად დაავადებულად არ ითვლებოდა და მას არასდროს უმკურნალია.

ზესტაფონის სამართალდამცველები ვარაუდობენ, რომ მკვლელობაში ეჭვმიტანილს უახლოეს დღეებში დააპატიმრებენ და სიმართლეც საბოლოოდ გაირკვევა.

# ბერეზოვსკის ახალი დანაშაული აღმოუჩინეს

დღეს ბორის ბერეზოვსკისა და მისი კომპანიონის - იული დუბოვის რუსეთში ექსტრადირების საკითხის განხილვას ლონდონის სამაგისტრატო სასამართლოში იგივე მოსამართლე შეუდგება, რომელიც აგერ უკვე დეკემბრიდან სწავლობს რუსეთის გენერალური პროკურატურის მოთხოვნას ახმედ ზაკაევის ექსტრადირების შესახებ. გამომდინარე იქიდან, რომ ექსტრადირების შესახებ სასამართლო პროცესები დროში საკმაოდ დიდხანს გრძელდება, დღეისათვის ბერეზოვსკი-დუბოვისთვის საბოლოო ვერდიქტის გამოტანას არავინ ელის. მეტიც, დაახლოებით უკვე ცნობილია, რომ დღევანდელ სხდომაზე მოსამართლე თიმოთი უორკმანი ბრალდებულთათვის შერჩეული აღმკვეთი ღონისძიების მართებულობას განიხილავს - როგორც ცნობილია, ბერეზოვსკიცა და დუბოვიც ას-ასი ათასი ფუნტი სტერლინგის ოდენობით გირაოს შეტანის შემდეგ ბრიტანელმა სამართალდამცველებმა გაათავისუფლეს.

სასამართლო მოსმენების დაწყებამდე ერთი დღით ადრე კი რუსულმა მედიამ გაავრცელა ცნობა იმის თაობაზე, რომ ბორის ბერეზოვსკის სასამართლო პროცესზე მეტად უსიამოვნო სიახლის გაგება ელის. კერძოდ, რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ მას ახალი ბრალდება "გამოუქექა" და ოდიოზური ოლიგარქის ახალი დანაშაულის დამადასტურებელი მასალები უკვე ინგლისელ სამართალდამცველთა ხელშია. ამჯერად ბერეზოვსკის ცხოველების მიმართ სასტიკი მოპყრობა ბრალდება, რაც ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. საქმე ის გახლავთ, რომ რუსეთის გენერალური პროკურატურისთვის ოლიგარქის ერთ-ერთ ყოფილ საყვარელს მიუმართავს და უთქვამს, რომ ბერეზოვსკის ჩხუბის დროს მისი კატა კედელზე მიუხეთქებია, შედეგად კი საბრალო ცხოველს ხერხემალი გადაუტყდა. ამ განცხადების შემდეგ გამოჩნდნენ მოწმეებიც.

რუსული მედია მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევამ შეიძლება გაცილებით დიდი შთაბეჭდილება მოახდინოს ბრიტანელებზე, ვიდრე რუსეთის სახელმწიფო ხაზინის კუთვნილი მილიონების თაღლითური გზით მითვისების ბრალდებამ. დასავლეთში ხომ ცხოველების მიმართ სასტიკი მოპყრობა ერთ-ერთ ყველაზე მძიმე დანაშაულად ითვლება. ამასთან, საქვეყნოდ ცნობილია შინაური ცხოველების მიმართ ბრიტანელთა განსაკუთრებული სიყვარული.

# გარდაცვალების საბუთი – პირადობის მოწმობა

პერმის ოლქის ქალაქ ბერეზნიკის მცხოვრებმა ადამიანის უფლებების დამცველ ორგანიზაციას მიმართა და სთხოვა დახმარება მისი არსებობის ფაქტის დადასტურებაში. ინტერფაქსის ცნობით, 54 წლის მამაკაცი ყოფილი პატიმარია და აცხადებს, რომ ერთადერთი პირადობის დამადასტურებელი საბუთი, რომელიც მას ხელთ აქვს, საკუთარი გარდაცვალების შესახებ მოწმობაა. მამაკაცი ირწმუნება, რომ ეს მოწმობა მას ყოფილმა მეგობარმა ქალმა გადასცა. ამ ქალის თქმით, საბუთი მას დასახიჩრებული გვამის ამოცნობის შემდეგ მისცეს. პერმის ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციის წევრები აცხადებენ, რომ იმ პირის მონაცემები, რომელმაც მათ მიმართა, რუსეთის ფედერაციის არც ერთ მონაცემთა ბაზასა თუ კარტოთეკაში არ მოიპოვება. ორგანიზაციის იურისტთა თქმით, ამ ადამიანის არსებობის დადასტურების ერთადერთი გზა სასამართლოა.

## *ინფორმაცია*

# ნიუ-იორკელი მანიაკი თავს შურისმაძიებელს უწოდებს

ფსიქიურად გაუწონასწორებელ ნიუ-იორკელს ოთხი ემიგრანტის მკვლელობაში ადანაშაულებენ. მკვლელობები 2003 წლის თებერვალსა და მარტში მოხდა. მოკლულთაგან სამი არაბია. როგორც მკვლელი ამბობს, მან 11 სექტემბრის გამო იძია შური. სამივე ემიგრანტი მანიაკმა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, ახლო მანძილიდან გასროლით მოკლა სხვადასხვა სადღელამისო მაღაზიებში. "შურისმაძიებელი" შავკანიანი ლარმე პრაისია. რაც შეეხება მეოთხე მსხვერპლს – რუს ემიგრანტს ალბერტ კოტლიარს, მასთან, თურმე, უბრალოდ შელაპარაკება მოუხდა სამრეცხაოში. "საშინლად გავბრაზდი და იძულებული გავხდი მომეკლა", - ამბობს ბრალდებული.

გუშინ 30 წლის პრაისს ოთხ მკვლელობაში, მკვლელობის მცდელობასა და იარაღის უკანონოდ შენახვაში წაუყენეს ბრალი. ამჟამად იგი თავდებით გათავისუფლების უფლების გარეშე იმყოფება ციხის სპეციალურ საკანში. ასეთი საგანგებო ზომები მისი ფსიქიური მდგომარეობის გათვალისწინებით იქნა მიღებული – ამერიკის ზოგიერთ ციხეში სპეციალური საკნებია გამოყოფილი ფსიქიურად გაუწონასწორებელი პატიმრებისთვის, სადაც ეს უკანასკნელნი განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან, რათა მათი მხრიდან სუიციდის მცდელობა იქნას თავიდან აცილებული.

პრაისის დედამ სამართალდამცველებს აცნობა, რომ მის ვაჟს ნარკოტიკებთან და ფსიქიურ აშლილობასთან დაკავშირებული პრობლემები აქვს. პრაისის მდგომარეობა კიდევ უფრო გართულებულა 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ. მას მკურნალობის კურსიც კი გაუვლია ბრუკლინის ფსიქიატრიულ კლინიკაში, თუმცა - უშედეგოდ. ლარმე პრაისს ორი შვილი ჰყავს და მესამეს ელოდება. პოლიციამ უკვე ამოიღო მკვლელობის იარაღი და ის ტანსაცმელი, რომელიც პირველი მკვლელობის დროს ვიდეოკამერით დაფიქსირდა.

# ახალი კანონის პირველი „მსხვერპლი" უკვე ცნობილია

დღეს, დიდ ბრიტანეთში, ძალაში შედის ახალი კანონი, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნიდან იმ ემიგრანტების განდევნას, რომლებიც "სერიოზულ ზიანს" აყენებენ სახელმწიფო ინტერესებს. კანონი შეეხება იმ პირებს, რომლებსაც ორმაგი მოქალაქეობა გააჩნიათ. ამ კანონის თანახმად, ინგლისის ხელისუფლებას უფლება ეძლევა, მოახდინოს იმ პირების დეპორტაცია, რომელთა ბრიტანეთში ცხოვრებასაც შეუძლებლად მიიჩნევს. ბრიტანეთის შინაგან საქმეთა მინისტრის დევიდ ბლანკეტის თქმით, დიდი ბრიტანეთის მოქალაქეობა ისეთი პრივილეგიაა, რომლითაც არ უნდა სარგებლობდნენ ბრიტანეთის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედი ადამიანები.

იმავე კანონის თანახმად, არალეგალურ ემიგრანტებს დეპორტაციის აპელაციის პერიოდში ქვეყანაში დარჩენა აეკრძალებათ. აგრეთვე, ხელისუფლება მიიჩნევს, რომ ახალი კანონი მნიშვნელოვნად გააიოლებს იმ პირთა წინააღმდეგ ბრძოლას, რომლებიც ბრიტანეთში არალეგალურად მუშაობენ. მიუხედავად იმისა, რომ კანონი აკრძალვათა ფართო სპექტრს მოიცავს, ბევრი ვარაუდობს, რომ იგი ერთი ადამიანისთვის შეიქმნა. ცხადია, ეს აზრი გაზვიადებულია, თუმცა, ცოტას თუ ეპარება ეჭვი, რომ ახალი კანონის პირველი "მსხვერპლი" გახდება მუსულმანი რელიგიური მოღვაწე, შეიხი აბუ ჰამზა. მას ბრიტანეთის ხელისუფლებამ, ჯერ კიდევ წლის დასაწყისში, დააბრალა შუღლის გაღვივება და აუკრძალა ლონდონის ჩრდილოეთში მდებარე მეჩეთში ქადაგება. თებერვალში კი ბრიტანეთის შს სამინისტროს წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ჰამზასა და კიდევ რამდენიმე პირს მუდმივად ადევნებენ თვალყურს.

ეგვიპტეში დაბადებული ჰამზა ლონდონში 1980 წელს ჩავიდა, ცოლად ბრიტანეთის მოქალაქე შეირთო და თავადაც მიიღო მოქალაქეობა. თუ ხელისუფლებამ მის წინააღმდეგ ახალი კანონის გამოყენება გადაწყვიტა, იმავე კანონის თანახმად, ჰამზას ამ გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლება ეძლევა.

## *მოკლედ*

**თბილისი.** გენპროკურატურა გეგმავს თავდაცვის ყოფილი მინისტრის თენგიზ კიტოვანის დაკითხვას ისანი-სამგორის რაიონში 23 მარტს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით.

თუმცა, გენპროკურატურის საგამოძიებო ნაწილის უფროსმა აკაკი ბუდაღაშვილმა არ დააკონკრეტა მოტივი, რის გამოც, თავდაცვის ექსმინისტრის დაკითხვა აუცილებელი გახდა. ჯერჯერობით, გენპროკურატურაში არ იციან, მოსკოვში მყოფ ექსმინისტრს თბილისში დაიბარებენ ახსნა-განმარტების მისაცემად, თუ პირიქით - მასთან ჩავა გამომძიებელი. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეს თბილისის საოლქო სასამართლო განიხილავს მეამბოხე ვეტერანი მეომრებისთვის წინასწარი სამთვიანი პატიმრობის კანონიერებას. 24 მარტს დაკავებულ 15 ვეტერან მეომარს, მე-11 ბრიგადაში მომხდარი ინციდენტის გამო, წინასწარი პატიმრობა თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ 27 მარტს შეუფარდა. მათ ბრალი ედებათ სტრატეგიული ობიექტისა და იარაღის უკანონოდ დაუფლებაში. საოლქო სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, დარჩებიან თუ არა წინასწარ პატიმრობაში მამუკა ცისკარიშვილი, ვლადიმერ გალდავა, დავით კოშკაძე, დავით მარტიაშვილი, ჯუმბერ იაკობიძე, გიორგი ქაჯაია, ავთანდილ გიორგაძე, ოთარ ქულდანიანი, გივი წიკლაური, ნიკოლოზ ლაზარაშვილი, თენგიზ და თემურ როსტამიანები, ზაზა სარაჯიშვილი, გიორგი აბულაძე და რომან დოდაშვილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მსჯავრდებულთა და პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში ჩხრეკა ჩატარდა. ამოიღეს მობილური ტელეფონები, დანები, ჩაქუჩები, მაკრატლები, საეჭვო ფხვნილები, რომლებსაც ექსპერტიზა ჩაუტარდებათ. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის პაატა მხეიძის თქმით, წელს ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ჩხრეკა მეოთხედ ჩატარდა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა ქურდული ტრადიციების მატარებელი, ნასამართლევი, 20 წლის პაატა პეტრიაშვილი დააკავეს ყაჩაღობის ბრალდებით. პეტრიაშვილი, სხვა პირებთან ერთად, სასტუმრო "აჭარასთან" ჩაუჯდა კერძო ტაქსის მძღოლს ტარიელ ბიწაძეს, მოტყუებით მიიყვანა კაიროს ქუჩაზე და დანის მუქარით ფული და მობილური ტელეფონი გასტაცა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ჩეჩენი პატიმრების ექსტრადიციის დადგენილების თაობაზე თბილისის მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კანონიერებაზე უზენაესი სასამართლო 10 აპრილს იმსჯელებს. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოო იქნება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა ამხილეს საქართველოს საფოსტო ბანკის ზუგდიდის ფილიალის მოლარე-კონტროლიორი, აფხაზეთიდან დევნილი, ზუგდიდში მცხოვრები, 33 წლის ნინო შაკაია, რომელმაც 1999-2000 წლების პერიოდში უკანონოდ მიითვისა დევნილთათვის განკუთვნილი დიდი ოდენობით სახელმწიფო შემწეობის თანხა - 12.000 ლარი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სახალხო დამცველი ნანა დევდარიანი მთავარი სამხედრო პროკურორის გია ჯიქიას წინააღმდეგ საჩივარს საოლქო სასამართლოში უახლოეს მომავალში შეიტანს. ამის შესახებ სახალხო დამცველის ადვოკატმა ზვიად კორძაძემ განაცხადა. მისი თქმით, იგი მუშაობს საჩივრის ტექსტზე, რომლითაც საოლქო სასამართლოში მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს 17 მარტის გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს. ადვოკატის თქმით, იგი საჩივარს ბრალდების გამამყარებელ დოკუმენტაციასაც დაურთავს. გასულ წელს, სახალხო დამცველმა ნანა დევდარიანმა, პრესისა და ტელევიზიის საშუალებით, სამხედრო პროკურორი გია ჯიქია სამსახურებრივ გულგრილობაში, იარაღის უკანონო ვაჭრობაში, ოფიციალური დოკუმენტაციის გაყალბებასა და ფინანსურ მაქინაციებში დაადანაშაულა. მთაწმინდა-კრწანისის სასამართლომ სახალხო დამცველს მასმედიით გაკეთებული განცხადებების უარყოფა დაავალა; თუმცა, დევდარიანმა ეს გადაწყვეტილება უკანონოდ მიიჩნია და ქვეყანაში დაუსჯელობის სინდრომის გამოვლინების კიდევ ერთ პრეცედენტად მონათლა. **ინტერ-პრესი**

## მოკლედ

**თბილისი.** პარლამენტის სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, ბესიკ ლაგვილავა არ უარყოფს, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სახელმწიფო ენის პროგრამის განხორციელებისას თანხები არამიზნობრივად დაიხარჯა. "ქართული ენის უცოდინარი პედ-კოლექტივი საკუთარ წრეში კომპეტენტურ პირებს არ უშვებდა და ქართული ენის მასწავლებელთათვის გათვალისწინებულ ხელფასს თავად ინაწილებდა", - აცხადებს იგი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** გასული კვირის ბოლოს ბოტულიზმით კიდევ ორი ადამიანი დაავადდა. როგორც საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, რამაზ ურუშაძემ განაცხადა,ავადმყოფები 58 და 54 წლის ქალბატონები არიან, რომლებიც ოჯახში დამზადებული დაკონსერვებული პროდუქტებით მოიწამლნენ. ამჟამად მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** მსოფლიოში მძიმე, მწვავე რესპირატორული სინდრომის 1.662 შემთხვევა აღირიცხა. ახალი ვირუსული დაავადება გავრცელებულია 14 ქვეყანაში. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ბოლო მონაცემებით, ამ დაავადებით 58 ადამიანი გარდაიცვალა. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, ამირან გამყრელიძის განცხადებით, ამ დაავადების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით, საქართველოში მიღებულია ყველა ზომა და შესრულებულია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციები. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 7 აპრილი - ჯანდაცვის მსოფლიო დღე, წელს ბავშვთა ქრონიკული ალერგიული დაავადებების და ასთმის ძირითად გამომწვევ მიზეზებს ეძღვნება. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის, ამირან გამყრელიძის განცხადებით, ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში უფასო კონსულტაციები და გასინჯვები ჩატარდება. **მედია-ნიუსი**

## სატელევიზიო ტოტალიზატორის "საოჯახო ტოტოს" გათამაშების წესები

გათამაშება გაიმართება სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი-2"-ის პირდაპირ ეთერში ყოველ შაბათს 22 საათზე.

გათამაშებაში მონაწილეობს **90** კოჭი - **1-დან 90-ის** ჩათვლით. მისი წესები მარტივია - იგი ტრადიციული ლოტოს პრინციპზეა აგებული. მთავარი ამოცანაა **15-ციფრიანი** დაფის შევსება **75 სვლის ჩათვლით**.

გათამაშებაში მონაწილეობს ორი ტიპის ბარათი:

1. ორგანიზატორის მიერ წინასწარ შევსებული (მზა) სხვადასხვა ფასიანი ბარათი, რომლის შეძენაც შესაძლებელია სარეალიზაციო პუნქტებში.

2. მოთამაშის მიერ თავისი სურვილით შერჩეული ნებისმიერი 15 ციფრი, რომლის შევსება შესაძლებელია სპეციალურად გამოყოფილ ადგილებში.

მოგებულად ჩაითვლება ბარათი, რომელზეც 75 სვლის ჩათვლით შეივსება ბარათზე არსებული თხუთმეტივე ციფრი.

ბარათის შევსების შემთხვევაში მოთამაშეს ეკუთვნის ფულადი მოგება, რომლის ოდენობა განისაზღვრება დადებული ფსონისა (ბარათის ღირებულება) და ბარათის შევსების მომენტში სვლის კოეფიციენტის ნამრავლით. მაგ: თუ თქვენი ბარათი შეივსო 30-ე სვლაზე, რომლის კოეფიციენტიც თქვენთვის წინასწარაა ცნობილი და პირველ გათამაშებაზე 16 000-ია, ე.ი. თქვენ მოიგეთ:

**50-თეთრიანი ბარათის შემთხვევაში - 0.5X16 000=8 000 ლარი.**
**1-ლარიანი ბარათის შემთხვევაში - 1X16 000=16 000 ლარი.**
**2-ლარიანი ბარათის შემთხვევაში - 2X16 000=32 000 ლარი.**

**გათამაშების შედეგები და მომდევნო ტირაჟის კოეფიციენტების ცხრილი გამოქვეყნდება გაზეთ "24 საათში".**

*დამატებითი ინფორმაციისათვის და დაწვრილებითი ცნობებისათვის დარეკეთ 96 38 47.*

*შეიძინეთ, გაერთეთ და მოიგეთ!*

*შპს "ფენიქსი" გისურვებთ წარმატებას!!!*

| სვლა | კოეფიციენტი | სვლა | კოეფიციენტი |
|---|---|---|---|
| 15 | 25 000 | 46 | 9 00 |
| 16 | 25 000 | 47 | 8 00 |
| 17 | 25 000 | 48 | 7 00 |
| 18 | 25 000 | 49 | 6 00 |
| 19 | 25 000 | 50 | 5 00 |
| 20 | 20 000 | 51 | 4 00 |
| 21 | 20 000 | 52 | 3 00 |
| 22 | 20 000 | 53 | 2 00 |
| 23 | 20 000 | 54 | 1 00 |
| 24 | 20 000 | 55 | 90 |
| 25 | 20 000 | 56 | 80 |
| 26 | 20 000 | 57 | 70 |
| 27 | 19 000 | 58 | 60 |
| 28 | 18 000 | 59 | 50 |
| 29 | 17 000 | 60 | 40 |
| 30 | 16 000 | 61 | 30 |
| 31 | 15 000 | 62 | 28 |
| 32 | 14 000 | 63 | 26 |
| 33 | 13 000 | 64 | 24 |
| 34 | 12 000 | 65 | 22 |
| 35 | 11 000 | 66 | 20 |
| 36 | 10 000 | 67 | 18 |
| 37 | 9 000 | 68 | 16 |
| 38 | 8 000 | 69 | 14 |
| 39 | 7 000 | 70 | 12 |
| 40 | 6 000 | 71 | 10 |
| 41 | 5 000 | 72 | 8 |
| 42 | 4 000 | 73 | 6 |
| 43 | 3 000 | 74 | 4 |
| 44 | 2 000 | 75 | 2 |
| 45 | 1 000 | | |




# მერია მთაწმინდა-სოლოლაკელებს ახალ სახლებს ჰპირდება

ქალაქის მერია სოლოლაკსა და მთაწმინდაზე ავარიულ სახლებში მცხოვრებთ საინტერესო წინადადებას სთავაზობს, - ძველ ბინებს დაგინგრევთ, სპონსორს ვიშოვით, ახალს ავაშენებინებთ და ახალ სახლში კუთვნილ ფართს მიიღებთ; მანამდე კი დროებით თავშესაფარს მოგცემთო. "ქალაქის არქიტექტურის დეპარტამენტმა მთაწმინდა-კრწანისის რაიონში დანგრეული უბნები შეისწავლა, რის შემდეგაც ქალაქის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, ისეთი ავარიული სახლები, რომელიც ისტორიულ ძეგლებს არ წარმოადგენს, დაანგრიოს. ოღონდ, ახალი სახლების გარე ფასადიც ძველი ტიპის უნდა იყოს, შიგნით კი თანამედროვე სტილით დააპროექტებენ", - გვითხრეს მერიაში.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

ბარიკადები ზოდელავას ქუჩაზე.

თუკი მოსახლეობა ასეთ წინადადებას დათანხმდება, ქალაქის ხელმძღვანელობა იმედოვნებს, რომ მშენებელ კომპანიებს ადვილად გადაიბირებს. სხვა თუ არაფერი, მთაწმინდა-სოლოლაკი პრესტიჟული რაიონებია და სამშენებლო კომპანიებმა მერიის წინადადებაზე უარი არ უნდა თქვან.

გუშინ მერიის წარმომადგენლები სოლოლაკის რამდენიმე ქუჩის მოსახლეობას სწორედ ამ მიზნით ეწვივნენ, რათა მათთვის ზემოთ აღნიშნული იდეა გაეცნოთ. მოქალაქეები მერიის წინადადებამ იმდენად დააინტერესა, რომ ლერმონტოვის ქ. №19-ში მცხოვრებლებმა აქციაც კი მოაწყეს, - მერი ჩვენ რატომ არ გვეწვია, რატომ გამოგვტოვაო. დღეს მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები აღნიშნული უბნების მოსახლეობას ისევ ეწვევიან და აღნიშნული წინადადების მომხრე მოქალაქეების ხელმოწერებს შეაგროვებენ. მერიის პრეს-სამსახური განაწყენებულ მოქალაქეებს ამშვიდებს, - ქალაქის ხელმძღვანელობა თქვენც აუცილებლად მოგაკითხავთო.

*"24 საათი"*

# 6 ქართველი მეზღვაური ექვსთვიან ტყვეობას იხსენებს

თამარ დვალი

*ქართველი მეზღვაურები, რომლებმაც, საკუთარი გამჭრიახობის წყალობით, დააღწიეს თავი სომალიში ექვსთვიან ტყვეობას, გუშინ სამშობლოში მთავრობის წარმომადგენლებისგან საქებარ სიტყვებსა და საქმიან წინადადებებს ისმენდნენ. ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრმა, მერაბ ადეიშვილმა მეზღვაურებს აღდგენილი პასპორტები და სერთიფიკატები გადასცა. ექვსივე მეზღვაური - არტურ არტურიანი, ანატოლი არხანგაროცკი, კოლია რიჟოვი, ალექსანდრე ჭიხაძე, ზურაბ გიორგაძე და გულადი რუხაძე - ქალაქ ფოთის მაცხოვრებელია.*



ლევან ხერხეულიძის ფოტო

სამინისტროს "ტყვეობაში".

ქართველი მეზღვაურები, უკვე რამდენიმე წელიწადია, საბერძნეთის საზღვაო ფირმებთან აფორმებენ კონტრაქტს. ამჯერად მათ საქართველო დეკემბერში დატოვეს და ერთ-ერთ ბერძნულ ფირმასთან დადეს ხელშეკრულება. ივნისის თვეში, როდესაც შრი-ლანკისკენ რიგით მეოთხე რეისს ასრულებდნენ, ძლიერი ღელვა დაიწყო და მეზღვაურები იძულებულები გახდნენ, გემი სომალის ნაპირებთან შეეჩერებინათ. 30 ივლისს, დილის 10 საათზე ისინი სომალელების ტყვეობაში აღმოჩნდნენ.

**"ისე უცბად მოხდა ყველაფერი, რომ ჩვენ აზრზე მოსვლაც ვერ მოვასწარით",** -იხსენებს ერთ-ერთი მეზღვაური, გულადი რუხაძე. მან "24 საათთან" საუბრისას დაწვრილებით გაიხსენა ის ექვსი თვე, რომელიც ტყვეობაში გაატარა. - **ოცი შეიარაღებული სომალელი ნავებით მოგვადგა და გემზე არსებული ტელეფონით ჩვენს მეპატრონეს დაუკავშირდა. როგორც გაირკვა, ისინი ნახევარ მილიონ დოლარს ითხოვდნენ. გარკვეული ხნის შემდეგ ჩვენმა მეპატრონემ მათ 80 ათასი დოლარი გადაუხადა, მაგრამ ამას არ დასჯერდნენ და თანხის დამატება მოითხოვეს. გემზე ქვემეხიც დააყენეს და ჩვენი გემის მეშვეობით სხვა გემების დაპყრობაც დაგეგმეს. მართალია, ფიზიკურად არ გვეხებოდნენ, მაგრამ გამუდმებით შიშში ვიყავით. რამდენიმე მათგანი ფსიქიურად გაუწონასწორებელი იყო. ჯერ არდაჭერილი გემისა და მოსაპოვებელი თანხის გამო, ისინი გამუდმებით ჩხუბობდნენ და ანერვიულებულები ქვემეხს გვიმიზნებდნენ. მას შემდეგ, რაც საქმეში მედია ჩაერთო, იმედი მოგვეცა. პირველად "რუსთავი-2" დაგვიკავშირდა. რომ არა ასეთი აქტიური კონტაქტები, მხოლოდ ბერძნების იმედად ჩვენი გემიანად დავიკარგებოდით. საქართველოს ტრანსპორტის სამინისტროდანაც დაგვიკავშირდნენ და გვითხრეს, რომ თუ საქმე გართულდებოდა, სამხედრო ძალას გამოიყენებდნენ. ჩვენ, ძირითადად, მდაბიო არაბები გვმეთვალყურეობდნენ, რომლებსაც იარაღისა და თევზის მეტი არაფერი ენახათ. ცხადია, სოფელში გაჭირვებულ ცხოვრებას გემზე ცხოვრებას ამჯობინებდნენ."**

ექვსი თვის თავზე გემზე საკვები გამოილია და ტყვეებთან ერთად სომალელებსაც მოუწიათ შიმშილობა. 4 დღის ლოდინის შემდეგ სომალელებმა შიმშილს ველარ გაუძლეს და საკვების მოსატანად წავიდნენ. ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ გემზე საწვავი აღარ იყო და მძევლები მათ მისვლამდე ვერსად წავიდოდნენ. როგორც აღმოჩნდა, ჩვენს თანამემამულეებს თადარიგი თავიდანვე დაუჭერიათ და საწვავი გადაუმალავთ. **"რამდენჯერმე შეგვამოწმეს, მაგრამ საწვავს ვერ მიაგნეს. ამით დაიმედებულები საკვების მოსატანად წავიდნენ. მათი წასვლიდან 10 წუთში გამოვიქეცით. მართალია, შორს რაღაც ნავი გამოჩნდა, მაგრამ დაწევით არავინ დაგვწევია. ცენტრალურ ნაწილში გასვლისთანავე ჩვენს ფირმაში მომუშავე გემი შეგვხვდა. მათ საწვავი და საკვები მოგვცეს, რის შემდეგაც საბერძნეთში დავბრუნდით და ჩვენს მეპატრონეს გემი დავუბრუნეთ. იქიდან, დუბაისა და სტამბულის გავლით, თბილისში 7 თებერვალს ჩამოვედით",** - იხსენებს რუხაძე.

იმის გამო, რომ თვითმფრინავი დროზე ადრე ჩამოფრინდა საქართველოში, მეზღვაურებს აეროპორტში არავინ დახვედრია. მთავრობის წარმომადგენლები გუშინ ამტკიცებდნენ, რომ დღიდან მათი დაჭერისა, ეს ადამიანები ახსოვდათ, გულშემატკივრობდნენ და მათთვის გარკვეული დახმარების აღმოჩენასაც აპირებენ.

**"ამ ხალხმა სერიოზული ფიზიკური და სულიერი ტრამვა განიცადა. სახელმწიფომ უფრო მეტი და განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინოს მათ მიმართ. მათთვის დაკარგული საბუთების აღდგენა ჩვენი მხრიდან პირველი ნაბიჯი იყო. ახლა მათ მომავალ დასაქმებაზე უნდა ვიზრუნოთ. ვაპირებთ მოვნახოთ იმის საშუალება, რომ მათი დასაქმება შევძლოთ საერთაშორისო სანაოსნო კომპანიაში. ასევე ვაპირებთ, მათთვის კვალიფიკაციის ასამაღლებლად გარკვეული თანხები მოვიძიოთ",** -განაცხადა ტრანსპორტისა და კომუნიკაციების მინისტრმა, მერაბ ადეიშვილმა.

# დასახელდნენ „მოსახლეობის ჯანმრთელობის მტერი" პარლამენტარები

*თამბაქოს საწინააღმდეგო ცენტრმა პირობა შეასრულა და "მოსახლეობის ჯანმრთელობის მტერი" პარლამენტარების გვარები დაასახელა. "ეს დეპუტატები თამბაქოს იმპორტიორებისა და მწარმოებლების წინაშე ქულებს იწერენ, რათა შემდეგ მადლიერმა ინდუსტრიამ წინასაარჩევნო კამპანია დაუფინანსოს", - განაცხადა ცენტრმა.*

ნანა ქადაგიშვილი

თამბაქოს მოწინააღმდეგეებმა "მოსახლეობის ჯანმრთელობის მტრის" სტატუსი გიორგი ბარამიძეს, ელენე თევდორაძეს, დავით კაკაბაძეს, ნოდარ ჯავახიშვილსა და "აღორძინების" ყველა წარმომადგენელს მიანიჭეს, რადგან მათ "თამბაქოს კონტროლის შესახებ" კანონპროექტის ჩაგდებაში დიდი წვლილი მიუძღვით. გიორგი ბარამიძე და ელენე თევდორაძე მიიჩნევენ, რომ კანონპროექტი მწეველთა, განსაკუთრებით კი 300 ათასი უფილტრო სიგარეტის მომხმარებლის, უფლებებს არღვევს. ნოდარ ჯავახიშვილი კანონპროექტის იმ მუხლს არ ეთანხმება, სადაც აღნიშნულია, რომ სიგარეტის გასაყიდი პუნქტები საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან 50 მეტრის დაშორებით უნდა განთავსდეს. "რატომ 50 მეტრის სიშორეზე და არა – 51, ან 52 მეტრის?" - კითხულობს იგი. ყველაზე გასაგები "აღორძინების" პოზიციაა - "ომეგასთან" მეგობრობა მას თამბაქოს კონტროლის შესახებ კანონპროექტის მხარდაჭერის უფლებას არ აძლევს. რაც შეეხება ლაგოდეხის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს, დავით კაკაბაძეს, იგი ლაგოდეხის თამბაქოს წარმოებას ლობირებს, პარლამენტში მისი ყოფნის მიზანიც ეს არის. თამბაქოს ინდუსტრია დეპუტატების ხელით მოქმედებს. იმპორტიორები და მწარმოებლები ხმამაღლა აცხადებენ, რომ კანონპროექტს არ ეწინააღმდეგებიან, ამ დროს კი საქმეს პარლამენტარების დახმარებით აკეთებენ", - ცენტრის ხელმძღვანელობას დეპუტატების წინააღმდეგობა არ აკვირვებს.

კანონპროექტი, "თამბაქოს კონტროლის შესახებ", ახლახან ნიუ-იორკში მიღებულ კანონივით მკაცრი არ არის, მაგრამ, ალბათ, თამბაქოს ინდუსტრიას მისი ამოქმედება ხელს მაინც არ აძლევს. კანონპროექტის რამდენიმე პუნქტი კი მას განსაკუთრებით აღიზიანებს - მაგალითად, საგანმანათლებლო დაწესებულებების სიახლოვეს სიგარეტით ვაჭრობის აკრძალვა, კოლოფის შეფუთვის წესები, რაც კოლოფზე გამაფრთხილებელი წარწერის აუცილებლობასა და თამბაქოში ნიკოტინისა და კუპრის შემცველობის აღნიშვნას მოითხოვს. ამის გარდა, კანონპროექტი მწარმოებლებსა და იმპორტიორებს მასობრივი გამოყენების პროდუქტებზე საკუთარი ლოგოს განთავსებას უკრძალავს. იმისი ილუზია არავის აქვს, რომ კანონის ამოქმედებისთანავე მისი ყველა პუნქტი ზედმიწევნით შესრულდება, მაგრამ კანონი თამბაქოს ინდუსტრიაში არსებულ დარღვევებს გარკვეულწილად მაინც შეამცირებს.

# ბაზრის დირექტორები საკუთარ ინტერესებს სასამართლოში დაიცავენ

*გუშინ ანტიმონოპოლიური სამსახურის თბილისის ბიურომ ორი აგრარული ბაზარი - შპს "ნავთლუღი" და შპს "შავი გედი" შეამოწმა. ობიექტების შემოწმების შედეგად აღმოჩენილი დარღვევების საფუძველზე, ანტიმონოპოლიური ბიუროს წარმომადგენლებმა შესაბამისი ოქმები შეადგინეს და ბაზრის დირექტორებს ჯარიმებიც დააკისრეს. ჯარიმის ნებაყოფლობით გადახდაზე ორივე აგრარული ობიექტის ხელმძღვანელმა უარი განაცხადა.*

სოფიკო ოხანაშვილი

"მომხმარებელთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონის" მოქმედების, ვეტერინარული მომსახურებისა და "აგრარული ბაზრების მუშაობის წესების" დარღვევისათვის ჯარიმა 1000-დან 3000 ლარამდე განისაზღვრება. ჯარიმის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში ბაზრის დირექციას მხოლოდ ათასი ლარის გადახდა მოუწევს. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ანტიმონოპოლიური სამსახურის თბილისის ბიუროს მიერ შედგენილი ოქმი შესაბამის რაიონულ სასამართლოს წარედგინება, რომელიც ჯარიმის კონკრეტულ ოდენობას განსაზღვრავს.

11 მარტს თბილისის ანტიმონოპოლიური ბიუროს ხელმძღვანელობამ 14 აგრარული ბაზრის დირექციას, აღნიშნულ ობიექტებზე არსებული დარღვევების გამოსწორების მიზნით, შესაბამისი მიწერილობები გაუგზავნა. ხარვეზების გამოსასწორებლად კი აგრარული ბაზრების ხელმძღვანელობას ათი დღის ვადა მიეცა. ანტიმონოპოლიური ბიუროს ჯგუფის ხელმძღვანელის, მამუკა გრიგოლიას თქმით, დღეს ბაზრებში, ძირითადად, მსგავსი დარღვევებია. ეს გუშინ განხორციელებულმა შემოწმებამაც ცხადჰყო. ანტიმონოპოლიური სამსახურის თბილისის ბიუროს წარმომადგენლის თქმით, ორივე აგრარულ ობიექტზე, თითქმის, იდენტური დარღვევები - დაულუქავი სასწორები, დაუდაღავი გირები, დაუნომრავი ქვითრები, მოვაჭრეების სანიტარული ტანსაცმლით, არასრულყოფილად უზრუნველყოფა, სისუფთავის ნორმების დარღვევის ფაქტები და ა.შ. - დაფიქსირდა. შპს "ნავთლუღის" დირექტორი, შოთა ოთიურიძე შემმოწმებელ ჯგუფს ყველა შენიშვნის გათვალისწინებას დაჰპირდა. ჯარიმის ნებაყოფლობით გადახდაზე კი ოთიურიძემ კატეგორიული უარი განაცხადა. თავისი გადაწყვეტილება ფინანსების არქონით ახსნა. **"ათასი ლარი რომ გადავიხადო, გავკოტრდები და ეგ არის. ისედაც, 700-ადგილიან ბაზარში სულ 100 კაცილა მუშაობს. განა ისეთი რა დარღვევები აღმოაჩინეს, რომ ამხელა ჯარიმა დამაკისრეს",** - აღშფოთება ვერ დამალა შპს "ნავთლუღის" დირექტორმა. მისივე ინფორმაციით, დღეს ბაზრები დაცარიელების რეალური საფრთხის წინაშე დგას. ამის მთავარ მიზეზს კი მომძლავრებული და გაუკონტროლებელი გარევაჭრობა წარმოადგენს.

# ჯარისკაცებისა და გენერლების თვალით დანახული ომი

მელორ სტურუა
საკ. კორ. აშშ

## "არ მინდა ვინმეს მკვლელი ვეგონო"

რამდენიმე სიტყვა "სანგრის სინამდვილეზე" - ჯარისკაცების თვალით შეფასებულ ომზეც ვთქვათ.

მარკ რედმონდი - ქვეითთა მესამე დივიზიის პირველი ბრიგადის ქვედანაყოფის სერჟანტი. მარკი დაიბადა ფლორიდის პატარა ქალაქ გეიტსვილში, სადაც სულ ოთხი ეკლესიაა, ქუჩებზე კი შუქნიშნები საერთოდ არ არის - არ სჭირდებათ. მარკი სამი წლის წინათ ჩადგა სამხედრო სამსახურში. მისმა ცოლმა ოფიცერს, რომელსაც მისი ქმრის რეკრუტირება ეხებოდა, სთხოვა ქმარი M.O.S-ში გაენაწილებინა (ჯარისკაცული ჟარგონით ეს "ნაკლებად საშიშ საქმიანობას" ნიშნავს). მაგრამ, M.O.S.-ის ნაცვლად, მარკმა თავი ერაყში ამოყო. უკანასკნელი სამი დღე-ღამის განმავლობაში ქვედანაყოფი სოფელ კიფლის მახლობლად (ბაღდადიდან 75 მილის მანძილზე) მდინარე ევფრატზე გადებული ხიდის ასაღებად იბრძოდა.

შაბათს, 29 მარტს კიფლისა და, ასევე, წმინდა ქალაქის - ნაჯაფის გარშემო მიმდინარე ბრძოლები მიწყნარდა. გაიმარჯვეს ამერიკელებმა, რომლებმაც მიწის პატარა ნაგლეჯი დაიპყრეს. დახოცილი ერაყელების რაოდენობას ითვლიან და ომს განიხილავენ. ეს დღეები სერჟანტ რედმონდს მძიმე მოგონებად დარჩება:

**- ვუყვირი მათ: "კიფ," "კიფ!" ("შეჩერდი" არაბულად - მ.ს.); ისინი კი მოდიან და მოდიან... მე ცოლი და შვილები მყავს - შინ, მათთან მინდა დაბრუნება, მაგრამ არ მინდა, რომ ჩემებმა მკვლელად ჩამთვალონ.**

ჯარისკაცი ომში ხალხს რომ ხოცავს, ეს მკვლელობად არ ითვლება. აბა, რა არ ასვენებს ახალგაზრდა სერჟანტის სინდისს?

ბრძოლის დროს ის იჯდა "ხემბის" საბრძოლო მანქანაში, რომელიც 50-კალიბრიანი ზარბაზნით, ნაღმტყორცნით, ხელყუმბარითა და ტანკსაწინააღმდეგო რაკეტით იყო აღჭურვილი; ხელში კი ყველაზე თანამედროვე სასროლი იარაღი ეჭირა - M-4. ის მთელ ამ არსენალს ერთად ისროდა, ტანკსაწინააღმდეგო რაკეტის გამოკლებით, რადგან მოწინააღმდეგეს ადამის დროინდელი "კალაშნიკოვების" გარდა არაფერი გააჩნდა, მაგრამ, ამ იარაღის ამარა, მაინც პირისპირ იბრძოდა ტანკებისა და "ბრედლის" ჯავშანმანქანების წინააღმდეგ.

**- ამას სიმამაცეს ვერ დავარქმევ. ეს სიბრიყვეს უფრო ჰგავს. ჯარისკაცის სიცოცხლეს ჩვენ უფრო ვუფრთხილდებით, ვიდრე ისინი. AK-47 "ბრედლის" წინააღმდეგ რას გახდებოდა, მაგრამ ჩვენკენ მაინც ისე მოიწევდნენ, გეგონებოდა - წვრთნას გადიანო. ნამდვილი თვითმკვლელობა იყო.**

მაგრამ სერჟანტი იმასაც ეჭვობს, რომ მოწინააღმდეგის ჯარისკაცების ეს თვითმკვლელობა მკვლელობაც იყო, რადგან ის და მისი ამხანაგები, თითქმის, შეუიარაღებელ ადამიანებს ხოცავდნენ, როცა თავად AK-47-ის საწინააღმდეგო, ტყვიაგაუმტარი ჯავშნები ეცვათ. აი, რა აწვალებს მარკ რედმონდს და სინდისს რა უფორიაქებს.

**- შინ რომ დავბრუნდები, ხალხი, როგორც გმირს, ისე შემხვდება, მაგრამ რა გმირი მე ვარ. მე ქრისტიანი ვარ და ადამიანის მოკვლა გმირად არ მაქცევს. სახლში მინდა დაბრუნება, ცოლ-შვილთან - სხვა არაფერი...**

მარკისთვის უფრო უარესი სანახაობა ბრძოლის დამთავრების შემდეგ დაიწყო - როცა მან და სხვა ჯარისკაცებმა მოწინააღმდეგეთა გვამების აკრეფა, მათი პლასტიკურ ტომრებში ჩალაგება და გადათვლა დაიწყეს. ტომარა უამრავი იყო, ძალიან ბევრი.

**- მეგონა, ყველა ერთად დაგვნებდებოდა, არადა... - ამბობს სერჟანტი.**

მთავარი კაპელანი - ბრიგადის მღვდელი, მაიორი მარკ ნორდსტრომი გვიამბობს, რომ ის კილფის ხიდთან ბრძოლის შემდეგ მთელი ექვსი საათი აწყნარებდა ჯარისკაცებს. მათ შორის იყო მისივე მოსახელე სერჟანტი რედმონდიც. თავად მაიორი ნორდსტრომი, რაგინდ საკვირველიც უნდა იყოს, პაციფისტია. მას წმინდა ავგუსტინეს სიტყვები მოჰყავდა სამართლიანი ომის შესახებ – ანუ ამ ომს ისე ახასიათებდა, როგორც ძალისმიერი მუქარით დაშინებული მეზობლის დასაცავად სიყვარულით რეაგირებას. ნეტავ აშშ-ს რომელ მეზობელს ემუქრებოდა ერაყი - მექსიკას თუ კანადას?

**- ბოლო დღეების განმავლობაში უამრავი ადამიანი დავხოცეთ, - ამბობს პაციფისტი მღვდელი, - ამისთვის ვერასოდეს იქნები მზად - ერთი ადამიანის მოსაკლავადაც კი. ვერაფრით მოემზადები იმისთვის, რომ ადამიანის სხეული ტყვიამფრქვევის ჯერით დაცხრილო... ჯარისკაცები, როდესაც მათთან მივდივარ, ან თავად მოდიან ჩემთან, სულ ერთსა და იმავეს მეუბნებიან, - არაადამიანები და მკვლელები არ ვართო...**

რომის პაპმა, იოანე-პავლე II-მ ყველა კაპელანს მოუწოდა ომის წინააღმდეგ გამოსასვლელად. ვაშინგტონში მას "ბებერი დოგმატიკოსი" უწოდეს... თან საკმაოდ ღიად მიანიშნეს, რომ მოხუცმა, როგორც ჩანს, სრულიად დაკარგა განსჯის უნარი.

ცენტრალურ ერაყში ამერიკული ჯარის შემმოწმებელ პუნქტს ტაქსი მიუახლოვდა. ტაქსიდან გადმოსულმა ერაყელმა მძღოლმა ჯარისკაცებს დახმარება სთხოვა; როცა ამერიკელები მიუახლოვდნენ, თავისი მანქანა და ჯარისკაცები ააფეთქა და თავიც აიფეთქა. ოთხი ამერიკელი დაიღუპა. სადამ ჰუსეინმა პირველი ერაყელი კამიკაძე სიკვდილის შემდგომ ერთბაშად ორი მედლით დააჯილდოვა. ვიცე-პრეზიდენტმა რამადანმა განაცხადა, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია. პენტაგონი კი ისევ ტერორიზმზე ალაპარაკდა.

რადგანაც "კოალიციის" შეიარაღებული ძალები ერაყის ომში ტაქსებისა და კამიკაძეების მსგავს საშუალებებს არ ფლობენ, ამიტომ იძულებულები გახდნენ, ბაღდადის გამძვინვარებული დაბომბვა ისევ ძველებურად - თავიანთი "ბუნკერ-ბასტერებით" და ფრთოსანი რაკეტებით განეახლებინათ.

## ცეცხლოვანი სეტყვა ბაღდადის თავზე

ქვიშის ქარბუქი ჩადგა. ცა ერაყის თავზე ისევ ლურჯია. ისევ შეიძლება ბაღდადის დაბომბვა - დაკარგული დროის აღდგენა, თან უფრო მეტი ძალით - რაც მეტი, მით უკეთესი. არ უნდა ერაყს დანებება? - მაშინ კიდევ შევუნთებთ ცეცხლს! რა იცი, იქნებ გონს მოეგოს. ბომბები დამაჯერებელი არგუმენტია, ბევრი ბომბი - კიდევ უფრო დამაჯერებელი.

ისე ჩანდა, თითქოს, ვერაფერი იმოქმედებდა "ბუნკერ-ბასტერებად" წოდებულ იმ ბომბებზე უკეთ, ზეთანამედროვე, მძიმე, უჩინარი ბომბდამშენებით (ბ-2) რომ დაატეხეს ბაღდადს. სამეცნიერო ენაზე ამ ბომბებს GBU-37 GPS-Aidcd Muniyion ეწოდება. მათი სიგრძე 19 ფუტია, დიამეტრი - 1 ფუტი და 2 დუიმი, წონა - 4.7000 ფუნტი. ქობინი, ეგრეთ წოდებული A B4U-113, ობიექტს GPS თანამგზავრის მეშვეობით იღებს მიზანში და, ვიდრე აფეთქდებოდეს, შეუძლია ბეტონი ან ნებისმიერი ნიადაგი 30 ფუტის სიღრმეზე გახვრიტოს. შეიძლება ითქვას, რომ "ბუნკერ-ბასტერი" "ბომბების დედის" "უმცროსი დაა".

ბ-2 ბომბდამშენებმა ეს "უმცროსი დები" ქალაქის ცენტრზე, ინფორმაციის სამინისტროს და სხვა საკომუნიკაციო კვანძებს დაუშინეს. თითქოს, ამერიკელების დაცინვის და მათი გამოწვევის მიზნით, სამინისტროს წინ აღმართულ სადამ ჰუსეინის გიგანტურ ქანდაკებას არაფერი მოუვიდა. თითქმის, მთელ ბაღდადში გაწყვეტილია სატელეფონო კავშირი, ტელეეკრანები დროებით ჩაქრა, მაგრამ ისევ აინთო. ტელევიზიამ თავისი გადაცემების ტრანსლაცია განაახლა მობილური ლოკატორების საშუალებით, რომლებიც სატვირთო მანქანებზე დაამონტაჟეს; დაიწყეს დუბლირებული მიწისქვეშა ბოჭკოვან-ოპტიკური საკავშირო ხაზების აღდგენაც. ამერიკის სამხედრო საჰაერო სარდლობამ განაცხადა, რომ დაბომბვის მიზანი "ჰუსეინის რეჟიმისთვის საკუთარი შეიარაღებული ძალების მართვისა და მათი გაკონტროლების შესაძლებლობის მოსპობა" იყო (აშშ-ს ნაციონალური სააგენტოს მონაცემებით, მათ კვლავ ვერ მოახერხეს, უშუალოდ, ჰუსეინის მიერ გადაცემული ბრძანებების, ან დიქტატორის რაიმე სხვა საუბრის დაჭერა. გაქნილი ბაღდადელი მელა ომის პირველ დღესვე მიღებული გაკვეთილის შემდეგ მიმალულია, რომ ისევ არ მიაგნონ. ჰუსეინი "ბომბების დედასთან" ან "ტომაჰავკ"-ის ფრთოსან რაკეტებთან შეხვედრის სურვილით სულაც არ იწვის).


REUTERS


REUTERS


REUTERS

როგორც პენტაგონის წარმომადგენელმა თქვა, ჰუსეინის კავშირი წყალქვეშა ნავის ერთმანეთისგან იზოლირებულ ნაკვეთურებს ჰგავს. "რადგანაც ერაყი გასაიდუმლოებული საზოგადოებასავითაა, ჰუსეინს ყოველთვის შეუძლია, ჰქონდეს კავშირი, რომლის შესახებაც ჩვენ არაფერი ვიცით, - თქვა მან, - მას პირადი კავშირი აქვს რესპუბლიკურ გვარდიასთან, რომელიც ჩვენთვის უცნობია. მას სპეციალურ რესპუბლიკურ გვარდიასთანაც პირადი კავშირი აქვს და ეს რესპუბლიკურმა გვარდიამაც არ იცის; კიდევ სახელმწიფო უშიშროებასთანაც აქვს თავისი კავშირი, რომელზეც თვით სპეციალურ გვარდიასაც არ აქვს წარმოდგენა" (რაღაც საბჭოთა, კრემლის დროინდელი სატელეფონო სისტემის ATC-1-ის ან ATC-2-ის მაგვარია - მ.ს.).

ზემოთ ვწერდი: თითქოს, ბომბებზე დამაჯერებელი რა უნდა იყოს-მეთქი? მაგრამ მათი დამანგრეველი შედეგები უფრო დამაჯერებლად გამოიყურება.

## თავი ყველას დიდი სტრატეგი ჰგონია...

სულ ორი კვირაა, რაც ომი დაიწყო, მისი შეფასებისას კი ამერიკულ სარდლობაში უკვე აზრთა სხვადასხვაობაა. აზრები, ძირითადად, უმაღლეს გენერალიტეტსა და ასევე მაღალი რანგის საველე მეთაურებს შორის იყოფა. ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილებაც კი იქმნება, თითქოს ეს ორი მხარე ორ სხვადასხვა ომზე ლაპარაკობდეს. სახმელეთო ჯარის მეთაურები, რომლებიც ნახევრად საომარი ფორმირებების მხრიდან მოულოდნელად შეუპოვარ წინააღმდეგობას წააწყდნენ, ამბობენ, რომ სადამის რეჟიმი მეტ ხანს გასტანს, ვიდრე ამას პენტაგონი გეგმავდა. აი, რას ამბობს, მაგალითად, საზღვაო ქვეითთა პირველი დივიზიის მეთაურის მოადგილე, ბრიგადის გენერალი ჯონ კელი: "დაცვის ორგანიზებულ სისტემას წავაწყდით. დამხვდურთა ასეთი გამბედაობა ჩვენთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. სულ სხვა რამეს ველოდით - გვეგონა, დაუბრკოლებლად ვიმოქმედებდით, დროშების ფრიალით დაგვხვდებოდნენ".... საველე მეთაურები საბრძოლო მასალის, საწვავისა და სურსათის უკმარისობას უჩივიან (ამერიკელები ამბობენ, რომ "ჯარს კუჭი მართავს"). არიერგარდული ბრძოლები მათ აიძულებს, გზადაგზა ცვალონ ტაქტიკა და, ბაღდადის აღების დაჩქარების მიზნით, სამხრეთ ერაყის ქალაქების შემოვლის სტრატეგია აკრიტიკონ.

მთავარსარდლობა ამ ომს სულ სხვა თვალით აფასებს (ცენტრალური შტაბის ხელმძღვანელს, ტომი ფრენკსსა და პენტაგონს ვგულისხმობ). ტომი ირწმუნება: "არავითარი სიურპრიზები, არავითარი სტრატეგიის შეცვლა, არავითარი ზედდება არ ხდება. ომი ისე მიმდინარეობს, როგორც გათვალისწინებული გვქონდა". აშშ-ს შტაბების ხელმძღვანელთა გაერთიანებული ჯგუფის წევრი, გენერალი რიჩარდ მაიერსი (რომელიც თანამდებობრივად "პრეზიდენტის პირველ საომარ მრჩევლად" ითვლება) ამბობს: "ჩვენი გეგმა - ბრწყინვალე გეგმაა". მაგრამ, როგორც იტყვიან, რაც ბრწყინავს, ყველაფერი ოქრო როდია - თან უფრო ახლო მანძილიდან თუ დააკვირდები.

ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა საველე მეთაურმა, სპარსეთის ყურის რეგიონის სახმელეთო ნაწილების სარდალმა, გენერალ-ლეიტენანტმა უილიამ უოლესმა განაცხადა, რომ "ომის დამგეგმავები არ მოელოდნენ ერაყის ჯარის მხრიდან ასეთ "უცნაურ" ქმედებას, არ გაუთვალისწინებიათ ამინდი და უაღრესად მნიშვნელოვანი მასალების გამუდმებული უკმარისობა, რაც ზედმეტად გრძელი საკომუნიკაციო ხაზების ბრალია. ამ ყველაფერმა, შესაძლოა, იქამდეც მიგვიყვანოს, რომ ომი უფრო მეტ ხანს გაგრძელდება, ვიდრე ამას სტრატეგთა უმრავლესობა წინასწარმეტყველებდა".

მაღალჩინოსანი სამხედრო პირის ასეთმა განცხადებამ ძლიერი დაბნევა გამოიწვია. ცენტრალურმა სარდლობამ ამ განაცხადის კომენტირებას, თითქმის, თავი აარიდა და სათქმელი მხოლოდ არაფრის მთქმელი "It's O.K."-თ ამოწურა. პენტაგონის შეფის, რამსფელდის რეაგირება ასეთი იყო: "გენერალ უოლესის განცხადება არ წამიკითხავს - მხოლოდ საგაზეთო სათაურს მოვკარი თვალი. ბევრი ასეთი სათაური მინახავს, სტატიის შინაარსი ნაკლებად რომ შეესაბამება". მოკლედ, მისტერ რამსფელდიც ბუჩქებში მიიმალა. გენერალი ფრენკსი პრესკონფერენციებზე აღარ ცხადდება. მას ცვლის ვინსენტ ბრუკსი - ვესტპოინტის კურსდამთავრებული, ახალგაზრდა, ტელეგენური ბრიგადის გენერალი, რომელიც ამ თანამდებობაზე თეთრმა სახლმა წარადგინა. გენერალ უოლესის განცხადებაზე ამ ახალგაზრდა და ტელეგენურმა გენერალმა ასეთი რამ თქვა: "საველე მეთაური, თუნდაც სამვარსკვლავოსანი კორპუსის მეთაური იყოს, სათანადო ინფორმაციას არ ფლობს იმისთვის, რომ ომის საერთო მდგომარეობა განზოგადებულად შეაფასოს." ახალგაზრდა და ტელეგენური გენერალი სამხედრო კორესპონდენტებისთვის იმის ახსნას ცდილობდა, რომ არსებობს ორი დონე - "ტაქტიკური" და "ოპერატიული". ამ უკანასკნელს მან "გენერლების ომი" უწოდა, პირველს კი - "დედამიწამდე დამდაბლებული - ანუ სანგრების ომი".

მოკლედ, ეს ახალგაზრდა და ტელეგენური გენერალი მხოლოდ იმიტომ ლაპარაკობს, რომ არაფერი თქვას, რაც აკრედიტებული 600 რეპორტიორის სულ უფრო მეტ უკმაყოფილებას იწვევს. მათ ხომ კორპუნქტების გასახსნელად უზარმაზარი ფინანსები დახარჯეს - გამოთვლილია, რომ ამ ახალგაზრდა და ტელეგენური გენერლის თითო პრესკონფერენცია მასმედიას ერთი მილიონი დოლარი უჯდება! ამიტომ, ზოგმა ჟურნალისტმა ცენტრალური სარდლობის შტაბი უკვე დატოვა.

**- თქვენი ნებაა; თქვენი არჩევანია, -** ასეთი გულგრილი რეაქცია ჰქონდა რეპორტიორების გაქცევაზე ახალგაზრდა და ტელეგენურ ვესტპოინტის კურსდამთავრებულ ბრიგადის გენერალს, ვინსენტ ბრუკსს...

# დიდი ცხვირი, პატარა ტანი და პირველი აპრილი

### ქართველი პოლიტიკოსები გამოფენაზე ვერ მოხვდნენ

თამარ სუხიშვილი

ზალიკო სულაკაურს თბილისში ვინ არ იცნობს, თუ არ იცნობთ, გაგახსენებთ, ზალიკო ის კაცია, ზემელზე რომ დგას და კარიკატურებს ხატავს...

ნამდვილად არ დაუთვლია რამდენი კაცი ჰყავს დახატული, თუმცა, თუ ვიანგარიშებთ, რომ დღეში საშუალოდ 10 ადამიანს ხატავს, თანაც ხატავს 10 წელია და თანაც წელიწადში 365 დღეა, თქვენ თვითონ გამოთვალეთ, რამდენი გამოვა...

ქუჩაში დგომა მხატვრისთვის დიდი გამოცდილებაა: "ქუჩას ბევრი პლიუსი აქვს, აქ ყველაზე კარგად სწავლობ ადამიანთა ურთიერთობის ხელოვნებას. აქ არავითარ შემთხვევაში არ მოგბეზრდება, ქუჩაში სხვა ენერგიაა."

ზალიკო ქუჩაშიც დგას და პრესასთანაც თანამშრომლობს. აქედან გამომდინარე, მის კოლექციაში უამრავი კარიკატურა თუ მეგობრული შარჟია. თავის თავს "გინესის" რეკორდსმენს უწოდებს: "შემიძლია ერთი კარიკატურა ნახევარ წუთში დავხატო, მაგრამ ჩქარა გაკეთებული საქმე ხელოვნება არ არის, ნორმალური კარიკატურის დასახატად 5 წუთი მაინც მინდა. აი, გამოფენა სულ სხვაა, საგამოფენო შარჟებს ზოგჯერ მთელი დღე ვუნდები, ზოგჯერ მთელი კვირაც...

ზაალ სულაკაური კერამიკოსია, მაგრამ, როგორც თვითონ ამბობს, თავის თავს სწორედ შარჟების ხატვის დროს მიაგნო.

კითხვაზე – კარიკატურის ხატვისას გარეგნული მხარე უფრო მნიშვნელოვანია თუ შინაგანი, უპასუხებს: კარგია, თუ შინაგანი სამყარო დაინახე, მაგრამ გარეგნული ფაქტორი უფრო თვალშისაცემია, ვიზუალური მხარე დიდ ეფექტს ახდენს. მაგალითად, თუ ადამიანს ცოტა დიდი ცხვირი აქვს, დაუგრძელე, შენი რა მიდის. დაარღვიე პროპორციები და მიიღებ კარიკატურას, დახატე სერიოზული პორტრეტი და პატარა ტანი მიუხატე, უკვე კარიკატურაა, უკვე ღიმილს იწვევს.

სანამ დამთვალიერებელი გალერეას მიუახლოვდებოდა, დიდხანს ფიქრობდა, კარიკატურისტის ეს ჩანაფიქრი სიმართლე იყო თუ საპირველაპრილო ხუმრობა. დიდხანს ფიქრობდა საგამოფენო დარბაზში შესვლისასაც, დარბაზში იმდენი ხალხი ირეოდა, რომ კედლებზე დაკიდებული ნახატები აღარ ჩანდა.

გუშინ გალერეა "ჰობიში" ზაალ სულაკაურის პერსონალური გამოფენა გაიხსნა სახელწოდებით – "ცნობილ ადამიანთა მეგობრული შარჟები". მეგობრული შარჟების გამოფენა და თანაც პერსონალური საქართველოში პირველად გაიმართა. გამოფენაზე წარმოდგენილია 7 წლის მანძილზე შექმნილი შარჟები – 1996 წლიდან დღემდე. გამოფენა აღორძინების დემოკრატიული კავშირის, ნინო ლოლუასა და ირინა ნასყიდაშვილის ორგანიზატორობით მოეწყო.

ექსპოზიცია 100-მდე ნამუშევარს მოიცავს, მათ ნაწილს პრესის საშუალებით დიდი ხანია კარგად იცნობს ქართველი მკითხველი თუ დამთვალიერებელი. ნაწილს კი ამ გამოფენაზე პირველად იხილავთ.



ზაალ სულაკაური დამთვალიერებლებთან ერთად



გივი ბერიკაშვილის ფიგურა

"მეგობრული შარჟების" გახსნა 1 აპრილს დაემთხვა, უფრო სწორად, დაამთხვიეს და თბილისელებს მხიარული საჩუქარიც გაუკეთეს. ვის შარჟს აღარ ნახავთ აქ, შოპენჰაუერი, კანტი, ჰიტლერი, გრიგი, შოსტაკოვიჩი, ვაჟა-ფშაველა, რამაზ ჩხიკვაძე, გურამ დოჩანაშვილი, ნინო ანანიაშვილი... "თუ დააკვირდებით, უცნაური არაფერია, აქ არის ის ხალხი (ჩვენი თანამედროვეებიც და ჩვენი წინაპრებიც) - მხატვრები, მწერლები, საზოგადო მოღვაწენი, კომპოზიტორები, ვინც ყველას გვიყვარს (ან არ გვიყვარს – ჰიტლერის მაგალითზე), ვისთან ურთიერთობაც გვსიამოვნებს, ვინც რაღაც სითბო დაგვიტოვა... ვიღაცამ ისიც კი იკითხა, ჩვენი წინაპრების შარჟების დახატვით ხალხი ხომ არ განაწყენდებაო. გამოფენაზე გამოფენილმა ნახატებმა ძალიანაც რომ მოინდომონ, ვერავის გაანაწყენებენ. "ეს არის ხელოვნება, ეს არის იუმორი და იუმორს თუ გაუნაწყენდები, ვერ ყოფილა საქმე კარგად,.." – ამბობს მხატვარი.

გაშარჟებულ პერსონაჟებში რატომღაც ქართველი პოლიტიკოსები ვერ მოხვდნენ: "პოლიტიკოსები სხვა მომენტია, სხვა ხედვაა, აქ ვინც არის გამოფენილი, ყველა მიყვარს," – ამბობს ზალიკო და მეტს აღარ აკონკრეტებს. თუმცა, იქვე დასძენს, პოლიტიკოსებიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ბევრს პირადად ვიცნობ, ბევრის შარჟიც დამიხატავს და გახარებიათ. და მაინც, ქართველი პოლიტიკოსები გამოფენაზე ვერ მოხვდნენ. თუ რატომ, ამაზე, ალბათ, თავად უნდა იფიქრონ.

***P.S.*** *სანამ ზაალ სულაკაური ამაოდ ცდილობდა ჟურნალისტებისგან თავის დაღწევას და სიცილით უხმობდა მშველელს: არიქა, ჟურნალისტებმა დამახრჩესო, დამთვალიერებელთა ერთი ნაწილი პერსონალური გამოფენის გახსნას მის ტყუპისცალს, მხატვარ ზურაბ სულაკაურს ულოცავდა. რა თქმა უნდა, შეცდომით.*

## ლიტერატურული კონკურსი

დაარსებიდან 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით ჟურნალი "დილა" და მასთან გაერთიანებული საბავშვო მწერალთა ასოციაცია აცხადებს ლიტერატურულ კონკურსს - "ახალი სახელები საბავშვო მწერლობაში".

ავტორებმა უნდა წარმოადგინონ გამოუქვეყნებელი ორიგინალური ნაწარმოებები (სამ ეგზემპლარად), სასურველია, ნაწარმოების მოცულობა არ აღემატებოდეს კომპიუტერზე აკრეფილ 3 გვერდს.

**გაიცემა სამ-სამი პრემია:**

პროზაში: პირველი პრემია - 300 ლარი. მეორე პრემია - 200 ლარი. მესამე პრემია - 100 ლარი.

პოეზიაში: პირველი პრემია - 300 ლარი. მეორე პრემია - 200 ლარი. მესამე პრემია - 100 ლარი.

გარდა ამისა, დაწესებულია ოთხი წამახალისებელი პრემია, თითოეული 50 ლარის ოდენობით.

საუკეთესოდ მიჩნეული ნაწარმოებები გამოქვეყნდება ჟურნალ "დილაში".

საკონკურსოდ ნაწარმოებები უნდა წარმოადგინოთ 2003 წლის 1 ოქტომბრამდე, შედეგები გამოქვეყნდება 2003 წლის დეკემბრის ბოლოს.

**მისამართი: თბილისი, კოსტავას ქ, 14. ტელ: 93-10-32**

## კალენდარი

## 2 აპრილი



მისი ცხოვრება რაღაცით წააგავს მისივე ზღაპრებს, ამას ჰანს ქრისტიან ანდერსენის მემუარები "ჩემი ცხოვრების ზღაპარიც" მოწმობს. რომანები, პიესები, მოგზაურობის ჩანაწერები, ლექსები – ანდერსენმა ყველა ამ ჟანრში თავისი წვლილი შეიტანა, მაგრამ მისი სახელის უკვდავყოფა მხოლოდ ზღაპრებმა მოახერხეს, 1835-1872 წლებში გამოცემული 24 კრებული ნამდვილი გადატრიალება იყო დანიურ და, საერთოდ, მსოფლიო ლიტერატურაში. კეთილი მეზღაპრე – ასე დაიმახსოვრა მკითხველმა დიდი დანიელი მწერალი ჰანს ქრისტიან ანდერსენი, რომლის ზღაპრები დღემდე ყველა ბავშვის სამაგიდო წიგნადაა ქცეული.

ანდერსენი მეწაღის ოჯახში დაიბადა. სულ პატარა იყო, ხელობა რომ ისწავლა და ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა. მის ოჯახს ძლივძლივობით გაჰქონდა თავი. ჰანსს მსახიობობა სურდა. 14 წლისა კოპენჰაგენში გაემგზავრა და სამეფო ბალეტის მოწაფე მოცეკვავეთა ჯგუფში ჩაეწერა, სულ მალე პიესებისა და ლექსების წერაც დაიწყო; ლექსებს ჟურნალებში ბეჭდავდა.

მართალია, ავტობიოგრაფიულ თხზულებებში ანდერსენი გარშემომყოფთა ინტრიგებს უჩივის, დოკუმენტური ცნობები სულ სხვას ამბობს. ანდერსენს გვერდში ედგნენ ცნობილი დანიელი მწერლები, მათ შორის რომანტიზმის ფუძემდებელი ელენშლეგერი და ცნობილი დრამატურგი ჰეიბერგი. 1833 წელს მიღებულმა სამეფო სტიპენდიამ მას შესაძლებლობა მისცა პირველად ემოგზაურა ევროპის გარშემო. აქედან დაიწყო ანდერსენის ხანგრძლივი მოგზაურობა. საკუთარი შთაბეჭდილებები მწერალმა აღწერა ნარკვევებში იტალიის, შვედეთის, ესპანეთის, პორტუგალიის, ბალკანეთის ქვეყნების შესახებ. სხვათა შორის, დანიელებს არაერთხელ გამოუთქვამთ უკმაყოფილება იმის გამო, რომ მათი მწერალი ცხოვრების დიდ ნაწილს უცხოეთში ატარებდა. თუმცა, ევროპაში ანდერსენი უფრო ადრე დააფასეს, ვიდრე სამშობლოში. გერმანიასა და ინგლისში ის სიტყვის უდიდეს ოსტატად აღიარეს.

მე-19 საუკუნის 40-იან წლებში მწერალს მეფე ქრისტიან VIII მფარველობდა. 1848 წელს, როდესაც მეფე გარდაიცვალა და დაიწყო აჯანყება, რომელიც დანიის სახელმწიფოს მთლიანობას ემუქრებოდა, ანდერსენი ამ მოვლენებს რამდენიმე პატრიოტული ლექსით გამოეხმაურა...

დღეს უკვე ცნობილია ანდერსენის სიყვარულის ისტორიაც. მას შვედი მომღერალი იენი ლინდი შეუყვარდა, სულ თან დაჰყვებოდა, ლონდონსა და ბერლინში გასტროლებზეც კი წაჰყვა, მაგრამ მიჯნურის გული ვერ მოიგო. ამ მწარე მარცხის მერე ანდერსენი ოჯახს აღარ მოჰკიდებია. მთელი ცხოვრება თავის საქმეს მიუძღვნა. და მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლეშივე დაიმკვიდრა დიდი მწერლის სახელი, ანდერსენი მაინც უბედურად თვლიდა თავს. დანიელი ხალხის საყვარელი მეზღაპრე 1875 წლის აგვისტოში გარდაიცვალა. ანდერსენის ხსოვნის უკვდავსაყოფად მწერლის სამშობლოში, კოპენჰაგენის სანაპიროზე, მისი ზღაპრის გმირის - ქალთევზას ქანდაკება დადგეს, რომელიც ქალაქის სიმბოლოდ იქცა.

თავის დროზე ზღაპრების კრებულმა, სადაც პირველად გამოჩნდნენ ქალთევზა, ტალკვესი, პრინცესა ცერცვის მარცვალზე და სხვა გმირები, არაადეკვატური გამოხმაურება ჰპოვა კრიტიკოსებში. ანდერსენის ნოვატორული იდეები დანიელებისთვის უცხო აღმოჩნდა, მათ ვერ გაიგეს, რატომ გარდაქმნა მწერალმა ლიტერატურული ზღაპრის ჟანრი, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობდა რომანტიზმის ეპოქაში. ძირითადი ბრალდებები, რაც ანდერსენის შემოქმედების მისამართით გაისმოდა კი ასეთი იყო: ანდერსენის ზღაპრები ზედმეტად მსუბუქია დიდებისთვის, და პატარებისთვისაც გამოუსადეგარია, რადგან ზღაპრები დიდაქტიკური შინაარსისგან დაცლილიაო.

თავიდან ანდერსენიც პიესებსა და რომანებს ანიჭებდა უპირატესობას. მან ექვსი რომანი დაწერა, აქედან ყველაზე საინტერესო "მევიოლინეა"; რომანი ღარიბი ნიჭიერი ბიჭის სევდიან ამბავს მოგვითხრობს.

მხოლოდ მე-19 საუკუნის 40-იან წლებში მიიღო ანდერსენმა მტკიცე გადაწყვეტილება, რომ მთელი თავის ცხოვრება ზღაპრებისათვის მიეძღვნა. და დაიწყო კრებულების გამოცემა, რომელთაც, უბრალოდ, "ზღაპრები" ერქვათ. ანდერსენი ამ ზღაპრებს დიდებისთვისაც წერდა და პატარებისთვისაც. ნაწილობრივ ხალხურ მოტივებს იყენებდა, თუმცა ეს ვერსიები მანამდეც იყო ლიტერატურულად დამუშავებული, ძირითადად კი, ანდერსენის ყველაზე ცნობილი ზღაპრები მწერლის ფანტაზიის ნაყოფია.

დიდი დანიელი მწერალი **ჰანს ქრისტიან ანდერსენი** 1805 წლის 2 აპრილს დაიბადა.

# თაობები

### გალერეა TMS-ში ქიქოძეების გამოფენა გაიხსნა

*გალერეის ხელმძღვანელმა, მერაბ ლორთქიფანიძემ, ამაყად გამომიცხადა, რომ **TMS**-ში სამი ქიქოძის - ქუჩუკის, ზალიკოსა და არჩილის გამოფენა იხსნებოდა. მივედი და ძლივს დამდგარ გაზაფხულის დღეს, სიცოცხლისა და ადამიანების სიყვარულით სავსე, შესანიშნავი გამოფენა ვნახე. თქვენც მიბრძანდით, არ დაიზაროთ, ძალიან მოგეწონებათ.*

ანა კორძაია-სამადაშვილი

ამ გამოფენაზე ყველაზე უფროსი ქიქოძე ბატონი მიხეილია. მისი პორტრეტი, მომდევნო ქიქოძის, ბატონ ქუჩუკის მიერ გადაღებული, გამოფენის პლაკატს ამშვენებს: "თაობები. ქუჩუკი, ზალიკო და არჩილ ქიქოძეები".

თუკი რომელიმე ქიქოძეს მაინც იცნობთ, გარწმუნებთ, ვერნისაჟზე შეკრებილ უამრავ ხალხშიც კი ყველა დანარჩენს ამოიცნობდით – ყველანი მაღლები არიან და ერთმანეთს ძალიან ჰგვანან. საერთოდ, პლაკატზე გამოსახული ბატონი მიხეილი თავდაპირველად სულაც ბატონი ქუჩუკი მეგონა, მერე მომახსენა ერთ-ერთმა ქიქოძემ, პაპაჩემის მამაა, მიშაო.

ვშიშობ, რომ ისევე, როგორც გუშინ TMS-ში მობრძანებულთა უმრავლესობას, ფოტოგრაფიისა მეც ბევრი არაფერი გამეგება და ყველაზე მარტივი კრიტერიუმით ვხელმძღვანელობ: ან მომწონს ან – არა. ქიქოძეების გამოფენა ძალიან მომწონს. ვფიქრობ, ყველას მოეწონა, და არამარტო ფოტოსურათები, არამედ ქიქოძეებიც.

დარბაზში როცა შეაბიჯებთ, გეზი ხელმარჯვნივ აიღეთ. ექსპოზიცია ქუჩუკ ქიქოძის ფოტონამუშევრებით იხსნება. შავ-თეთრი სურათებია – ცხადია! რომლებიც სვანეთს ასახავს: ნაზამთრალ კალას, ლასდილის ველებს, მწვერვალებს. სოციალიზმით მშენებელთა ჯგუფური პორტრეტიც კია, არაჩვეულებრივი. რაჭა ერთია მხოლოდ – "ალექსანდროული", დიდი მტევნები და ძალიან სიმპათიური პატარა ადამიანი.

ბატონი ქუჩუკის ვაჟის, ბატონი ზალიკოს ფოტოგამოფენა თავის დროზე იმავე გალერეაში მაქვს ნანახი. მახსოვს, მნახველების ნაკადი არასოდეს წყდებოდა, ეტყობა, ძალიან დაგვღალა "ჭკუისმიერმა" ხელოვნებამ და ბატონი ზალიკოს "ძმის გულის", კავკასიონის ულამაზესი მწვერვალებისა და მათ დასაპყრობად მიმავალი მთამსვლელების დანახვა უფრო გვიხარია. გუშინ დარბაზში მთამსვლელები "ცოცხლადაც" მრავლად იყვნენ, გარუჯულები და გაღიმებულები – ძალიან სასიამოვნო ხალხია...

ზალიკო ქიქოძის ნამუშევრები უკვე ფერადია. თხების მწყემსის პორტრეტმა მომხიბლა, თორღვას კოშკმა, არ ვიცი, რომელი ერთი დავასახელო. კიდევ



ქიქოძეები: ზაალი, ქუჩუკი, არჩილი

ერთი ფოტონამუშევარია - ეს ლექსი თუ გახსოვთ: "ერთმა მეცხვარემ შირაქში"? ეგაა-თქო, ვკითხე არჩილ ქიქოძეს. გაეცინა.

"არჩილის ნაწილში" პირველ ფოტონამუშევარს "4200 მ." ჰქვია. რა წარმოგიდგენიათ? მე ამას ვერასოდეს წარმოვიდგენდი: პეპელაა თოვლზე! არჩილიც მთას იღებს, გარინდულ ტბებს, პორტრეტებს: "ძია სულიკო", "ვასილიჩი"...

დარბაზიდან გამოსულმა აღმოვაჩინე, რომ ამ საღამოს TMS-ში ქიქოძეების არა ოთხი, არამედ ხუთი თაობა იყო წარმოდგენილი: არჩილმა თავისი ვაჟი, ზალიკო გაგვაცნო, სულ პატარა, მაგრამ, როგორც ერთმა ქალბატონმა აღნიშნა, უკვე "დამთავრებული ქიქოძე".

ამ გამოფენის მნახველს ძალიან მომინდა მთაში. და ძალიან მომინდა ბაბუა მყოლოდა.

# ახალი სიტყვა ქართულ სუბკულტურაში

### ფოლკოტეკის მორიგი რაუნდი "აჭარა მიუზიკ ჰოლში"

ვერა ნეფარიძე

პირველი და მეორე წარმატებული ჩვენების შემდეგ "სუხიშვილები" "ასსა"-ს საკლუბო ვერსიას წარმოადგენენ. განახლებული პროექტი დღეს კვლავ "აჭარა მიუზიკ ჰოლში" გაიმართება და ის, დაახლოებით, სამ საათამდე გაგრძელდება. ამჟამად "სუხიშვილები" ერთდროულად რამდენიმე პროექტზე მუშაობენ. მათ შორისაა "ასსა"-ს თეატრალური ვერსიაც...

"ფოლკოთეკა ეს არის ახალი სიტყვა ქართულ სუბკულტურაში. ქართულ ტრადიციებზე დამყარებული თანამედროვე ხედვა, ძველისა და ახლის შერწყმა მუსიკითა და მოძრაობით", - ასეთია ნინო სუხიშვილის მოკლედ ჩამოყალიბებული "ასსა"-ს კონცეფცია. ასეა თუ ისე, "ასსა"-მ დღეს აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია - საყოველთაო განსჯის თემა გახდა. როგორც ნინო სუხიშვილმა გვითხრა, დღეს ბევრს ჰგონია, რომ "ასსა" "სუხიშვილების" ახალი საკონცერტო პროგრამის სახელწოდებაა, რაც, რასაკვირველია, არასწორია. რამდენად განსხვავებულია "ასსა" ქართული ნაციონალური ბალეტის ახალი საკონცერტო პროგრამისგან, ამაში ჩვენი საზოგადოება სულ რამდენიმე დღეში დარწმუნდება, როდესაც ანსამბლი დიდ საკონცერტო დარბაზში ექვსდღიან კონცერტებს გამართავს. კონცერტების სერიისა და ძველი და ახალი პროგრამის შესახებ დაწვრილებით უახლოეს მომავალში, კონცერტებამდე მოგითხრობთ. ახლა კი უმჯობესია "ასსა"-ს განახლებულ ვერსიაზე ვისაუბროთ.

"სუხიშვილების" ახალი საკლუბო ვერსიის მთავარი ინიციატორის, ილიკო სუხიშვილის თქმით, ცვლილებები "ასსა"-ში თავიდანვე მოსალოდნელი იყო, რადგან ეს პროექტი თავიდანვე ხშირ ცვლილებას გულისხმობდა – მუსიკალური და ვიზუალური თვალსაზრისითაც. "ერთსა და იმავე კლუბში სისტემატურად, ყოველ ორ კვირაშიც კი რომ იმართებოდეს "ასსა", ცვლილებები ამ შემთხვევაშიც საჭირო იქნებოდა. მცირედი სიახლე, სასურველია, ყოველ წარმოდგენაში იყოს", - ამბობს ილიკო სუხიშვილი და კონკრეტულად "მესამე ასსა"-ს დამატებებს გვაცნობს. პირველი, რაც "სუხიშვილების" რეპეტიციაზე კლუბში მისულებმა შევნიშნეთ, პოდიუმი იყო. ჩანაფიქრის მიხედვით, სცენის გაზრდა მაყურებლის ყურადღებას მოცეკვავეებზე გაამახვილებს და არა ინსტრუმენტალისტებზე, როგორც ეს წინა "ასსა"-ზე იყო. თუმცა, არ შეცვლილა მოცეკვავეთა რაოდენობა - ისევ რვა მოცეკვავე იქნება. დამატებულია საკმაოდ ბევრი საცეკვაო, ხანმოკლე კომპოზიცია; გვთავაზობენ სხვადასხვა ცეკვის რემიქსულ ვარიანტებს. უცვლელია მთავარი - ყველაფერი ქართული ფოლკლორის საფუძველზეა აგებული.

მუსიკალური რიტმის გასამდიდრებლად გამოყენებულია ყოფითი ნივთები. წინა "ასსა"-ზე, ამ მიზნით, კავკასიურ დასარტყამ ინსტრუმენტებთან ერთად გამოყენებული იყო ნარდი - კამათლების გაგორებაზე აიგო მუსიკალური რიტმი. დღეს ამავე დანიშნულებას შეასრულებს ხმლების ხმაური. განახლებულ "ასსა"-ში მაყურებელი პირველად იხილავს ილიკოს ახალი ცეკვის (რომლის პრემიერა ფილარმონიაში შედგება) რემიქსულ ვარიანტს. ნინო სუხიშვილის თქმით, ეს ვერსია მუსიკალურად უფრო დამუშავებული იქნება. აქვე ისიც უნდა დავამატოთ, რომ დღევანდელ ვერსიაში პროგრამაში მონაწილეობას არ მიიღებს დი-ჯეი. ილიკოს თქმით, იგი დი-ჯეისთან ერთად პროგრამის მეორე ნაწილში ფიქრობს სცენაზე სპონტანურ თანამშრომლობას; ასევე, განზრახული აქვს ჭიანურის შემოტანა. რაც შეეხება ხანგრძლივობას, წინასწარ ამის განსაზღვრა უჭირს, თუმცა, დარწმუნებულია, კონცერტი ორ საათზე მეტ ხანს გაგრძელდება. და ბოლოს, ისევე როგორც მეორე "ასსა"-ზე, კონცერტი დღესაც მთლიანად ჩაიწერება და საუკეთესო ჩანაწერის შერჩევის შემდეგ კომპაქტ-დისკის სახით გამოვა. ეს კი, ალბათ, "სუხიშვილების" მესამე ალბომზე (რომლის გამოსვლასაც ორი კვირის ვადაში ვარაუდობენ) მუშაობის დასრულების შემდეგ მოხერხდება.





"ასსა პარტი" პირველად "აჭარა"-ში

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

# კობი კუნის აღიარება - კალაძის ტრავმის გამო ის სრულიადაც არ წუხს

შვეიცარიის ნაკრების მწვრთნელი ამბობს, რომ კობიაშვილი მასზე უკეთ თამაშობს მარცხენა ფეხით


შტეფან შაპუიზა


კობი კუნი


ჰაკან იაკინი

აკა ტონია

გუშინ, დილის 11 საათზე, სასტუმრო "მერიოტში", შვეიცარიის ნაკრების პრესკონფერენციაზე მისულ ჟურნალისტებს ნამდვილი "პრეს-ოაზისი" დაგვხვდა. ჩვენი შვეიცარიელი სტუმრები, პრესასთან ურთიერთობის საკითხში, რადიკალურად განსხვავდებოდნენ თავიანთი წინამორბედებისგან – ირლანდიის ნაკრებისგან.

11 საათზე შვეიცარიის ნაკრების პრესკონფერენცია იყო დანიშნული. სასტუმროს ერთ-ერთ დარბაზში ფეხბურთელები პატარა მაგიდებთან ცალ-ცალკე ისხდნენ და პრესის წარმომადგენელთა ცნობისმოყვარეობას აკმაყოფილებდნენ. სამწუხაროდ, დარბაზში მყოფ ჟურნალისტებს შორის შვეიცარიელები ჭარბობდნენ. ქართველები მხოლოდ სამნი ვიყავით. ჩემი პირველი რესპონდენტი გახდა შვეიცარიის ნაკრებისა და "ბაზელის" მწვრთნელი, ჰაკან იაკინი - უაღრესად თავაზიანი ადამიანი, რომელიც სიამოვნებით დამთანხმდა ინტერვიუზე.

### ჰაკან იაკინი: "ჩივაძის გადადგომამ, შესაძლოა, ნაკრებზე დადებითად იმოქმედოს"

ჰაკან იაკინთან საუბარი უაღრესად ორიგინალური კითხვით წამოვიწყე:

**- დარწმუნებული ვარ, ასეთი კითხვით ჯერ არავის მოუმართავს: რას ფიქრობთ საქართველოსთან მომავალ მატჩზე?**

- მართლაც, ძალიან ორიგინალური კითხვაა (იცინის). ჩვენ ჯგუფის ლიდერები ვართ, თანაც, რუსეთის ნაკრებმა შაბათს ალბანელებთან წააგო. საერთოდ, ძალიან კარგი გუნდი გვყავს. ჩვენი მიზანია ევროპის ჩემპიონატზე გასვლა. უკვე დიდი ხანია, რაც შვეიცარიის ნაკრები არც ერთი დიდი ტურნირის ფინალურ ეტაპზე არ გამოსულა. ახლა ჩვენ უნიკალური შანსი გვაქვს, ჩემპიონატზე გავიდეთ და ამ მიზნისთვის თბილისშიც ვიბრძოლებთ.

**- საქართველოს ნაკრებს შინ 4:1 მოუგეთ. როგორ ფიქრობთ, ისევ ადვილად შეძლებთ ჩვენს დამარცხებას?**

- დიდი მნიშვნელობა აქვს, გასვლითი მატჩი გაქვს თუ შინ თამაშობ. ამჯერად საქართველოა მასპინძელი. ბაზელის მატჩში პირველი ტაიმი ქართველებმა არცთუურიგოდ ითამაშეს. თქვენი ფეხბურთელები ძალიან ტექნიკურები არიან და სტანდარტულ მდგომარეობებს კარგად იყენებენ. შევეცდებით, ჩვენს საჯარიმოსთან მიახლოების საშუალება არ მივცეთ. გოლის გატანის შანსი კი ჩვენც მოგვეცემა. ძნელი მატჩი გველის. ჩვენ ვნახეთ საქართველო-ირლანდიის შეხვედრის ჩანაწერი. პირველ ტაიმში ირლანდიელებს თითქმის არ ჰქონიათ შეტევის საშუალება.

**- იცით, რომ ჩივაძე გადადგა?**

- თქვენი მწვრთნელი გადადგა? ნამდვილად არ ვიცოდი. სამწუხაროა.

**- იქონიებს თუ არა ეს ფაქტი რაიმე გავლენას მატჩზე?**

ძნელი სათქმელია. სავსებით შესაძლებელია, რომ მწვრთნელის გადადგომამ თქვენს ფეხბურთელებზე დადებითად იმოქმედოს. არ არის გამორიცხული, რომ მათ კიდევ უფრო კარგად ითამაშონ.

**- თქვენი პროგნოზი როგორი იქნება – 3 ქულა?**

- ო, არა. წინასწარ ამის თქმა შეუძლებელია. აკი გითხარით, უმძიმესი მატჩი გველის და პროგნოზის გაკეთება გამიჭირდება, თუმცა, 3 ქულისთვის ვიბრძოლებთ.

### შტეფან შაპუიზა: "ქართველები ძალიან ტექნიკურები არიან და მათ წინააღმდეგ თამაში ძნელია"

ტრავმირებული მეკარე შტილის არყოფნაში, დღეს შვეიცარიის ნაკრების კაპიტნის სამკლაურით გუნდის ვეტერანი, შტეფან შაპუიზა გამოვა. საქართველოსთან მატჩი მისთვის 90-ე იქნება ნაკრების შემადგენლობაში. შაპუიზასთან საუბარი სწორედ ამით დავიწყეთ:

**- საქართველოსთან მატჩი საიუბილეო იქნება თქვენთვის. ალბათ, გინდათ, ეს ფაქტი გოლით აღნიშნოთ.**

- გოლის გატანა არ არის მთავარი. ჩემთვის კარგი რეზულტატი უფრო მნიშვნელოვანია. მოხარული ვიქნები, თუ თბილისში ქულებს ავიღებთ. კარგად ვიცით, რომ რთული მატჩი გველის. ქართველები ძალიან ტექნიკურები არიან და მათ წინააღმდეგ თამაში ძნელია.

**- ასე ძალიან რატომ უფრთხით საქართველოს ნაკრებს, თქვენ ხომ ბაზელში დიდი ანგარიშით მოგვიგეთ?**

- იმ მატჩში გაგვიმართლა. როგორც კი საქართველომ ანგარიში გაგვითანაბრა, იმავე წუთში გოლი გავიტანეთ. დანარჩენი ორი ბურთი კი მატჩის მიწურულს შევაგდეთ. სწრაფად გაშვებულმა გოლმა საქართველოს ნაკრები ფსიქოლოგიურად გატეხა და ჩვენ უპირატესობა მოგვანიჭა. მართალია, იმ მატჩის ანგარიში დიდი იყო, მაგრამ ის არ ასახავს ძალთა რეალურ შეფარდებას. საქართველოს წინააღმდეგ მაშინ დიდი პრობლემები შეგვექმნა.

**- რომელ ქართველ ფეხბურთელს გამოყოფდით?**

- მიჭირს, ვინმე განსაკუთრებით გამოვარჩიო. თითქმის ყველა ძალიან ტექნიკურია და შეტევაში – უაღრესად საშიში. ამიტომაც დიდი სიფრთხილე გვმართებს. თუ ყურადღებით არ ვიქნებით, აუცილებლად დავისჯებით.

### კობი კუნი: "კობიაშვილი ჩემზე უკეთ ხმარობს მარცხენა ფეხს"

როდესაც შვეიცარიელ ფეხბურთელებთან საუბარი დავასრულე, გვერდით დარბაზში ნაკრების მწვრთნელის, ბატონ იაკობ "კობი" კუნის პრესკონფერენცია უკვე დაწყებული იყო. ადგილის დაკავებამდე მწვრთნელს ჩემი დიქტოფონი წინ დავუდე და კინაღამ მის გარეშე დავრჩი. შვეიცარიელს იმდენად მოეწონა ჩემი დიქტოფონი, რომ დამემუქრა, აღარ დაგიბრუნებო. "დიდი მადლობა საჩუქრისთვის, ძალიან ლამაზი ნივთია", - მითხრა მან და დიქტოფონი ჯიბეში ჩაიდო. ცხადია, ეს ხუმრობა იყო. კუნმა დიქტოფონი ისევ მაგიდაზე დადო და პრესკონფერენციაც გაგრძელდა. საუბარი საკმაოდ საინტერესო გამოდგა, თუმცა, ხშირად ისმოდა ათასჯერ გაგონილი ფრაზები: "რთული თამაში გველის", "ძლიერი მოწინააღმდეგე გვყავს"... ამიტომ მთელი პრესკონფერენციის ციტირებისგან თავს ვიკავებთ და საუბრის შემოკლებულ ვარიანტს გთავაზობთ:

**- ხვალინდელ მატჩში შვეიცარიის ნაკრების სავარაუდო შემადგენლობა საკმაოდ შემტევია. იმ გუნდების უმეტესობა, რომელთაც თბილისში მოუწიათ თამაში, კონტრშეტევებზე თამაშს და პრესინგს ამჯობინებს, რათა ქართველებს თავიანთი ტექნიკის გამოსაყენებლად სივრცე არ მისცენ. თქვენს შემადგენლობაში ორი თავდამსხმელი, მათ უკან კი შემტევი ნახევარმცველი ჰაკან იაკინია. რა ტაქტიკას მიანიჭებთ ხვალ უპირატესობას?**

- თქვენ ჩემი შემადგენლობა გაქვთ? საიდან? (იცინის). წინასწარ ძნელია იმის თქმა, თუ როგორ მოგვიწევს თამაში. იმას კი დანამდვილებით გეტყვით, რომ მხოლოდ დაცვაში ჯდომას არ ვაპირებთ, ჩვენც შევუტევთ. თავად ტაქტიკა, უშუალოდ, მატჩის დროს გაირკვევა. ეს საქართველოს ნაკრებზეც არის დამოკიდებული. გააჩნია, რას შემოგვთავაზებს მეტოქე, ჩვენც იმის მიხედვით ვიმოქმედებთ.

**- შვეიცარიის ნაკრებს შტილი და ანშო აკლია, საქართველოს ნაკრებს – კახა კალაძე. როგორ ფიქრობთ, რომელ გუნდს უფრო დიდი დანაკლისი აქვს?**

- ჩვენ ორი კი არა, სამი ფეხბურთელი გვაკლია. ტრავმის გამო ვერ ითამაშებს ჩვენი მარცხენა მცველი მანინი, რაც ძალიან გულდასაწყვეტია. ასე რომ, დიდი პრობლემები გვაქვს.

**- მაგრამ კალაძე შეუცვლელია საქართველოს ნაკრებისთვის.**

- გეთანხმებით, ის ძალიან ძლიერი ფეხბურთელია. მე ბევრჯერ მინახავს მისი თამაში "მილანის" შემადგენლობაში. საწყენია, რომ ტრავმირებულია და საქართველოს ნაკრებს ვერ დაეხმარება, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ დიდად გულდაწყვეტილი არ ვარ (იცინის).

**- არც ჩვენ ვართ თქვენი სამი ფეხბურთელის არყოფნით დამწუხრებული.**

- გასაგებია, გასაგებია. ჩვენ ერთნაირად ვფიქრობთ *(ხუმრობს კობი კუნი)*.

**- მეტსახელად თქვენ "კობის" გეძახიან, ისევე როგორც საქართველოს ნაკრების ფეხბურთელს ლევან კობიაშვილს. გამოდის, რომ ორი "კობის" დაპირისპირება გველის.**

- მართალი ბრძანდებით. ლევან კობიაშვილიც ძალიან კარგი ფეხბურთელია. მოგეხსენებათ, ფრაიბურგი შვეიცარიის საზღვართან მდებარეობს, ამიტომაც ხშირად ვადევნებ თვალს მის თამაშს "ფრაიბურგში". ჩვენ შორის ის განსხვავებაა, რომ მე უფრო მარჯვნივ ვთამაშობდი და მარცხენა ფეხს ისე კარგად ვერ ვხმარობდი, როგორც კობიაშვილი. მარცხენა ფეხით მასავით ლამაზი ჯარიმები ვერ გამქონდა.

პრესკონფერენციის შემდეგ ჩემმა შვეიცარიელმა კოლეგებმა ალყაში მომაქციეს და საქართველოს ნაკრების სავარაუდო შემადგენლობა მკითხეს. სამწუხაროდ, ამჯერად ვეღარ დავეხმარე მათ. ირლანდიასთან მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობა საერთოდ არ ჩნდება პრესის წარმომადგენლებთან, ამიტომაც არც სავარაუდო შემადგენლობის შესახებ გვაქვს რაიმე წარმოდგენა. შვეიცარიელ ჟურნალისტებს მხოლოდ ის ვუთხარი, რომ ირლანდიასთან მატჩის შემდეგ საქართველოს ნაკრები მიატოვა თემურ ქეცბაიამ და კვიპროსზე გაემგზავრა. მან გუნდიდან წასვლა თავისი ასაკით ახსნა და საქართველოს ნაკრებს საბოლოოდ დაემშვიდობა. ითამაშებს თუ არა დღევანდელ მატჩში შოთა არველაძე, ამის შესახებ ჩემს კოლეგებს ველარაფერი ვუპასუხე – ეს დღემდე უცნობია. სამაგიეროდ, ისინი ძალიან დამეხმარნენ. კობი კუნის პრესკონფერენციის დაწყებამდე კვლავ შევხვდი გაზეთ Blick-ის რეპორტიორს მაქს კერნს, რომელიც წინა დღით "ლოკომოტივის" სტადიონზე, შვეიცარიის ნაკრების ვარჯიშისას გავიცანი. სწორედ მან გამანდო შვეიცარიელთა სავარაუდო შემადგენლობა, რომელმაც ასე ძალიან გააკვირვა კობი კუნი.




# საქართველოს UEFA-დან სერიოზული სანქციები ელის

სად ჩატარდება საქართველო-რუსეთის მატჩი?

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოსა და ირლანდიის ნაკრები გუნდების შესარჩევი მატჩის დროს "ლოკომოტივის" სტადიონზე მომხდარი უწესრიგობების გამო კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა საქართველოში საერთაშორისო შეხვედრების ჩატარების საკითხი. მოგეხსენებათ, 29 მარტს ტრიბუნებიდან მოედანზე გადმოცვენილი ნივთების ნუსხა კიდევ უფრო "გამრავალფეროვნდა" – პლასტმასის ბოთლებს, შუშის ბოთლებთან და საკისარის მსხვილ ბურთულებთან ერთად გასაშლელი დანაც დაემატა. ფოტომ, რომელზეც მთავარი არბიტრი მატჩის კომისარს დანას უჩვენებს, ევროპის ყველა სპორტული ინტერნეტსაიტი და უამრავი გაზეთი მოიარა. UEFA-დან მოვლინებულმა შეხვედრის დელეგატმა და მთავარმა მსაჯმა ევროპის საფეხბურთო კავშირს ახლეს ვრცელი პატაკი, რომელშიც ამ ფაქტებზე ამომწურავადაა მოთხრობილი. UEFA-მ ვერ მოასწრო შესაბამისი რეაგირების მოხდენა და სტადიონის (შესაძლოა, ქვეყნის) დისკვალიფიკაცია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მომდევნო მატჩი ოთხ დღეში უნდა გამართულიყო და სანამ ამ პატაკს შვეიცარიაში (იქ არის UEFA-ს შტაბბინა) გაეცნობოდნენ, ამ ქვეყნის ნაკრებმა საქართველოში ჩამოსვლა და სასტუმრო "მარიოტში" დაბინავება მოასწრო. ამიტომაც, UEFA-დან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მიიღო 14-გვერდიანი, ასე ვთქვათ, კითხვების დასტა, რომელშიც ქართული ფეხბურთის ჩინოვნიკებს მომხდარზე დაწვრილებით ახსნა-განმარტებას სთხოვენ.

ამ საკითხთან დაკავშირებით, სფფ-ს გენერალურმა მდივანმა, ვალერი ჩოლარიამ გუშინ პრესკონფერენცია მოაწყო. გენმდივნის თქმით, UEFA-მ შვეიცარიის ნაკრებთან მატჩის გადადება არ ისურვა, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ რუსეთის ეროვნულ გუნდთან ერთხელ გადადებული მატჩი, რომელიც 30 აპრილს უნდა გაიმართოს, UEFA-ს გადაწყვეტილებით, ნეიტრალურ მოედანზე ჩატარდეს. თუმცა, ჩოლარიას თქმით, ძალიან მცირე, მაგრამ მაინც რჩება იმის შანსი, რომ ასეთი სანქცია თავიდან ავიცილოთ და ეს თამაში, დაგეგმილისამებრ, თბილისში ჩატარდეს. მაგრამ, ამისთვის, დღეს, შვეიცარიასთან მატჩის დროს, ტრიბუნებიდან მოედნის მიმართულებით ბუზიც კი არ უნდა გაფრინდეს. ბატონმა ვალერიმ ამ საკითხში - გულშემატკივრებისთვის დიდაქტიკური მოწოდების გამოქვეყნებაში - თანადგომა გვთხოვა, თუმცა, ძნელი სათქმელია, როგორი ეფექტი ექნება სტადიონზე უწესრიგობასთან ბრძოლის ასეთ ფორმას. ჯობს, სტადიონზე


ვალერი ჩოლარია სანქციის აცილებაზე ფიქრობს

წესრიგს მიხედოს სამართალდამცავთა რამდენიმეათასიანმა კოჰორტამ, რომელიც 29 მარტს "ლოკომოტივის" სტადიონზე "საგანგებო" რეჟიმში "იცავდა" უსაფრთხოებას. როგორც ირკვევა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მუშაობის სამი რეჟიმი ჰქონია: ჩვეულებრივი, გაძლიერებული და განსაკუთრებული. ამ სამიდან ბოლო, განსაკუთრებული, რომელშიც იმუშავეს ჩვენმა სამართალდამცავებმა ირლანდიასთან მატჩის დროს, საქმისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებასთან ერთად, პოლიციელთა განსაკუთრებულ სიმრავლესაც გულისხმობს. მაგალითად, იმ დანების ფრიალის დროს სტადიონზე იყო 2 872 პოლიციელი და უშიშროების სამინისტროს რამდენიმე ასეული თანამშრომელი. მაგრამ, რაოდენობა, ქართულ რეალობაში, თითქმის არასდროს ნიშნავს ხარისხს. შედარებისთვის ვიტყვი, რომ საფეხბურთო ხულიგნობით განთქმულ ისეთ ქვეყანაშიც კი, როგორიც ბრიტანეთია, ერთ მატჩზე სულ 175 პოლიციელი იცავს წესრიგს.

გუშინ სტადიონის საკითხით თვით უშიშროების საბჭოს მდივანი, თედო ჯაფარიძე დაინტერესდა და მოიწვია უშიშროების საბჭოს სხდომა, რომელიც ირლანდიასთან მატჩის დროს მომხდარ ინციდენტებს მიეძღვნა. სხდომაზე განიხილეს სამი საკითხი. პირველი შეეხებოდა დანის სროლას, რასთან დაკავშირებითაც სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. ასევე, ცალკე საკითხად იმსჯელეს პოლიციაზე, რომელმაც სერიოზული შეცდომები დაუშვა. ერთ-ერთი ამ შეცდომათაგანი ისიცაა, რომ თამაშზე აღმოჩნდა დაახლოებით 18-20 ათასი კაცი, როცა, სტადიონის დირექციის ინფორმაციით, სულ 9 500 ბილეთია გაყიდული. სტადიონზე უბილეთოების შეღწევის თავიდან ასაცილებლად კი პოლიციას არენის გარშემო სამი კორდონი ჰქონდა ორგანიზებული. უშიშროების საბჭოზე გადაწყდა, რომ ამ ფაქტებთან დაკავშირებით, შსს-ში შიდა გამოძიება დაიწყება. და კიდევ: უშიშროების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ UEFA-ს გაუგზავნოს დოკუმენტი, რომლითაც სახელმწიფოს მხრიდან ევროპის საფეხბურთო კავშირს საერთაშორისო თამაშებზე უსაფრთხოების გარანტიები მიეცემა. ამ დოკუმენტს ხელს მოაწერს სახელმწიფო მინისტრი.

რამდენად ყურად იღებს ამ დოკუმენტს UEFA, ძნელი სათქმელია. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ერთი ასეთი გარანტია ამ ერთი თვის წინ უკვე ახლა UEFA-ს, მაგრამ ირლანდიის ნაკრებთან მატჩის დროს "გულშემატკივართა" ხულიგნობამ უფრო საშიში ხასიათი შეიძინა, ხოლო ის დოკუმენტი ფარატინა ქაღალდად დარჩა.

ჭიდაობა

# რეპეტიციაში ოთხი მედალი

*ახლა ის დროა, როცა საჭიდაო სახეობათა ტრადიციის მქონე ქვეყნები ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან. მზადების ეტაპს გადიან ქართველი ბერძენ-რომაელებიც. ამასთან, 23-24 მაისს ბელგრადში გასამართი კონტინენტის პირველობისთვის ერთგვარი რეპეტიციაც გაიარეს. გუშინ, გამთენიისას, სტამბულის საერთაშორისო ტურნირიდან ქართველმა ფალავნებმა ოთხი მედალი ჩამოიტანეს.*

ბიბა ბურასაშვილი

თურქეთში, - მნიშვნელობა არა აქვს, რა სახის ტურნირი იმართება, - ნებისმიერი ასპარეზობა დაძაბულობით გამოირჩევა. ყველაფერს ქვეყნის საჭიდაო ტრადიციები და გულშემატკივართა მხრიდან წნეხი განაპირობებს.

ასე რომ, ჩვენს მეზობლად გაშლილ ხალიჩაზე ჭიდაობა ორმაგად ძნელია. მიუხედავად ამისა, ქართველი მოჭიდავეები თურქეთიდან უმედლოდ არასდროს დაბრუნებულან.

28-30 მარტს სტამბულმა "ვეზი ემრეს" სახელობის A კატეგორიის დიდ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა. მასში, ქართველებთან ერთად, 20 ქვეყნის ფალავნები გამოდიოდნენ. მართალია, ტურნირი სალიცენზიო არ იყო, მაგრამ მას საქართველოს ნაკრებისთვის ევროპის ჩემპიონატის წინ გენერალური რეპეტიციის დატვირთვა ჰქონდა. თურქულ ხალიჩაზე ქართველებმა შვიდივე წონით კატეგორიაში იასპარეზეს და ოთხში მედლები მოიპოვეს. გამარჯვებამდე თითო ნაბიჯი დააკლდათ ახალგაზრდების შარშანდელ ევროპის ჩემპიონს რამაზ ნოზაძეს (96კგ.) და სიდნეის ოლიმპიური თამაშების პრიზიორსა და მსოფლიო ჩემპიონს მუხრან ვახტანგაძეს (84კგ.). ორივე ვერცხლის მედლით დაბრუნდა შინ. ქართველთა ყულაბაში საკუთარი წილი "ბრინჯაო" ჩააჩხრიალეს ევროპის ჩემპიონმა და მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანმა ბადრი ხასაიამ (74კგ.) და მძიმეწონოსანმა მირიან გიორგაძემ. საპრიზო ადგილებს მიღმა დარჩნენ ირაკლი ჭოჭუა (58კგ.), ლაშა ლომაძე (60კგ.) და მანუჩარ კვირკველია (66კგ.). როგორც საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ბეგი დარჩიამ გვითხრა, იმის გათვალისწინებით, რომ გუნდი ოპტიმალური ფორმისგან შორს იყო, საკუთარი სამწყსოს შედეგებით კმაყოფილია. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ თურქეთში წავიდნენ პირდაპირ ბაკურიანიდან, სადაც საერთო ფიზმომზადებას გადიოდნენ. მისივე თქმით, მთავარია, ევროპის ჩემპიონატზე არ შევრცხვეთ. მანამდე კი სასწავლო შეკრებებიცაა.

კალათბურთი

# თურმე, ჯორდანის დამარცხებაც შეიძლება

## ნიკა ცქიტიშვილი მაიკლ ჯორდანის წინააღმდეგ

**NBA-ს რეგულარული ჩემპიონატი**

**შაბათი**

| | |
|---|---|
| *ატლანტა - ფილადელფია* | *89:110* |
| *ნიუ-ჯერსი - გოლდენ სტეიტი* | *109:97* |
| *კლივლენდი - ბოსტონი* | *106:110* |
| *ჩიკაგო - საკრამენტო* | *92:107* |
| *ჰიუსტონი - დენვერი* | *102:89* |
| *სან-ანტონიო - იუტა* | *101:81* |
| **კვირა** | |
| *მინესოტა - დალასი* | *95:119* |
| *ტორონტო - ნიუ-იორკი* | *95:86* |
| *ინდიანა - ფინიქსი* | *92:81* |
| *მილუოკი - მაიამი* | *109:87* |
| *დეტროიტი - საკრამენტო* | *99:88* |
| *ჰორნეთსი - სან-ანტონიო* | *90:92* |
| *კლიპერსი - მემფისი* | *102:100* |
| *სიეტლი - ლეიკერსი* | *119:98* |
| *დენვერი - ვაშინგტონი* | *88:72* |

გასულ უქმეებზე ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში რამდენიმე ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა. ნიკა ცქიტიშვილმა ლეგენდარული მაიკლ ჯორდანის წინააღმდეგ ითამაშა. ბუნებრივია, ქართველ გულშემატკივართა ყურადღების ცენტრში სწორედ "დენვერ ნაგეთსისა" და "ვაშინგტონ უიზარდსის" შეხვედრა მოექცა. ამ მატჩამდე ერთი დღით ადრე "დენვერი" დეტროიტს ესტუმრა. ნიკამ 20 წუთში 6 ქულის, 2 მოხსნის, 1 გადაცემის, 2 ჩაჭრისა და 1 დაფარების გაკეთება მოასწრო და გუნდის ხელმძღვანელობის ქათინაურები დაიმსახურა. იმის გათვალისწინებით, რომ ნიკა NBA-ში პირველ სეზონს ატარებს, დეტროიტში მიღწეული შედეგი აშკარად მის სასარგებლოდ მეტყველებს. მართალია, "ნაგეთსი" დამარცხდა, მაგრამ ქართველი ლეგიონერის თამაში კონკურენციის გარეშე იყო. მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი აშკარად მაღალი აღმოჩნდა, რის გამოც "ვაშინგტონ უიზარდსის" წინააღმდეგ ცქიტიშვილმა მოედანზე უკვე 27 წუთი დაყო და, მართალია, 7 ტყორცნიდან მიზანს მხოლოდ ერთხელ მიაღწია და თავის ანგარიშზე სამი ქულა მიითვალა, მაგრამ ამ სამ ქულას 7 მოხსნა, 3 დაფარება და 1 გადაცემაც დაამატა და საბოლოოდ შთამბეჭდავი ციფრები მიიღო.



ცქიტიშვილმა ჯორდანს საქმე გაურთულა

"დენვერმა" კი, უილიამსისა (15) და ჰილარიოს (13) შეუპოვარი თამაშის წყალობით, საკმაოდ იოლად - 16 ქულის სხვაობით დაამარცხა მეტოქე. მაიკლ ჯორდანის ანგარიშზე 19 ქულაა. ამ მარცხით "უიზარდსმა" გაირთულა პლეი-ოფში მოხვედრის შანსი და აღმოსავლეთ კონფერენციაში მერვე პოზიცია "მილუოკის" დაუთმო.

იმ "მილუოკის", რომელმაც კვირას ვლადიმერ სტეფანიას "მაიამი ჰიტი" გაანადგურა. სტეფანიამ ამ შეხვედრაში 4 ქულა, 10 მოხსნა, 1 გადაცემა და 2 ჩაჭრა მიითვალა, მაგრამ გარი პეიტონი (24), კესელი (23 ქულა, 9 გადაცემა) და ტონი კუკოჩი (18 ქულა, 7 გადაცემა) შეუდარებელნი იყვნენ. "ჰიტის" მწვრთნელი პატ რაილი ამჯერად უჩვეულოდ მშვიდად გამოიყურებოდა. როგორც ჩანს, ისიც შეეგუა იმ ფაქტს, რომ "ჰიტმა" წლევანდელი სეზონი აშკარად ჩააგდო.

საინტერესო იყო ისიც, რომ 56-მატჩიანი პაუზის შემდეგ მოედანს დაუბრუნდა "ნიუ-ჯერსი ნეთსის" გიგანტი დიკემბე მუტომბო. მას ხელის მტევანი ჰქონდა მოტეხილი. ვეტერანმა მოედანზე მხოლოდ ხუთი წუთი დაყო და ერთი მოხსნის განხორციელება მოასწრო. "ნეთსმა" კი ჯეისონ კიდის (22 ქულა, 13 გადაცემა, 7 მოხსნა, 5 ჩაჭრა) უბადლო თამაშის წყალობით "გოლდენ სტეიტი" დაამარცხა (109:97).

უქმეები უიღბლო გამოდგა იუტელი "ჯაზმენებისთვის". მათ 6-მატჩიანი წარმატებული სერიის შემდეგ პირველი მარცხი განიცადეს. "ჯაზის" წარმატებული სერია "სან-ანტონიომ" შეწყვიტა. იუტელი კარლ მელოუნის ანგარიშზე 11 ქულა და 7 გადაცემაა. ყველაზე შედეგიანი კი სანანტონიოელი ტიმ დანკანი იყო - 30 ქულა, 8 მოხსნა. ამ გამარჯვებით "სან-ანტონიომ" პლეი-ოფის საგზური გაინაღდა. მასთან ერთად პლეი-ოფში ითამაშებენ: "დალასი", "საკრამენტო", "დეტროიტი", "ნიუ-ჯერსი", "ფილადელფია" და "ინდიანა".

**აღმოსავლეთი კონფერენცია**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 72 | 46 | 26 | 63,89 |
| ნიუ-ჯერსი | 73 | 45 | 28 | 61,64 |
| ფილადელფია | 72 | 43 | 29 | 59,72 |
| ინდიანა | 73 | 43 | 30 | 58,90 |
| ჰორნეთსი | 74 | 41 | 33 | 55,41 |
| ბოსტონი | 74 | 40 | 34 | 54,05 |
| ორლანდო | 73 | 39 | 34 | 53,42 |
| მილუოკი | 74 | 35 | 39 | 47,30 |
| ვაშინგტონი | 73 | 34 | 39 | 46,58 |
| ნიუ-იორკი | 74 | 32 | 42 | 43,24 |
| ატლანტა | 74 | 29 | 45 | 39,19 |
| ჩიკაგო | 74 | 26 | 48 | 35,14 |
| ტორონტო | 72 | 23 | 49 | 31,94 |
| მაიამი | 74 | 23 | 51 | 31,08 |
| კლივლენდი | 73 | 14 | 59 | 19,18 |

**დასავლეთი კონფერენცია**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| დალასი | 73 | 55 | 18 | 75,34 |
| სან-ანტონიო | 73 | 53 | 20 | 72,60 |
| საკრამენტო | 74 | 52 | 22 | 70,27 |
| პორტლენდი | 72 | 45 | 27 | 62,50 |
| მინესოტა | 75 | 46 | 29 | 61,33 |
| იუტა | 73 | 43 | 30 | 58,90 |
| ლეიკერსი | 73 | 42 | 31 | 57,53 |
| ფინიქსი | 73 | 38 | 35 | 52,05 |
| ჰიუსტონი | 73 | 38 | 35 | 52,05 |
| გოლდენ სტ. | 74 | 36 | 38 | 48,65 |
| სიეტლი | 72 | 35 | 37 | 48,61 |
| მემფისი | 73 | 26 | 47 | 35,62 |
| კლიპერსი | 73 | 23 | 50 | 31,51 |
| დენვერი | 74 | 17 | 57 | 22,97 |

კრივი

# ჰოლიფილდს ჰოლიფილდობა სურს

*თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს მოკრივეს ევანდერ ჰოლიფილდს დიდი წარდგენა არ სჭირდება. ტიტულებიც საკმაოდ მოუპოვებია (მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონია) და პროფესიული რინგის ისტორიაში გამორჩეული ადგილიც დაუმკვიდრებია. მიუხედავად ამისა, ისევ რინგისკენ იყურება და მომავალ ორთაბრძოლებზე ფიქრობს. გთავაზობთ ერთ-ერთ ინტერნეტ-საიტზე გამოქვეყნებული მისი ინტერვიუს შემოკლებულ ვარიანტს, რომელიც, ძირითადად, როი ჯონსთან შესაძლო დაპირისპირებას ეხება.*



ჰოლიფილდი მომავლისკენ იმზირება

**- ახალს რას გვეტყოდით?**

- ყველაფერი ძველებურადაა. ისევ მოლოდინში ვარ.

**- დაშავებული მხარი როგორა გაქვთ?**

- უკეთ. რეაბილიტაციის პროცესი გრძელდება, თუმცა, ყველაფერი კარგად მიდის. ერთი სიტყვით, დარტყმა უკვე შემიძლია.

**- 100 პროცენტით როდის აღიდგენთ ფორმას და მომავალი ორთაბრძოლისთვის როდის იქნებით მზად?**

- ჯერ არ ვიცი. როცა იქნება, ხომ იქნება. არსად მეჩქარება.

**- როი ჯონსსა და ჯონ რუისის დაპირისპირებაზე (1 მარტს ნახევრად მძიმე წონის მსოფლიო ჩემპიონმა, ამერიკელმა როი ჯონს-უმცროსმა WBA-ს (ასოციაციის) მძიმე წონის საჩემპიონო დაპირისპირებაში მასზე 15 კილოგრამით მძიმე და 8 სანტიმეტრით მაღალი ჯონ რუისი დაამარცხა. რედ.) რა აზრის ხართ?**

- როიმ კარგად წარმოაჩინა თავი. რუისის მძიმე დარტყმებიც მოიგერია და სწორადაც იმოძრავა, რამაც წარმატება მოუტანა.

**- თქვენთვის რამდენად მოულოდნელი იყო როის იოლი გამარჯვება?**

- ეს, მართლაც, სიურპრიზი იყო. მეგონა, ჯონ რუისი ბევრად აგრესიული იქნებოდა. ამასთან, ვვარაუდობდი, რომ დარტყმებიც ბევრად შედეგიანი ექნებოდა, ვიდრე სინამდვილეში ვიხილეთ.

**- ყველასთვის ცნობილია, რომ მიზნად გაქვთ, ერთხელაც მძიმე წონის მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი გახდეთ. ამბობდით კიდეც, რომ როისთან უმოტივაციო დაპირისპირება არ გჭირდებოდათ. დღეს რამდენად საინტერესოდ გეჩვენებათ როი ჯონსთან შებმის ალბათობა, მით უმეტეს, რომ იგი ახლა WBA-ს (ასოციაციის) საჩემპიონო სარტყელის მფლობელია?**

- სიმართლე გითხრათ, ასეთი შესაძლებლობით დაინტერესებული ვარ. თანაც, სწორედ ხსენებული მიზეზის გამო. თუ ტიტული გაქვთ, მაშინ მისთვის ბრძოლა ძალიან სასურველი ხდება ჩემთვის. საჩემპიონო ორთაბრძოლა დამეხმარება იმ მიზნის მიღწევაში, რომელიც მძიმე წონის მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონობამდე მიმიყვანს.

**- კრის ბერდი (შარშან, 14 დეკემბერს, ატლანტიკ სიტიში ჰოლიფილდი კრის ბერდთან IBF-ის (ფედერაციის) მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ორთაბრძოლაში ქულებით დამარცხდა. რედ.) და როი ჯონსი მსგავს სტილში ჩხუბობენ, მაგრამ ბერდი მემარცხენეა. ამ მოკრივეთა სტილის გათვალისწინებით ჯონსის ბრძოლის მანერა თქვენთვის პრობლემაა?**

- ჯონსის მხრიდან პრობლემებს არ ველი. მას ძალზე სწრაფი ხელები აქვს, მაგრამ საკუთარი ზომა-წონის გამო ბევრს ვერ შეძლებს. მე მხოლოდ ის უნდა გავაკეთო, რაც გასაკეთებელია – ბევრად უფრო აგრესიული უნდა ვიყო, ვიდრე ჯონ რუისი.

**- თუ ასეა, მაშინ სხვაგვარად გკითხავთ. განსხვავებულს რას შესთავაზებთ მეტოქეს?**

- გაცილებით მეტი ზეწოლა იქნება საჭირო, რათა მეტოქემ საკუთარი ბრძოლა თავს არ მომახვიოს.

**- თავად როიც არ მიიჩნევს საკუთარ თავს მძიმეწონოსნად. თქვენ, როგორც თანამედროვეობის ერთ-ერთ უდიდეს მძიმეწონოსან ჩემპიონს, რა შეგემატებათ, რომ "პატარა" თქვენი დივიზიონიდან გააგდოთ?**

- ჩემი მოტივაცია გამარჯვებაა. დამატებითი სტიმული არ მჭირდება.

**- როი ჯონსი ამბობდა: იმისთვის, რომ ჰოლიფილდის წინააღმდეგ გავიდე რინგზე, 50 მილიონი დოლარი მინდაო. ამის თაობაზე რას გვეტყოდით?**

- ეს აღმაშფოთებელია. ნებისმიერი ადამიანისთვის ძნელია 50 მილიონის შოვნა. ასეთი თანხა არავის აქვს. კარგი იქნება, თუ ეს თანხა მოიძებნება, მაგრამ ვერ წარმომიდგენია, საიდან, როგორ იქნება ეს შესაძლებელი.

**- როგორ შეაფასებდით როი ჯონსის დონეს ევანდერ ჰოლიფილდის მეტოქის რანგში?**

- ვერ გეტყვით. იოლი სათქმელია, რამდენად ძლიერი შეიძლება იყოს. რეალურად კი, ვიდრე საქმე საქმეზე არ მივა, შეფასებისგან თავს შევიკავებ. მე ჯონ რუისი არა ვარ. მისგან განსხვავებით, ბევრად გამოცდილი გახლავართ.

**- ამ ორთაბრძოლის გაყიდვა ძნელი იქნება?**

- არა მგონია, რადგან ორი ცნობილი მოკრივე უნდა გავიდეს რინგზე. რაც შეეხება როის, ხალხმა იცის, რომ იგი ერთ-ერთი საუკეთესო მოკრივეა. იციან მისი შესაძლებლობებიც. ამასთან, ისეთებიც მოიძებნებიან, ვინც დიდი სიამოვნებით მიადევნებენ თვალყურს როის გამარჯვებას, გნებავთ, მიბეგვას. იგივე შეიძლება ვთქვა ჩემზეც.

**- ვისი სტილი უფრო დიდი პრობლემაა თქვენთვის – ბერდის თუ ჯონსის?**

- არც ერთის. როდესაც კარგ მოკრივეს ხვდებით, უნდა შეგეძლოთ მეტოქის სტილთან შერწყმა. მათ დასამარცხებლად თითოეულის ხელწერაა გასათვალისწინებელი.

**- როი ჯონსის წინააღმდეგ ბრძოლაში რამდენად შეგიშლით ხელს დაშავებული მხარი?**

- არც რამდენად.

**- როდისთვის გეგმავთ მომდევნო ორთაბრძოლას?**

- ალბათ, ივლისისთვის.

**- თქვენი სახელი სხვა შესაძლო დიდ ორთაბრძოლებშიც ფიგურირებს...**

- ყველა, ვინც სრულ ჭკუაზეა, ფულის გამომუშავება სურს. მე კი სწორედ ის ვარ, ვისზეც ფულის გაკეთება შეიძლება. წლიდან წლამდე რეიტინგი მემატება. ამიტომაც არის, რომ ჩემს წინააღმდეგ რინგზე გამოსვლის მსურველი ბევრია.

**- როგორია თქვენი პროგნოზი ჯონსთან დაპირისპირებაში?**

- ამასთან დაკავშირებით არავითარი ეჭვი არ არსებობს. უნდა მოვიგო.

**- ვადამდე თუ ქულებით?**

- ვადამდე. ეს იქნება ბრძოლა პრესინგის თანხლებით. არ ვაპირებ, მუშტები მონაცვლეობით ვიქნიო. ან კიდევ დაველოდო, პირველი ვინ დაარტყამს. მნიშვნელობა არა აქვს, რას იზამს. მე მას წნეხის ქვეშ მოვაქცევ და ვცემ. ცემას მიპირებს, მაგრამ თითოეული დაბრუნებული ხურდა უფრო და უფრო ძლიერი იქნება.

ფორმულა 1

# მიხაელ შუმახერი კრიზისის დაძლევას ცდილობს



"შუმი" "ინტერლაგოსის" მოლოდინში

ნინო პირველი

კვირას ბრაზილიაში დაგეგმილია ფორმულა 1-ის მესამე რბოლა, რომლისთვისაც მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი მიხაელ შუმახერი განსაკუთრებული მონდომებით ემზადება. ავსტრალიაში დაკავებული მეოთხე ადგილისა და მალაიზიაში ნაჩვენები მეექვსე შედეგის შემდეგ უფროსი "შუმი" ჟურნალისტებისა და გულშემატკივრებისგან უდიდეს ფსიქოლოგიურ ზეწოლას განიცდის. გერმანელი პილოტის წარუმატებელი სტარტი ფორმულა 1-ის ყველა მოყვარულისთვის საშინელი მოულოდნელობა იყო, სენსაციის მოყვარული ჟურნალისტებისთვის კი - შესანიშნავი საკბილო. თითქოს პირი შეუკრავთო, ყველა გაზეთი დაჟინებით ამტკიცებდა, "შუმის" დიდების მზე ჩაესვენა, ამ სეზონში მსოფლიო ჩემპიონი ვეღარ გახდებაო. ვისაც არ ეზარებოდა, ყველა პროგნოზს აკეთებდა, შუმახერის ნაცვლად ტიტულის მოპოვებას ხან დევიდ კულტჰარდს უწინასწარმეტყველებდნენ, ხან – კიმი რაიკონენს, იმის მიხედვით, თუ ვინ მოიგებდა სეზონის პირველ ორ რბოლას. რატომღაც არავინ დაფიქრებულა იმაზე, რომ ერთი ტურნირის მოგება სულაც არ ნიშნავს ჩემპიონობას. ავსტრალიის გრან-პრის გამარჯვებული დევიდ კულტჰარდი მალაიზიაში საერთოდ გამოეთიშა რბოლას, აზიური ტურნირის ტრიუმფატორი კიმი რაიკონენი კი მწვანე კონტინენტზე მხოლოდ მესამე იყო. კაცმა არ იცის, ვის გაუღიმებს ბედი ბრაზილიაში. შუმახერის წაბორძიკებამ ფორმულას უდიდესი ინტრიგა შესძინა. ახლა წინასწარ ველარავინ იტყვის, ვის გაწუწავენ შამპანურით ამა თუ იმ რბოლის შემდეგ, იქნებ ის ბედნიერი ისევ "წითელი ბარონი" გახდეს? ყოველ შემთხვევაში, მიხაელ შუმახერს ამის დიდი იმედი აქვს.

ეს სეზონი თავიდანვე დანავსული აღმოჩნდა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონისთვის. ტექნიკური გაუმართაობა "ფერარის" ლამის დაუძლეველ ბარიერად ექცა. რომ არა ის მოულოდნელი ტექნიკური პრობლემა, რამაც ავსტრალიის გრან-პრის ფინიშზე იჩინა თავი, "შუმი" სეზონის პირველ რბოლას, ალბათ, მეოთხე ადგილზე არ დაასრულებდა, არც მალაიზიაში იქნებოდა მეექვსე. მოკლედ, ის ფაქტი, რომ შუმახერი წლეულს ძველებურად ვეღარ ბრწყინავს, პირველ ყოვლისა, "ფერარის" ბრალია და არა თავად შუმახერისა. ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად თვლის თავს დამნაშავედ ლუკა დი მონტეძემოლო, "ფერარის" ბოსი. ნათელი მხოლოდ ერთი რამ გახლავთ - მიხაელ შუმახერს მიაჩნია: ორი რბოლა რომ ვერ მოიგო, ამით ქვეყანა არ დაქცეულა. ჯერ ყველაფერი წინ არის და თუ გამართული ბოლიდით გავა ტრასაზე, გამარჯვებულის დაფნის გვირგვინი ისევ მას დარჩება. მოკლედ, შუმახერი მთლად პირდაპირ არ ამბობს, თავი დამანებეთო, მაგრამ ყველანაირად ცდილობს, თავი დააღწიოს აბეზარ პროგნოზისტებს.

"შუმი" ბრაზილიის რბოლისგან ბევრს ელის. ორი წარუმატებლობის შემდეგ გერმანელმა პილოტმა გარკვეული ცვლილებების განხორციელება გადაწყვიტა. "შუმის" მოულოდნელ რეფორმებს "ფერარის" მთავარი მექანიკოსი, ავსტრალიელი კრის დეირი შეეწირა. გერმანელ სპორტსმენს, როგორც ჩანს, მობეზრდა ამდენი ტექნიკური პრობლემა და სიტუაციის გამოსწორებას ცდილობს. დეირის ნაცვლად შუმახერს თავისი ძველი, კარგად ნაცნობი მექანიკოსის, იტალიელი ლუკა ბალდისერის დაბრუნება სურს.

კრის დეირი ისევ დარჩება თავის პოსტზე, მაგრამ მას მხოლოდ ფორმალურად ერქმევა "ფერარის" მთავარი მექანიკოსი, ბოქსში ყველა ვალდებულებას ბალდისერი აიღებს საკუთარ თავზე. 42 წლის ლუკა ბალდისერისთან უფროს "შუმის" შესანიშნავი მოგონებები აკავშირებს. მასთან ერთად "შუმი" სამჯერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი. "ლუკა ის კაცია, რომელიც ჩემს მანქანას სჭირდება. ჩვენ კარგად გვესმის ერთმანეთის, ყველაფერი არაჩვეულებრივად გვაქვს აწყობილი. მასზე უკეთ არავინ იცნობს რბოლის ჩემეულ სტილს", - ამბობს "შუმი".

ასეთი მექანიკოსი ახლა შუმახერს, მართლაც, ძალიან სჭირდება. ამას "ფერარის" ხელმძღვანელობაც კარგად გრძნობს, ამიტომაც დათანხმდა "შუმის" ბალდისერის ბოქსში დაბრუნებაზე. ჯერჯერობით გადაწყვეტილი არ არის, რამდენ ხანს დარჩება ბალდისერი ძველ თანამდებობაზე - რამდენიმე რბოლის განმავლობაში თუ სამუდამოდ. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რა წარმატებას მიაღწევს "შუმი" თავის ძველ მექანიკოსთან ერთად.

მექანიკოსის გარდა, "ფერარის" პრობლემა ძველი ბოლიდიცაა. იტალიელი ტიფოზები იმედოვნებდნენ, რომ შუმახერი და ბარიკელო ახლა მაინც იასპარეზებდნენ ახალი ბოლიდით, მაგრამ "ფერარის" ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი აქვს, F2003GA -ის ნაცვლად, ისევ F2002-ით გამოვიდეს. ხმები დადის, იტალიელები მთავარი კონკურენტის, "მაკლარენ-მერსედესის" ახალ მანქანას ელოდებიან და საკუთარ მოდელს მხოლოდ ამის შემდეგ გამოიყვანენო. არსებობს მეორე ვერსიაც, რომელიც, ალბათ, უფრო ახლოსაა ჭეშმარიტებასთან: "ფერარი" ახალი ბოლიდის წარდგენას ვერ ახერხებს, რადგან მანქანა ჯერ კიდევ არ არის მზად. იქნებ არც შუმახერს ურჩევია F2002-ით რბოლა, მაგრამ სხვა რა გზაა, რაც აქვს, იმას უნდა დასჯერდეს და ისევ ძველი ბოლიდით შეეცადოს "ვერცხლისფერი ისრების" ანუ "მაკლარენ-მერსედესის" დაძლევას...

ისტორიული ფოტო

# ეს იყო 15 წლის წინათ...




1987 წლის 7 ივლისი, ნეაპოლი, იტალია. "ნაპოლის" ფეხბურთელები: ბრაზილიელი ანტონიო კარეკა და არგენტინელი დიეგო მარადონა.

ქართულ ლიგაში გაწევრიანების მსურველებს გთხოვთ დაგვიკავშირდეთ შემდეგ ტელეფონებზე: 91-07-23; 91-07-45; ან მობრძანდეთ შემდეგ მისამართზე: წერეთლის გამზირი 118 (ყოფილი "კოსმოსი"-ს შენობა) ყოველდღე 9[00]-დან 20[00]-მდე.
"ქართული ლიგა" (საქართველოს ომის ვეტერანთა სამოქალაქო კავშირი)

თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**ა ც ხ ა დ ე ბ ს**

სტუდენტთა მიღებას 2003-2004 სასწავლო წლისათვის.

ფაკულტეტზე მომავალი სტუდენტების მიღების პროცესი დასრულდება 2003 წლის 10 ივნისს.
ფაკულტეტზე ჩარიცხულ სტუდენტთა სია გამოქვეყნდება არა უგვიანეს ა.წ. 15 ივნისისა.
საბუთების მიიღება 2003-2004 სასწავლო წლისათვის დამთავრდება ა.წ. 15 მაისს.

მიღების წესები იხილეთ www. dphss.org ან მიაკითხეთ ინფორმაციისათვის ფილოსოფიის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამდივნოს.
**მისამართი:** თბილისი, ჭავჭავაძის 45, II სართული. ტელ. 223742

**ბალანსის**
შედგენა, აუდიტი-დასკვნა, დეკლარაციების შევსება.
**ფირმების რეგისტრაცია**
შ.პ.ს; კავშირი (არასამთავრობო), სადამფუძნებლო დოკუმენტაციის მომზადება, აუდიტორული დასკვნის გაცემა საწესდებო კაპიტალზე.
1 საათში. მოგემსახურებით ადგილზე
მის: კოსტავას 76. (სააკაძის მოედანთან). ტ: 33 73 54; 899-57 73 15; 877-71 18 22

გაზეთი 24 საათი

2.04.03 N-90

## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი აღმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ. ფასი: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯიით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 18 000. ტელ: 899 901729

**იყიდება 3-სართულიანი კერძო სახლი მცხეთაში, ფიქრის გორაზე - შიო მღვიმელის ქ. 4 ; 600 კვ. მ. მიწის ნაკვეთით. არის ბუნებრივი აირი, ტელეფონი თბილისის ნომრით, საცურაო აუზი და ავტოფარეხი ორი ავტომობილისათვის. სახლი აშენებულია 1992 წელს. დარეკეთ ტელეფონზე: ტელ: 94-12-12, იკითხეთ ლია.**

**იყიდება 2,5-იანი გარემონტებული სუფთა ბინა, რკინის კარით, პარკეტით, ბუნებრივი აირით, ორი აივნით, სათავსოებით, ორი სარდაფით, ავტოფარეხის ადგილით. ორხევი, მუხაძის 6/6, I სადარბაზო, III სართ. N7. ტელ: 76-87-48, 893 32-28-12, 893 20-75-91.**

იყიდება 2,5-ოთახიანი, არასტანდარტული სუფთა ბინა მე-6 სართულზე. 40 კვ.მ. მიშენებით ქვედა ბახტრიონზე, N22-ში. ფასი 24 000. ტელ: 38-32-50

იყიდება კეთილმოწყობილი 2-სართულიანი სახლი ევრორემონტისთ, ეზოთი, ბუხრით, ავტონომიური გათბობით ბაგებში. 22-28-65, 899 92-07-08.

იყიდება 1100 კვ.მ. აგარაკი ხეხილიანი ეზოთი ასურეთში, კაპიტალური ორსართულიანი გარემონტებული სახლით, ელექტროგაყვანილობით, წყლით. 93 27 82, 8(93) 20 32 92

იყიდება ფოთში, მალთაყვის პირას ორსართულიანი სახლი ციტრუსიანი 600 კვ.მ. ეზოთი, გამოდგება საagარაკედაც. 93 27 82, 8(93) 20 32 92

იყიდება ან იცვლება 104 კვ.მ. კაპიტალური კერძო სახლი, ჭერი 3,80 სმ, ეზო - 400 კვ.მ. 2 მანქანის სადგომით საბურთალოზე, ვაზისუბნის 99. 37 33 76

იყიდება 3-ოთახიანი არასტანდარტული, მაღალჭერიანი კუთხის ბინა ბუნებრივი აირით, გოგირდის წყლით, რკინის კარით, მუხის პარკეტით, ორმხრივი მიშენების პერსპექტივით, კეთილმოწყობილი სარდაფით, ავტომობილის გასაჩერებელი ადგილით "რუსთავი 2"- ის უაკან. ფასი: 30 000$. ტელ: 39-30-54.

## მიწის ნაკვეთი

იყიდება 1000 კვ.მ. ხეხილიანი ნაკვეთი კოჯორში. მიყვანილია ბუნებრივი აირი, წყალი, დენი. 96 99 34 ნინო ან ნუკრი

იყიდება 240 კვ.მ. მიწის ნაკვეთი საზკვების ობიექტის ასაშენებლად მეტრო „ისანთან". 8(99) 18 27 74, 8(77) 40 02 42

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## კომერც. ფართი

ვიქირავებ რესტორანს დიღმის გზაზე. ტელ: 95 21 46 (10-სთ-დან 17 სთ-მდე). იკითხეთ ირაკლი ან ნუგზარი

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება!**
**სახლი აღმაშენებლის გამზ. N151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.**
**ტელ: 37-28-77; 93-16-11; 899 539097**

## მანქანები

**იყიდება !**
ა/მ **AUDI 90 Coupe GT.** 1988 სპორტული, ოქროსფერი, ძრავი 2,3 ხუთცილინდრიანი, ტყავის სალონი, გიდრავლიკა, ლუქი. კარგ მდგომარეობაში. საწყისი ფასი 1500$
**ტელ: 899 16 28 68**




## სწავლება

მოვამზადებ ებრაულში. 77-41-63.

შევასწავლი გერმანულ ენას. 32 03 71, 8(99) 29 88 05

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12, 893 219442.

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. ტელ: 38-44 43 საღამოს, 61 29 76

**ვამზადებ სტუდენტებსა და ექიმებს სასერტიფიკაციო გამოცდისთვის სპეციალობებში (ექიმი თერაპევტი, ზოგადი პროფილის ექიმი-მკურნალი). ტელ: 64-63-40, 893 282-559**

## სხვადასხვა

იყიდება იტალიური ვისკოზის ძაფი ფერებში. 34-64-41.

იყიდება მაღაზია და საცხობი ერთად ნაძალადევში, ზესტაფონის ქუჩა № 14. ფასი 8 000. 64 87 96

**იყიდება კომპიუტერი Pentium I. ფასი 120$**
**ტელ: 30-56-90 ზურა.**

სამრეცხაო სალონი „კრისტალი" გთავაზობს თეთრეულისა და ტანსაცმლის რეცხვა-დაუთოვებას, ქიმწმენდას. სოლოლაკი, მაჩაბლის 1. 98 36 34

ვისესხებ 15 000-ს. 95 29 90

იყიდება ხეხილის ნამყენი ნერგები, ვარდები, ვაზები, ლეღვი, კაკალი, ბროწეული, ფიჭვი, კიპარისი, კედარი, ტუია და სხვა. 69 97 05, 8(99) 16 93 15 ამირანი

ვარ 24 წლის. პროფესიით ჟურნალისტი. ვფლობ კომპიუტერის საოფისე პროგრამებს. საც. გთხოვთ გამომეხმაუროთ. 76 26 43, 8(99) 15 69 02 ნანა

ვთარგმნი ინგლისურიდან, გერმანულიდან, რუსულიდან სამედიცინო და ნებისმიერი სირთულის ტექსტს. 75 53 55

იყიდება ლაი-ლაიში ჩართული ნომერი. 8(93) 24 58 72

იყიდება რუმინული კედელი „კრისტინა", კარგ მდგომარეობაში. ფასი შეთანხმებით. 78 28 55, 35 38 77, 8(93) 30 40 79

შევიძენ 15 ტონიდან 100 ტონამდე სასწორს ავტომობილებისა და ჯართის ასაწონად. 70 60 99, 8(99) 55 91 70

იყიდება კომპიუტერის კატრიჯები იაფად. ალ. ყაზბეგის ქუჩა № 14. 91 18 81

**იყიდება Sony Playstation, ორიგინალი (შეძენილია გერმანიაში). 2 ჯოისტიკით, 2 Memory Card-ით და 30 სათამაშო დისკით. შესანიშნავ მდგომარეობაში. ფასი 150 დოლარი. ტელ: 877-400410**

**კომპანია "InterCor .comServis" გთავაზობთ შემდეგი სახის კომპიუტერულ მომსახურებას:**
ინსტალაცია/მოწყობილობების გაუქმება, კომპიუტერის კონფიგურაცია კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, სისტემის ოპტიმიზაცია, ინტერნეტში ჩართვა, ადგილობრივი ქსელების დაყენება და მომსახურება, მათი მუშაობის უზრუნველყოფა, ინდივიდუალური პროგრამების შედგენა. ყველა სამუშაო ჩატარდება ადგილზე, ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაშიც.
**ტელ: 92 17 74, 98 22 87, 92 02 49**

# აფიშა

## საკონცერტო დარბაზები

**აჭარა მიუზიკ ჰოლი**
ქართული ნაციონალური ბალეტი პროექტით "ასსა"
დას: 23:00 სთ; ფასი 30,50 ლარი

## თეატრები

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო"**
გაბრიელ გარსია მარკესის "სიყვარულის სულთათანა", რეჟ. თემურ ჩხეიძე; მთავარ როლში სოფიკო ჭიაურელი
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
"ვენეციელი ვაჭარი", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ; ფასი 10 ლარი

**თავისუფალი თეატრი**
"სისხლიანი ქორწილი", რეჟ. გოჩა კაპანაძე
დას: 19:00 სთ; ფასი 3,5 ლარი

**თეატრალური სარდაფი**
ნინო ბასილია "თაგვი", რეჟ. ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

## საგამოფენო დარბაზები

**გალერეა „სოლოლაკი"**
"შემოდგომის პლენერი გარიყულაში", ხუთი პოლონელი მხატვრის გამოფენა
გახსნა 16:00 სთ

**TMS**
"თაობები", ქიქოძეების ფოტოგამოფენა

**„ქარვასლა"**
მაია ავალიშვილის პერსონალური გამოფენა

**უნივერსი**
ლეილა შელიას ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**ეროვნული გალერეა**
მამია მალაზონიას ნამუშევრების პესონალური გამოფენა

**ჰობი**
ზაალ სულაკაურის ნამუშევრების გამოფენა

## კინოთეატრები

**„ამირანი"**
"ნიუ იორკის ბანდები"
დას: 13:00; 19:00; 22:30 სთ; ფასი 6-9 ლარი
"სიყვარულის შეტყობინებით"
დას: 17:00 სთ; ფასი 7,8 ლარი

**„რუსთაველი"**
"განძთა კუნძული"
დას: 13:00; 15:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ტაქსი 3"
დას: 17:00; 21:30 სთ; ფასი 5,7 ლარი
"თანამშრომლები"
დას: 19:00; ფასი 5 ლარი

**„ელისო"**
"განძთა პლანეტა"
დას: 15:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ტაქსი 3"
დას: 17:00 ფასი 5 ლარი
"მოახლე მანჰეტენიდან"
დას: 21:00 სთ; ფასი 5 ლარი

# TV პროგრამა 2 აპრილი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 სერიალი „დათვების ქალაქის ზღაპრები"
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
10.40 სერიალი „ალფი"
11.10 ვის უნდა ოცი ათასი?
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „დატყვევებული გულები"
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა"
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.15 სერიალი „დათვების ქალაქის ზღაპრები"
18.40 სერიალი „მედისონის სკოლა"
19.00 სერიალი „კუსტოს წყალქვეშა ოდისეა"
19.55 სერიალი „დატყვევებული გულები"
22.00 ხალხის პირისპირ
22.50 ღამის კურიერი
00.20 მხ. ფილმი „ძალაუფლება, ვნება, მკვლელობები"
02.30 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „ჯაშუშები"
10.15 მხ. ფილმი „ეძიეთ ქალი" მე-2 ს.
11.25 დოკ. სერიალი „ეგვიპტოლოგიის პიონერები"
12.00, 15.00, 20.00, 23.55 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
13.00 „ნაშუადღევს"
14.05 ქართული ენის გაკვეთილი
14.30 „ქართული მთამსვლელობის ისტორია"
15.15 დოკ. სერიალი „პალიტრა"
15.40 ტელესერიალი „ძილის წინ"
15.55 ფეხბურთში საქართველოს და შვეიცარიის ოლიმპიური ნაკრების შეხვედრა. შესვენების დროს დოკ. სერიალი „მოდა ყველასათვის"
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „საუკუნის გიგანტები"
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 „ისტორიანი"
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე"
21.00 ტელესერიალი „ეშმაკუნა"
21.55 ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩი: საქართველო-შვეიცარია.
23.00 „რა ხდება?!"
23.50 ტელესერიალი „ძილის წინ"
00.10 მხ. ფილმი „შტორმი"

### პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 განმ. მუსათეული
11.45 ფილმი
14.00 ფილმი
16.00 ფილმი „კატები ძაღლების წინააღმდეგ"
19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30, 20.15 ვიდეორადიო
20.50 ათი ლექსი
21.15 რუს. მუსათეული
22.35 პაპარაცი
23.00 ჩაძიროგანა
00.00 ფილმი ბრავო „გადამტანი"
01.45 ფილმი ღამურა „ეგზოტიკა"
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე" მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები"
20.30 და არს მუსიკა
21.00 დოკ. ფილმი
21.30 წარსულის ტერიტორია
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „ამაღლება"

### იბერია

08.00 ანონსი, აღსავალი
08.05 დიალოგი
10.30 მხ. ფილმი „ერთადერთი გამოსავალი"
12.30 დოკ. ფილმი
13.00, 15.00, 17.00, 19.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 დოკ. სერიალი „ექსპედიცია"
15.15 მხ. ფილმი „უკანასკნელ მომენტში"
17.20, 18.30, 19.30, 21.35, 23.30 მუსიკა
17.30 მულტფილმი
18.45 ბუნების ფერები
19.45 გადაცემა - მურადა
20.00 მხ.ფ. „მონადირე"
22.00 დიალოგი
23.45 მხ.ფ. „კარიერა"
01.30 ღამის ფილმი

### ევრიკა

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
12.00 „სალონი"
13.30 ექიმი გვირჩევს
14.30 საგავშვო მუსიკალური კოლაჟი
15.00, 21.00 ვესტი
15.30 საგავშვო მუსიკალური კოლაჟის გაგრძელება
18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი
19.30 სცენის ოსტატები
20.30 მულტფილმი
21.30 „სპორტის სამყარო"
22.30 თინეიჯერი
23.30 მუსიკალური პაუზა
23.55 მხ. ფილმი „დომინოს პრინციპი"

### მეცხრე არხი

09.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
09.50, 11.55, 17.50, 18.50, 19.50, 21.50, 23.45 მუსიკა
10.00 მხ. სერიალი „ქვეყნის კიდეზე"
11.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
12.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი"
12.45 მხ. ფილმი „საათის მექანიზმი"
14.45 „ევროპის სტადიონებზე"
15.05 მხ. ფილმი „ლეგიონი"
16.30 დოკ. ფილმი „ნაციონალური გეოგრაფიული საზოგადოება"
18.00 მხ. სერიალი „ქვეყნის კიდეზე"
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება"
20.00 „ევროპის სტადიონებზე"
21.00 მხ. სერიალი „ვი. აი. პი"
22.00 „ტელემეტრი"
22.15 მხ.ფილმი „მკვლელი-ლიფტი"
00.20 მხ. სერიალი „თოჯინების ველი"
00.45 მხ. ფილმი „ინტიმური იმედგაცრუება"

### იმედი

17.00, 00.55 იმედის მელოდიები
17.56, 20.57, 00.45 ახალი ამბების დაიჯესტი
18.00 სერიალი „ლაბირინთი"
19.00, 22.00 ქრონიკა
19.30 სერიალი „ამაზონი"
20.30 8 1-2 სპორტული პროგრამა „ესტაფეტა"
21.00 სერიალი „ბანდიტური პეტერბურგი"
22.45 ფანების კინოკლუბი „საძინებლის ფანჯარა" (ე. მაკგოვერნი, ი. იუპერი)

### აჭარა

08.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
08.20 დოკუმენტური ფილმი
09.00, 12.00, 16.00 საინფორმაციო გამოშვება
09.15 სათავგადასავლო ფილმი „კორინფის დამპყრობელი"
10.45 ფილმი-ფანტასტიკა „კაპიტანი ნემო" 1 ს.
12.10 კომედია „საუკეთესო მეგობრის ქორწილი"
14.00 თრილერი „კერკეტი კაკალი-3"
16.10 მულტფილმი „კასპერი მოჩვენებანი შობის ღამეს"
17.30 მელოდრამა „მე და მერელინი"
19.00, 22.00, 00.00 „დღეს"
19.20, 22.30, 00.30 „ნოვოსტი"
19.30, 22.50 „პრესდაიჯესტი"
19.40 „ქართული კინო"
20.20 კომედია „ვოვაჩკა"
21.50 „გალერეა"
23.00 „ალტერნატივა"
00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
01.10 მხატვრული ფილმი „გზა არლინგტონზე"
03.20 დოკუმენტური ფილმი „პარიზი"
03.40 მელოდრამა „ქალბატონის პორტრეტი"

### VII არხი

09.15 მელოდია
09.25 „აჩიკუდა"
09.45 მელოდია
10.10 აუდიო-ვიდეო-ტელე
11.00 მელოდია - მოკლე შეტყობინებები
12.00 კომპიუტერული ტექნიკა
12.45 „ბიორითმი" - .
13.05 მობილურები
13.50 დისნეი და მისი მეგობრები
14.10 კომპიუტერული თამაშები
14.25 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე
19.00 „აჩიკუდა"
19.40 მობილურები
20.20 მელოდია
20.45 კომპიუტერული თამაშები
20.55 „ლა-ლა-ლა"
21.50 კომპიუტერული ტექნიკა
22.30 მელოდია
22.50 „კინოკლუბი „ - „განწირულნი".
00.35 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
01.05 „ბიორითმი" - .

### ОРТ

07.00 „Доброе утро!"
10.00, 13.00, 16.00, 19.00, 03.00 Новости
10.15, 20.00 „Земля любви, земля надежды"
11.10 „Тайна Карибского залива"
12.05, 19.30, 00.55 „Фабрика звезд-2"
12.35 „Ллойд в космосе"
13.15 Худ. фильм „УБИЙСТВО ПО НОТАМ"
15.00 „Новый день". „Короли смеха". В. Полунин.
15.30 „Новый день". „Великие мистификации". К. Прутков.
16.20 Док.сериал „Дикие штучки"
16.55 Сериал „СДВИНУТЫЙ"
18.00 „Большая стирка"
21.00 „Основной инстинкт". Ток-шоу.
22.00, 00.30 Время
22.40 Сериал „ДРУГАЯ ЖИЗНЬ"
23.45 Док. цикл „Звездный отряд"
01.10 „Новый день". „Сканер"
01.40 „Новый день". „Русский экстрим"
02.10 Апология
03.10 Сериал „Беглец"
04.05 „ВТОРЖЕНИЕ ПОХИТИТЕЛЕЙ ТЕЛ"
06.05 „Русские в Антаркдите"
06.25 „Шутка за шуткой".

### РТР

06.45 Доброе утро, Россия!
09.45 Комедия „ПРИЕЗЖИЕ"
11.45, 18.20, 20.50 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00, 06.00 Вести
12.20 Ток-шоу „Короткое замыкание"
13.20 Сериал „Лодка любви"
14.15, 17.45 Экспертиза
14.30 Москва-Минск
14.45 Вести-Москва
15.20 „Что хочет женщина"
16.10 Сериал „Трое против всех-2"
17.15 Агентство одиноких сердец
18.50, 02.30 Дорожный патруль
19.05, 00.30 Вести-Спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс"
21.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Сериал „РУССКИЕ АМАЗОНКИ"
23.00 Сериал „Кобра. Антитеррор"
00.00 „Вести +"
00.40 Худ. фильм „НЕТ ПУТИ НАЗАД"
02.40 Горячая десятка

### НТВ

07.00 Утро на НТВ
10.00 Сериал „Скорая помощь 8"
11.00 Сегодня утром
11.25 „Внимание розыск!"
12.00, 13.00, 15.00, 18.00, 20.00 Сегодня
12.05 „Растительная жизнь" Аркадий Укупник.
12.35 „Вы будете смеяться"
13.05 Сериал „Вечный зов"
14.25 „Принцесса из Нижнего". „Профессия - репортер"
14.45 Криминал
15.05 Путешествия натуралиста
15.35 Детектив „Она написала убийство"
16.35 „Принцип „Домино"
18.10, 21.50 Сериал „Бандитский Петербург"
19.20 Чистосердечное признание
20.35, 00.25 Сериал „ПЯТЫЙ АНГЕЛ"
23.00 „Страна и мир"
23.40 „Секс в большом городе"
01.30 Гордон
02.30 „Доктор"
03.15 Ночь

*პროგრამები იბეჭდება მედიასთან ურთიერთობის სააგენტო "ინფოზავრის" ნებართვით*



# ღვთისმოშიში მაფიოზი - ჯოზეფ ბონანო

ანა კორძაია-სამადაშვილი

*უცნაური კაცის ამბავს გიამბობთ. სწორედ მან შექმნა ორგანიზაცია, რომელსაც ამერიკულ მაფიად იხსენიებენ. ის მას 30 წლის განმავლობაში მართავდა, და შემდეგ, სიბერის ჟამს, მშვიდად მიატოვა თავისი ცხოვრების საქმე და უხმაუროდ გარდაიცვალა ლამაზ სახლში. ის მარიო პიუზოს რომანისა და ფრენსის ფორდ კოპოლას ფილმის, "ნათლიას" გმირის, ვიტო კორლეონეს პროტოტიპი იყო.*


მარლონ ბრანდო დონ კორლეონეს როლში


მომავალი "ნათლიის" პირველი საქმე


"ნათლიად" კურთხევა

1905 წლის 18 იანვარს ქალაქ კასტელამარეში მდიდარ სიცილიელ ფერმერს, ჯუზეპე ბონანოს ვაჟი შეეძინა. მაშინ, ცხადია, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მამის პატივსაცემად ჯუზეპედ მონათლული ბიჭი ოდესმე ამერიკის შეერთებული შტატების ერთპიროვნული მმართველი გახდებოდა.

პატარა ჯუზეპეს ცხოვრება, თითქოს, წინასწარ იყო გათვლილი: სამრევლო სკოლაში სწავლა და შემდეგ მამის ფერმის მმართველობა. მაგრამ ყველაფერი უცებ შეიცვალა – მამამისმა თავისი ბავშვობის მეგობრის, სალვატორე მარანცანოს წერილი მიიღო შორეული და უცნობი ამერიკიდან.

მარანცანო ისე ხატოვნად აღწერდა ნიუ-იორკში ცხოვრების მშვენებას, რომ ბონანომ ფერმა რამდენიმე დღეში გაყიდა და შტატებში გაემგზავრა – ავანტიურიზმი, ჩანს, ყველა ბონანოს ახასიათებდა.

ჯუზეპე უცებ ჯოზეფად იქცა. ბონანოებმა ნიუ-იორკში ათი წელი იცხოვრეს და, როგორც ის შემდეგ იგონებდა, ეს მისი ცხოვრების ყველაზე რთული წლები იყო: დედა დიდ ქალაქში ყოფნას ვერაფრით ეჩვეოდა, მშობლები სულ ჩხუბობდნენ და ამიტომ მამის გარდაცვალების შემდეგ ოჯახი სიცილიაში დაბრუნდა.

კასტელამარეში დაბრუნებული ჯო უცებ იქცა უგვირგვინო მეფედ და დიდ ავტორიტეტად: ხუმრობა საქმეა, კაცმა ოკეანე გადაცურა, უზარმაზარ ქალაქში ცხოვრობდა, უცხო ენაზე ლაპარაკობს... სულ მალე ბონანოს მოზარდების ბანდას დასახმარებლად დიდი მაფიოზებიც კი მიმართავდნენ და ხელისუფლებამ მისი არსებობა შეამჩნია. ჯოზეფ ბონანო კვლავ ამერიკაში დაბრუნდა, ამჯერად უკვე არალეგალურად, კუბის გავლით. თუმცა, გაქცევის ნამდვილ მიზეზს არ ასახელებდა ხოლმე, თავის თავს პოლიტიკურ ემიგრანტს უწოდებდა, ამბობდა, რომ იტალიიდან მუსოლინის რეჟიმს გაექცა – რეპრესიების შიშით.

ნიუ-იორკში ჩასული ბონანო, ცხადია, აღარ დაიკარგებოდა – ძველ ნაცნობს, სალვადორე მარანცანოს მიადგა, რომლის მაფიოზური კლანიც ბრუკლინს აკონტროლებდა. მარანცანოს თითქმის ყველა "თანამებრძოლი" კასტელამარედან იყო, ამიტომ კლანიც კასტელამარეზედ იყო ცნობილი. ახალ წევრს, ჯოზეფს, ერთობ საპასუხისმგებლო საქმე ევალებოდა – ალკოჰოლიანი სასმელებით უკანონო ვაჭრობა, და სწორედ ახალგაზრდა სიცილელის მახვილი ჭკუის წყალობით კასტელამარეზე ნიუ-იორკისთვის სასმელების ძირითადი მიმწოდებელი გახდა.

ნიუ-იორკის მაფიის იმდროინდელი ხელმძღვანელი, ასევე იტალიელი, ჯუზეპე მასერია, უკმაყოფილო იყო. თავიდან ის კასტელამარეზესთან შეთანხმებას შეეცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა, კვლავ ჯოზეფ ბონანოს წყალობით – მან ბრძანა, რომ მოსალაპარაკებლად წასული მასერიას "მოციქულები" გზაშივე დაეხვრიტათ. ასე დაიწყო კლანებს შორის ომი, რომელიც სამი წელი გაგრძელდა, და რომელიც, როგორც გაირკვა, ორ ადამიანს ძალიან აწყობდა: ჯოზეფ ბონანოს და მასერიას თანაშემწეს, ჩარლი, მეტსახელად ლაკი ლუჩანოს. 1931 წელს სალვადორე მარანცანო და ჯუზეპე მასერია მოკლეს და იმხანად ამერიკაში არსებული, ოცდაათზე მეტი მაფიოზური კლანის ხელმძღვანელი საერთო შეხვედრაზე მოიწვიეს.

ამ შეხვედრას ისტორიული შეიძლება ეწოდოს: მცირე მაფიოზური დაჯგუფებები ხუთ მსხვილ კლანად გაერთიანდა და ჩამოყალიბდა ე.წ. კომისია, რომელსაც ამიერიდან ყველა სადავო საკითხი უნდა გადაეწყვიტა.

ამერიკული მაფიის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა მეთაური, 26 წლის ჯოზეფ ბონანო თავისი წრის ადამიანისთვის ერთობ უჩვეულოდ იქცეოდა: თავის კლანს ჩუმად მართავდა და მოკრძალებული და ღვთისმოსავი ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენდა. აზარტული თამაშების, მევახშეობისა და ბუტლეგერობისგან მიღებული თანხები ბონანოს ლეგალური იმპერიის შექმნას ხმარდებოდა და მეორე მსოფლიო ომის დასაწყისისთვის მას საფეიქრო ფაბრიკები, საქონლის ფერმები, ხორცით ვაჭრობის და შეერთებულ შტატებში ყველაზე დიდი დამკრძალავი ბიუროების ქსელი ჰქონდა. სწორედ ამ უკანასკნელმა ბიზნესმა შთააგონა ბონანო და მან ორმაგი ძირის მქონე კუბო შექმნა – ეს გამოგონება ფასდაუდებელი იყო მათთვის, ვისაც "არასასურველი" გვამის უჩუმრად მოშორება უნდოდათ.

მიუხედავად იმისა, რომ მაფიოზურ იერარქიაში მისი მდგომარეობის შესახებ ყველამ იცოდა, ბონანოს უკანონო ქმედებაზე ვერავინ იჭერდა. კანონთან ყველაზე დიდი უსიამოვნება მეორე მსოფლიო ომის დროს ჰქონდა, მაშინ, როცა ფეიქრებმა იჩივლეს, დამატებითი მუშაობისთვის ფულს არ გვიხდისო და ბონანომ ჯარიმა გადაიხადა, 500 დოლარი. არადა, იმხანად მაფიოზური სტრუქტურების ხელმძღვანელთა უმრავლესობა ციხეში აღმოჩნდა, თან ერთობ უსიამოვნო ბრალდებებით: ალ კაპონე გადასახადების გადაუხდელობის გამო, ხოლო ლაკი ლუჩანო სუტენიორობისთვის დააპატიმრეს.

ამ უკანასკნელის არსებობა ბონანოს სულ უფრო ნაკლებად აწყობდა და მისი "თავიდან მოცილების" ამბავი ჯუზეპე ბონანოს მიერ ჩატარებული ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული ოპერაცია გახლავთ: ბონანოს მიერ დარიგებული ლუჩანო, რომელსაც 25 წლიანი პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, ხელისუფლებას მოელაპარაკა და მოკავშირეთა სიცილიაში შეჭრის პროცესის გაადვილების სამაგიეროდ თავისუფლება და აშშ-ს დატოვების უფლება მოიპოვა.

ლაკი ლუჩანოს, ყველაზე საშიში კონკურენტის "საქმიდან გასვლის" შემდეგ ბონანო მთელი ჩრდილოამერიკული მაფიის ერთპიროვნული მმართველი გახდა.

თავის ავტობიოგრაფიაში ბონანო წერდა, 1960-იანი წლების დასაწყისში იმის გამო გადავდექი, რომ მაფიამ ნარკოტიკებით ვაჭრობა დაიწყო, ეს კი მამაკაცისა და მორწმუნე ადამიანისთვის არასაკადრისი საქმეაო. საერთოდ, ის ყოველთვის ცდილობდა, თავი უწყინარ კრავად და კეთილშობილ ადამიანად წარმოეჩინა, რომელსაც ვიღაც ვიგინდარები უდიერად ექცეოდნენ. ასეთი იყო მისი და მისი ვაჟის გატაცების ამბავიც – თავად დაიმალა, და ამ აქციით მისი საქმიანობით "უშნოდ" დაინტერესებულ ხელისუფლებასაც დაუძვრა და სხვა კლანების მიერ დაქირავებულ მკვლელებსაც. "გატაცების" შემდეგ 19 თვე როცა გავიდა, მან დემონსტრაციულად განაცხადა უარი თავის ნიუ-იორკულ უძრავ ქონებაზე და არიზონაში გადავიდა საცხოვრებლად. დაინტერესებულ პირებს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ უნუგეშო ცნობები მისდიოდათ და ბონანო დაივიწყეს.

მისი გახსენება მაფიასაც და ხელისუფლებასაც 1983 წელს მოუწია, როცა ჯოზეფ ბონანომ ავტობიოგრაფიული წიგნი გამოაქვეყნა: "ჯოზეფ ბონანო, ღირსების კაცი". სასტიკი წიგნია: 30-იანი წლების მაფიოზებით აღტაცებული ავტორი "ახლებს" აკრიტიკებს, მეტისმეტად ხარბები არიან საიმისოდ, რომ მოქცევა იცოდნენო; მათი წყალობაა, რომ არასიცილიელები "ოჯახების" წევრები ხდებიან და უფროსებს პატივს არ სცემენო. გარდა ამისა, სკანდალი თავად ბონანომ გაამწვავა: მას წიგნის გარეკანი არ მოეწონა და გამომცემელს სასამართლოში უჩივლა. ალბათ, ცხოვრებაში პირველად, ბონანო გაბრიყვდა: სასამართლოში 18 მილიონი დოლარი წააგო, წიგნში შეტანილი მასალის საფუძველზე კი თავად ავტორი ერთი წლით ციხეში აღმოჩნდა.

ციხიდან გამოსული, კვლავ არიზონაში დასახლებული ბონანო მშვიდად შესცქეროდა, მის წიგნში შესულ მასალაზე დაყრდნობით როგორ ანადგურებდა ხელისუფლება მაფიას. როცა ეკითხებოდნენ, ამ ამბავზე რა აზრისა ბრძანდებითო, პასუხობდა, მე დონი აღარ ვარ და ის, რაც უწინ ვიყავით, აღარ არსებობსო. უცნობებს კი უხსნიდა, რომ, უბრალოდ, "იმ" ბონანოს მოგვარე იყო.

ამერიკის უდიდესი მაფიოზი, ჯოზეფ ბონანო, 97 წლისა გარდაიცვალა, მშვიდად, უდრტვინველად, მოსიყვარულე შვილიშვილებითა და შვილთაშვილებით გარშემორტყმული.

## კალენდარი

დღეს
ოთხშაბათს, 2 აპრილს




742 წელს დაიბადა შარლემანი - ფრანკთა მეფე და თითქმის მთელი ევროპის დამპყრობელი.

1949 წელს ათწლიანი აკრძალვის შემდეგ, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს დაიწყო, ბრიტანეთში კვლავაც დაიწყეს ნეონის ნათურების გამოყენება.

1979 წელს კამბოჯაში აღმოაჩინეს წითელი ხმერების კომუნისტური რეჟიმის ლიდერის - პოლ პოტის მასობრივი ჟლეტის საფლავები.

1992 წელს მაფიის ბოსს ჯონ გოტის მკვლელობისა და გამოძალვის ბრალდება წაუყენეს.

2002 წელს ისრაელის ჯარებმა ბლოკადაში მოაქციეს ბეთლემის შობის ტაძარი მას შემდეგ, რაც ტაძარს 250-მდე პალესტინელმა შეიარაღებულმა ადამიანმა შეაფარა თავი.

© GRAPHIC NEWS

# უძილობა: ღამის პეიზაჟი

„ლოს-ანჯელეს ტაიმსი" - „ვაშინგტონ პოსტის" საინფორმაციო სამსახური

ჰამლეტის მამის მოჩვენებას ძილი არ შეეძლო, არც – მაკბეტს. კაფკაც, პრუსტიცა და დიკენსიც უძილობით იტანჯებოდნენ ისევე, როგორც ტომას ედისონი და ჩარლზ დარვინი. თუმცა, თითოეული მათგანი მამაკაცი იყო. სტატისტიკა კი გვიჩვენებს, რომ ყოველი ათი უძინარიდან ექვსი ქალია. ვაშინგტონში მიმდინარე გამოფენის მთავარი გმირებიც სწორედ ეს ძილგატეხილი ქალბატონები არიან. ექსპოზიცია "უძილობა: ღამის პეიზაჟები" ხელოვანი ქალების ნაციონალურ მუზეუმში მიმდინარეობს და, როგორც უკვე მიხვდით, ცდილობს, ამოხსნას – როგორ ატარებენ ქალები თეთრად გათენებულ ღამეებს და რატომ უჭირთ მათ დაძინება.

მაინც რა პროცესებს გადის ქალის ტვინი უძილობის დროს? თუ ვაშინგტონში წარმოდგენილ მხატვრულ ტილოებს ვენდობით, თეთრ ღამეებს ქალბატონები ხშირ შემთხვევაში მომავალზე ოცნებებში ატარებენ, ანდა ძილგატეხილ აწმყოს წარსულის მოგონებებით ივიწყებენ.

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ვაშინგტონში გამოფენილი 31 მხატვარი უძილობას სრულიად განსხვავებულად აღწერს. ამ ტილოებზე ზოგი ხატავს, ზოგიც წიგნს წერს, ვინ ლოგინში ფორიაქობს, ვინ ღამეს ფანრჯიდან ათვალიერებს, ვინ კედელზე მოწიკწიკე საათს უყვება ამბებს. თითოეულ მათგანს ერთადერთი რამ – თეთრად გატეხილი ღამეები აერთიანებს. ამიტომაც, ამ უცნაურ საგამოფენო დარბაზში მოხვედრა იგივეა, რაც უძილო ქალბატონების ქვეცნობიერ და დეპრესიულ ფიქრებში მოგზაურობა.


ლუის ბურჟე - "ინსომნია"

ღამის თემატიკის გამო არის კიდევ რამდენიმე გამაერთიანებელი შტრიხი –თითოეულ ტილოზე უამრავ ჰაერში მოფარფატე სხეულს, ფართოდ გახელილ თვალებს, მკრთალ ფერებს, საწოლებსა და ხანდახან შიშსაც დაინახავთ – უძილობას ხომ ხშირ შემთხვევაში დეპრესია იწვევს. ტილოებზე გამოსახული ძილგამკრთალი ქალებიც სწორედ მარტოობაზე და სიკვდილის სურვილზე მიგვანიშნებენ. ყველაზე საშინელი სანახავი სიუზენ დუ პერსის ნამუშევარია – თვალებდაჭყეტილი, მეჩხერკბილება ქალის სახე, რომელსაც აბსოლუტურად ბნელ ფონზე დაუღია პირი და რაც ძალი და ღონე აქვს, გაჰკივის. სურათი ისეთი შემზარავია, რომ რჩება შთაბეჭდილება, თითქოს, კედლიდან, მართლაც, ისმოდეს უძილო ქალის განწირული ისტერიკა.

ძილის მოსაგვრელად ეს ქალები რას აღარ აკეთებენ. ხან ცხვრებს ითვლიან ფარეხში, ხანაც ვარსკვლავებს ცაში. ვიჟა კელმინსის უზარმაზარ ტილოზეც "ღამე და 3.2002 ვარსკვლავი" სწორედ ეს ციური სხეულებია გამოსახული. თავად წარმოიდგინეთ, რამდენი ვარსკვლავი უთვლია ღამის ცაში უძილო ქალს...

ჯორდან ტირნეის ტილოზე "რაინდობა ღამის 4 საათზე", ათასობით პატარა წერტილში მარტოსული და ძილგატეხილი ქალი დაცურავს. ის ხელებს წინ იშვერს, თითქოს ძილის – ე.ი. სიმშვიდის დაჭერას ლამობსო.

არიან ისეთი უძილოებიც, რომელთათვისაც ღამის გატეხვა სიკვდილის თავიდან აცილებას ნიშნავს. ზოგისთვის კი ძილი სამოთხის სიმბოლოა, რომელსაც ადამიანი ვერასდროს მოიპოვებს. ეს განცდები მხატვრების წარმოსახვაში მრავალნაირ ხატს ქმნის, მაგალითად ასეთს: ბნელ, ღამისეული ფერებით სავსე ტილოზე ხატია საათი, რომელზეც რიცხვების ნაცვლად ლოდინით სავსე თვალებია გამოსახული.

საინტერესოა, უძილო და ლოგინში მბორგავი ქალები ოცნებობენ თუ არა სიყვარულზე? მხატვარი ბონი ლი ჰოლანდი ტილოზე "საწოლი, ვერსია მესამე" გვარწმუნებს, რომ აბა, ძილგატეხილი ქალი სხვას რას უნდა აკეთებდეს?! და ქალის აშლილ ლოგინთან ხატავს მამაკაცს – როგორც სექსუალური ვნების ობიექტს. თუმცა, ზოგიერთები ამ საოცრად ემოციურ და ქალურ ექსპოზიციას წუნს მაინც სდებენ. მათ სურთ, ძილგატეხილი მანდილოსნების სასოწარკვეთილი კვნესაც მოისმინონ, მათი ოხვრა, ხვნეშა, წუწუნი, თეთრეულის შრიალის ხმა. დაახლოებით ისე, როგორც უძილო სილვია პლატი ამბობდა: "ღამის, უჩინარი კატები ისე კნავიან, როგორც ქალები, როგორც აშლილი ინსტრუმენტები"...




# ვითომ ეს-ესაა მაროკოდან ჩამოხვედით

## ახალი საგაზაფხულო იმიჯი


იდეები მოდური ქამრებისთვის


"ბანანა რეფაბლიქის" საგაზაფხულო კოლექციიდან



გაზაფხული თანდათან იკრებს ძალას. მზე და თბილი ამინდები შილიფად ჩაცმის საშუალებასაც იძლევა. მოდის სპეციალისტები კი ახალი სეზონისთვის პრიორიტეტებს გამოყოფენ. ნიუ-იორკელი დიზაინერების ცნობით, 2003 წლის გაზაფხულს თან მოაქვს ყველაფერი, რაც გოგონებს უყვართ. ასე რომ, ისინი დარბაისელ მანდილოსნებსაც ურჩევენ გახალისებას და ბავშვური იმიჯის მორგებას. ეს, პირველ რიგში, ნათელი ფერებით აზიური მოხატულობებითა და ყვავილებიანი ქსოვილებით შეიძლება.

აუცილებელი მოთხოვნაა გარდერობის მინი-კაბებით შევსება, ფეხზე კი მოწნული სანდლების მორგება. რაც ყველაზე საინტერესოა, თამამად შეგიძლიათ, ხან მაღალქუსლიანი ფეხსაცმლის ჩაცმა და ხანაც ესპადრილის (კარგი იქნება, თუ მას თასმებიც ექნება) – ორივე მათგანი გაზაფხულიდან ძალზე მოდურად ითვლება.

ბუნებრივია, ეს ყველაფერი მოდაში სიახლეს არ წარმოადგენს. თუმცა, გაითვალისწინეთ, რომ თუ ასე შარშან გაზაფხულზეც იცვამდით, 2003 წლის სეზონზე მსგავსი ჩაცმულობა, უბრალოდ, მთავარ მოთხოვნად იქცევა.

მოდური და პოპულარული სავაჭრო ქსელი "ბანანა რეფაბლიქი" უპირატესობას ვარდისფერს და ცისფერს ანიჭებს და, სხვათა შორის, აფართოებს აქსესუარების განყოფილებასაც. ეს იმიტომ, რომ გაზაფხულიდან მოდაში დამკვიდრდება თითქმის ყველა სახის აქსესუარი. ქამრების, საყურეების, ბეჭდების, სამაჯურების, თმის სარჭებისადმი განსაკუთრებულ სიყვარულს დიზაინერ ოსკარ დე ლა რენტას ახალ კოლექციაშიც შენიშნავთ. მეტიც, პოპულარული ამერიკული მაღაზიების ქსელი "ჯეი სი ფენი" გაზაფხულიდან თავის ათასზე მეტ მაღაზიაში პარფიუმერიის განყოფილებებს ამცირებს, რათა სხვადასხვა სახის აქსესუარები დახლებზე უფრო ფართოდ გამოფინოს. მაღაზია "ნორდსტრომის" მოდის კონსულტანტი გრეგ ენდრიუსი ამ ახალ ტენდენციას ყოველდღიურ მოდაში ასე ხსნის: "აქსესუარები, თითქოს, რაღაც ძველ და იდუმალ ამბებს ჰყვებიან. მაგალითად, შეიძლება თქვენი საყურე ვინმეს მაროკოში ნაყიდი ეგონოს. ეს კი უკვე მთელი თავგადასავლის შეთხზვის საშუალებას იძლევა და თქვენც სხვებისთვის საინტერესო, იდუმალებით სავსე ადამიანად იქცევით. ესეც რომ არა, განსაკუთრებული ტიპის აქსესუარები ხომ მათი მფლობელის შემოქმედებით ფანტაზიებსა და სტერეოტიპებისგან თავისუფალ, დახვეწილ გემოვნებაზეც მიუთითებს".

ამ მოსაზრებების გათვალისწინებით, "ბანანა რეფაბლიქი", "ნორდსტრომი" და "ჯეი სი ფენიც" ათასგვარ, ჭრელა-ჭრულა აქსესუარებსა და მათი საშუალებით კი მოდის ახალ ღირებულებებს ყიდიან. ერთი თვალის შევლებით ეს ტენდენციები ასე გამოიყურება:

ეგზოტიკურობის პრეტენზიის დროს: უთუოდ დაემსგავსებით მსოფლიოს გარშემო მოხეტიალე, თავისუფალ და თავგადასავლების მაძიებელ ადამიანს, თუ ახალ სეზონს სანდლებით, უცხო საყურეებითა და ეგზოტიკური ჩანთებით გაატარებთ. თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ თითოეული ეს ნივთი შორეული მოგზაურობიდან ჩამოტანილ სუვენირს უნდა ჰგავდეს, რათა ყველამ ირწმუნოს – თქვენ ნამდვილად ტურისტად ხართ დაბადებული.

თვითირონიული, ექსცენტრიული იმიჯისთვის: ასეთ იმიჯს, პირველ რიგში, უცნაური ხელჩანთები შეგიქმნით. ისინი დიდი ხანია პოპულარულ მაღაზიებში იყიდება. შეიძლება მათი ორიგინალური ზომები, ფორმები და მყვირალა ფერები თავიდან გეხამუშოთ, მაგრამ გარისკეთ და გამოდით კლასიკურობის ნიჟარიდან. გაზაფხულზე ხომ ექსცენტრიულობა და თვითირონია ყველა მანდილოსანს ეპატიება, თვით უკიდურეს კონსერვატორსაც კი.

საუბრის დაწყების საბაბისთვის: მოდის სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ ყოველი ორიგინალური აქსესუარი ამავე დროს დიალოგის დაწყების არაჩვეულებრივი მიზეზია. ასე რომ, თუ ვინმეს ყურადღების მიქცევა და მისი საუბარში გამოწვევა გსურთ, ნუ დაიზარებთ და მაჯაზე სასაცილო საათი მოირგეთ, ანდა ორიგინალური სათვალე. ამას უთუოდ მოჰყვება: "რა საინტერესო ნივთია. საიდან?".

წელსაც ისევე, როგორც ორი წლის წინ ძალზე მოდურ ტონად ითვლება ქამარიც. "ყველაფერი ყალბი თვლებით მორთული ქამრებით დაიწყო. ახლა კი მაღაზიებში ისინი თითქმის ყველანაირი ქსოვილით, ფორმითა და ფერით არიან წარმოდგენილნი", - აცხადებს ქამრების დიზაინერი ნიკოლ ნორმანდინი. მართლაც, ქამარი ბევრისთვის ჩაცმულობის გამახალისებელი მთავარი დეტალია. დიდბალთიანი, მოოქროვილი და მძიმე, ბაფთებით, თვლებითა და ტყავით – ისინი ბევრს აყენებენ კარგ განწყობაზე. რაც შეეხება ქამრების დარგში ახალ ტენდენციებს, ეს ყველაფერ ბუნებრივს უკავშირდება. თუ თქვენც გიყვართ ამ აქსესუარის გამოყენება, გაზაფხულისთვის ნიჟარებით თუ ხის მასალით მორთული ქამრები შეიძინეთ. მოდურ ტენდენციებში უკეთ გასარკვევად რამდენიმე საჭირო ვებ-გვერდიც არსებობს: nicnorman.com და janefox.com.

## კროსვორდი




20%-იანი ფასდაკლების კუპონით

პირველი ელექტრონული ენციკლოპედია საქართველოს შესახებ ინგლისურ ენაზე - "Discover Georgia"

43 ვიდეო რგოლი, 95 აუდიო ნაწარმოები, 3,000 ილუსტრაცია, 100 გვერდი შემეცნებითი აღწერა

DIGITAL ENCYCLOPEDIA ON GEORGIA




NeoMedia

ადგილზე მიტანით

მხოლოდ 33 ლარად!

დაგვირეკეთ (920162) და შეუკვეთეთ!



# წამალი "სალხინო"

## ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.